

825
1987

ISSN: 0263-4247



සේවකය

ශාර්ත්‍යාලී මෙහෙයුම් වූරුෂාලා මැර්යා මුද්‍රණෝත්තු

316040 N° 12 PARIS

1987 FÉVRIER

„տացուսպովլեծաց, Ցյըն Տար Կացու Եացսապուծարո, Ցուցակութիւններ
Ցյըն Տար Բացրովլուս, Ցամեծովլուս Ցմոնդա Սակուարո,
Ցյըն Տար ՑՑցուգոնծա Հա Սոմարուլլե Ամա Վցեփնուսա,
Ցյըն Տար Ալմաշրջելու Ըցուացեծամծե Կացու Ցունցեծնուսա!“ – օլուս

„Ց Ա Ց Օ “ („տացուսպովլեծնուս Ծրհոծունուս“ Ցացրմելուն)

Ե Ր Ո Ս Տ Ա Հ Ա Ա Լ Ա Ց Ո Ա Բ Ո Ա Բ Ո Ս Տ Ա Ց Ո Ս Պ Ո Վ Ո Լ Ե Ց Ո Ն
Ց Ի Շ Ռ Ո Վ Ո Ս Ց Ի Շ Ռ Ո Վ Ո Ս

64

Ց Ո Ս Տ Ա Ց Ա Ր Ո Ւ :

EDITION GOUCHAGUI
8 RUE DES MARCHAIS
75019 PARIS
TELEPHONE : 46-07-08-14

ISSN : 0763 - 7247

2 გ უ შ ა გ ი № 12 1987 წლის თებერვალი
 1987 წლის საახალწლო



ჩვენო ძვირფასო მკითხველნო, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მთელი სულითა და გულით გილოცავთ ბეღნიერების მომნიჭებელ ახალ 1987 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების საქმე თვალინათ ად წინ არ წასულა, მაინც წელი, რომელიც უკან გვრჩება, ცუდიდ არ ჩაითვლება. საშინაო ხაზით, ზოგადად თავისუფლებისა და დემოკრატიის და კედონდ აღამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საბჭოთა მთავრობა თავდაცვაზე იყო გადასული და ზოგიერთ შემთხვევაში იძულებული იყო უკანაც დაეხია (მაგალითად ზოგიერთი ჭალაზე ცნობილი დისიდენტის დასავლეთში გაღმოსახლება, აკადემიკოს ან. სახაროვის გადასახლებიდან განთავისუფლება და სხვა.).

საბჭოთა ეკონომიკა მუდამ განიცდიდა მწვავე ეკონომიურ კრიზისს, მაგრამ ამ უკანასკნელად ის კიდევ უფრო დრამატიული გახდა და მისი დამალვა ხელისუფალთა მიერ შეუძლებელი გახდა. ასე მაგალითად, 23 იანვარს მ. გორბაჩივმა ცენტრალური კომიტეტის თაობირზე განაცხადა და საჯაროდ გამოცხადდა შემდეგი: "...რაც შეეხება სასურსათო პრობლემას, ჩვენ, ამხანაგებო, საფუძვლიანად უნდა დავძრაოთ იგი აღგილიდან. ძალზე დიდხანს ვტკეპნიდით ერთ ადგილს, რომ იტკიან, ჩავეფალით ამ საქმეში, მთელმა მეთერთმეტე ხუთწლედმა იბუქსავა. ბუქსაობა დავიწყოთ 1972 წლიდან, განსაკუთრებით 1975 წლიდან..." ეს „ბუქსაობა“ არა მარტო სასურსათო სფეროს ეხება, არამედ მთელ საბჭოთა ეკონომიკას, გარდა, რა თქმა უნდა, სამხედრო კომპლექსისა, რომლის გადაკარბებული პროცენტული თანაფარდობა ეროვნულ შემოსავალთან, აუტანელ ტვირთად აშევს საბჭოთა მშრომელ ხალხს. მ. გორბაჩივი პირველი არ არის საბჭოთა მეთაურებიდან, ვინც განვაჭს ტეხს საბჭოთა ეკონომიკის კრიზისზე და რეფორმებს აყენებს, მაგრამ ჭელა ისინი უნაყოფ გამოდგენ და ვფიქრობთ, რომ გორბაჩიმისასაც იგივე ბედი ეწევა.

ეროვნულმა საკითხმაც, რომელსაც განსაკუთრებით მაღავს საბჭოთა ხელისუფლება, საქვემდო იჩინა თავი ყაზახეთის მკვი-



დროა აჯანყებით რუსთა ბატონობის წინააღმდეგ, რესტრუსულ ადგილი ჰქონდა ქალაქ ალმა-ათაში გასული წლის უკანასკნელ დღეებში. ყაზახების ამხედრება ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლის ის აისბერგია, რომელიც განსაკუთრებით კარგად მოჩანს ამ მომენტში, მაგრამ იგი საყოველთაოა სსრკ-ის ჯელა არარუს ერისთვის გამოუკლებლივ და მათი მიწისქვეშა ბიძგები დასამხობად ემუქერებიან საბჭოთა იმპერიის შენობას.

ასევე ადგილზე „ბუქსაობდა“ საბჭოთა იმპერიალიზმი საერთაშორისო ასპარეზზედაც, ეს იწყება მისი ჯარების შეჭრის შემდეგ ავღანეთში და ამ წლის ბოლოს უკვე შვიდი წელი შესრულდა. ახლა ცხადია, რომ არა წინსვლა, არამედ მიღწეულის შენარჩუნებაც არაჩვეულებრივად ძვირი უჯდებათ რუს იმპერიალისტებს, კორბაზივი ყოველგვარ რუსულ ხრიკებს ხმარობს, რომ როგორმე სახის დაუკარგავად ავღანეთის ჭაობიდან თავი დაიხსნას.

კარგად არის ცნობილი, რომ იმპერიისათვის ისევე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ექსპანსია, როგორც წმინდა ჰავრი ცოცხალი ორგანიზმისათვის. იმპერიისათვის დამღუპველია ადგილზე ტკეპნა, „ბუქსაობა“, ხოლო პირველივე დამარცხება ნიშანი იქნება მისი რღვევისა. ამან აღარ უნდა დაიგვიანოს და, დაე, ის მოხდეს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩვენი ხალხისთვის.

საბჭოთა მთავრობა კორბაზივის უფროსობით აღარ მაღავს და საჯაროდ გმობს მთელ გავლილ პერიოდს სტალინის გენმდივნობიდან დაწყებული თვით კორბაზივის აღზევებამდე. მათი ნაკლი ისაა, რომ ისინი ლოლიკურ დასკვნამდე არ მიდი ან, ანდა ვერ მიდიან და სტალინ, ხრუშჩივ, ბრეਜნევის კულტებთან ერთად არ გმობენ მათ მშობელ საშოს-საბჭოთა წესწყობილებას და მის ქვაკუთხედ კომუნისტურ პარტიას. ჯერ კიდევ კლასიკური ხანის ბერძნებმა კარგად იცოდენ, რომ: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღია სულიც“ და ჩვენს მითოლოგიაშიც ცნობილია, რომ გველეშაპისაგან თავს ვერ იხსნი მხოლოდ მისი თავის მოკვეთით. თვით რუსეთის მდორე საზოგადოებაც შორს გადადებას ვეღარ მოითმენს. საჭიროა გამოჩნდეს გაბედული და დახელოვნებული დასტაქარი, რომელიც მჭრელი ბისტურით ამოკვეთავს საბჭოთა დამპალ ორგანოს, თუ არა და ხალხი,



მოთმინებიდან გამოსული და გამწარებული, თვით შეასრულებული რაციკალურ ოპერაციას, დაუზოგავად მიღეწ-მოღეწავს სიცრუ-ეზე, თვითნებობაზე და ტერორზე დაფუძნებულ წესწყაბილებას და მასთან ერთად ისტორიის უძირო უფსკრულში გადაუძახებს ჟელა ახალმოვლენილ ცრუ რეფორმატორებსაც. ჩვენი ანგარი-შით, ამ საბედისწერო მომენტა აღარ უნდა დააგვიანოს და ამ განწყაბილებით ვეგებებით ამ ახალ წელიწადს.

ეროვნული გლოვის წლისთავი

თითქოს განვებას განვებ შეერჩიოს წლის ეს ჟელაზე უფრო მოსაწყნი დრო: ნოტიო, სუსხიანი და სახეჩამომტირალი თებე-რვალი. თებერვალში მტკიცნეულად იხსნებიან ჯერ მოუშუშე-ბელი წლულები და ახლდებიან ძველი ტკივილები. 25 თებერ-ვალს 66 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენმა ლაშქარმა, მთავარსარდლის ბრძანებით, ჩვენი ჭალარა, მრავალი ჩვენი ერ-ოვნული აღზევებისა და დამარცხების მოწმე თბილის-ქალაქი შემოსეულ საბჭოთა რუსეთის ბანდებს დაუთმო. მაშინ ეს ჟა-ლას-ჯარისკაციდან მთავარსარდლამდე— დროებითი სამხედრო მანევრი ეგონა, თბილისის შემდეგაც ჭართულმა მხედრობამ კიდევ სამი კვირე გააგრძელა მტერთან წინააღმდეგობა, მაგ-რამ მან ვეღარც დადაქალაქი დაიბრუნა და ისიც ცხადი გა-ხდა, რომ, იმ ორგანიზაციითა და საშუალებებით, რომლებიც მას იმ დროს გააჩნდა, შემოსეულ დამპტობით ვერ გაუმკლავ-დებოდა, სამშობლოს საზღვრებიდან ვერ გადარეცდა. საქარ-თველოს ეროვნულმა მთავრობამ თავი დამარცხებულად ცნო, მტერს არ დანებდა და ბრძოლის გასაგრძელებლად უცხოეთში გაიზიზნა... მრავალჭირნახულ ივერიას კიდევ ერთხელ ბარბა-როსი, სისხლიანი ბოლშევიკური რუსეთის ურდოები დაეუფლენ და იწყეს მისი უსაშველო თელვა და ჯიჯნა, ივერიელთა უწ-ყალო წამება, ხოცვა- ულებელი. ამ ახალი დროის დამპტო-ბებმა არ დაინდევს აღამინში არაფერი წმინდა და ძვირფასი, მათ უხეშად ფეხქვეშ გათელეს პირდაპირობა, მეგობრობა, კაცო-მოყვარეობა, დედაშვილობა, ერთგულობა... და მათ აღვილას

ეროვნული გლოვის ჭლისთავი



ტურიებითა და შანთებით გააბატონეს ცრუობა, გამჭურებულობა.
ღალატი და ჟაველგვარი ზნედაცემულობა.

დიდი და აუნაზღაურებელი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა ხალხმა
ამ სამოცდაექვსი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით 1921 –
1945 წლებში. ზუსტად ამის ანგარიშს ვინ გვეტვის, მაგრამ
გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფალ-
თა სინდისზე, თუ კი მათ ასეთი რამ გააჩნიათ, რეპრესიებსა
და მათ „სამამულო ომში“ მოშთობილთა სულ ცოტა 600-700
ათასი აქტიური, შემომქმედი და შთამომავლობის აღმზრდელი
ქართველის სიცოცხლეა. ამას არ შეიძლება სხვა რამ ეწოდოს,
თუ არა ერის მკვლელობა. ამის შედეგია, რომ ქართვე-
ლობას საბჭოთა პერიოდში თითქმის არ მომატებია რიცხობრი-
ვად, მაშინ, როცა ჩვენი მეზობელი ოსმალების რიცხვი ოთხ-
ჯერ და ხუთჯერ გაიზარდა.

66 წელიწადი ხუმრობა არ გახლავთ აღამიანისათვის, ეს ხომ
სამ თაობაზე მეტია, მაგრამ ერისთვის ის შედარებით უმნიშ-
ვნელოა. გული არ უნდა გაგვიტქვეს, უიმედობა არ უნდა და-
გვეუფლოს. სხვებიც ბევრი უნახავს დამცყობელი ქართლოსიან-
თა სისხლით გაეღვინთილ მიწას. უთვალავ იმპერიებისაგან თავ-
დაცვებში საიმედოდ მოიკალა მისი კუჭი. მან მოინელა იმპე-
რიები ასირიელთა და ირანელთა, მაკედონელთა და რომაელთა,
არაბთა და ბიზანტიელთა, მონღოლთა, სპარსთა, ოსმანთა და
ბოლოს თვითმპრობელ რუსთა. ფიქრი არ არის, ის მოინელებს
ამ უკანასკნელი იმპერიის მძლავრობასაც.

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს იქნება აგრეთვე ჩვენი ხალხის,
ქართველი ხალხის როგორც ერის უკანასკნელი გამოცდა და,
რომ იგი ჩვენს შემდგომ თაობებს შეაგნებინებს უბრალ
მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას: ეროვნულ ერთო-
ბას. გარეშე მტერზე არა ნაკლები მტერი იყო ჩვენი ხალხის
მიღრეკილება კუთხურობისაკენ, ურთიერთ კინკლაობა-მეტოქე-
ობისაკენ. ერთ მუშტად, ერთ ორგანიზმად მტკიცედ შეკრულ
ერს, რაც არ უნდა პატარა არ იყოს ის, ვერ დაიცყობს
ვერც ერთი ერი, რაგინდ დიდი არ იყოს იგი. თუ ეს, არამც
თუ მარტო შეგნებაში, არამედ სისხლსა და ხორციც გაგ-
ვიჯდება, მაშინ ქართველი ხალხი შეინარჩუნებს თავის უფ-
ლებას და შექმნის საკუთარ ბრწყინვალე ცივილიზაციას, რო-

მელთანაც შედარებით წარსული, თამარ მეფისა და ქორედის კულტურული საქართველო ფერმცრთალი გამოჩნდება; თუ არადა, ქართვლის ხსენება აღიგავება პირისაგან მიწისა.

გულბათ გულბათიშვილი

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა ს დ ა ს ხ ვ ა
პ ო ლ ი ტ ა ტ ი მ ა რ თ ა ბ ე დ ი

გასული წლის 30 ღვიად გამსახურდია ტელეფონით დაუკავშირდა ამერიკის „იუნაიტედ პრეს - ინტერნეიშელ“-ის სააგენტოს წარმომადგენელს მოსკოვში და შემდეგი განუცხადა: „დასავლეთში გავრცელებული ცნობები მერაბ კოსტავას პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, როგორც შედეგი პოლიტპატიმრებისადმი მ. გორბაჩივის შემწყარებული დამოკიდებულებისა, სინამდვილეს არ შეეფერდა. ამგვარი ცნობების გავრცელება მეტად სახიფათოა პატიმრისათვის. მერაბ კოსტავა კალავაც პატიმრობაში იმყოფება. იგი კლექის მძიმე ფორმითაა დაავადებული. ამჟამად ის მოთავსებულია თბილისის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ საპატიმრო ბანაკის საავადმყფოში. მე ვშიშობ, რომ მერაბ კოსტავას შეიძლება იგივე ბერი ეწიოს, რაც ანატოლი მარჩენკოს“, უთქვამს გ. ზვიადს.

ამ ცნობით ბოლო ეღება მთიქმა-მოთქმას. მერაბ კოსტავა ფილტვებით მძიმე ავადმყფი საპატიმრო ბანაკშია საქართველოში. მისი საქართველოში გადმოყანა უკვე სასიამოვნო ამბავია. რაც არ უნდა იყოს, სამშობლოს პატიმრობი და გარემო ბუნება მის სატკივარს სალბუნად დაედება მანამ, სანამ რუსები მიხვდებოდნენ, რომ ამ სიმპატიური და ჭავლად კეთილშობილი პატრიოტი კაცის ტუსაღობაში სიკვდილი არც მათი ინტერესებისათვისაა სასაჩვენებლო.

აქვე გვინდა მკითხველებს მოვაგონოთ ზოგიერთი ჟელაზე ცნობილი ქართველი პოლიტპატიმარი. ნიკოლოზ სამხარაძე-დაახლოებით 70 წლის, ექიმი-ისტორიკოსი. მისი დევნა დაიწყო 1957 წლიდან, როცა ის პროტესტებით შეხვდა გარუსების პოლიტიკის ქართულ სკოლე-

მერაბ კოსტავას და სხვა პოლიტპატიმართა ბეჭი



საქართველო

ში. ნ. სამხარაძე აქტიურად მოღვაწეობდა აგრეთვე და ადმინისტრაციული მუნიციპალიტეტების უფლებათა და პელსინკის ხელშეყრულების დამცველ საქართველოს საინკიატივო ჯგუფებში. უკვე რამდენიმეჯერ ტუსალად კაფილი, ის უკანასკნელად დააპატიმრეს 1980 -ის 23 სექტემბერს და მოათავსეს უვალოთ ფსიქიატრულ საპატიმროში, ფიქრობენ, რომ დნეპროპეტროვსკში. ცოლმა და სამმა შვილმა ამაოდ არაერთი პროტესტი განაცხადეს ასეთი უხეში თვითნებობისა და უკანონობისათვის.

ვალენტინა ფაილოძე დაბ. 1923 -ში, სამი შვილისა და შვილიშვილების დედა, მგალობელთა გუნდის წევრი კაგებეს დევნამდე, რაც დაიწყო მას შემდეგ, რაც მან წერილებით ამზილა კაგებეს აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობა საქ-ს მართლმადიდებელ ეკლესიის მაშინდელ საპატირიარქოში. ვ. ფ. აქტიურად თხამშრომლობდა აგრეთვე ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავასთან ერთად ადამიანის უფლებათა და პელსინკის ხელშეყრულების დაცვათა საქართველოს კომისიებში. უკანასკნელად ის გაასამართლეს 23 მაისს 1983 წლისა და მიუსაჯეს რვა წლით მკაცრი რეჟიმის ბანაკში პატიმრობა და ხუთი წლით გადასახლება. უკანასკნელი ცნობით, ის იმჟაფება ფსიქიატრულ საპატიმროში.

— საქ. უმაღლესმა სასამართლო 1980 წლის ოქტომბერში გაასამართლა სამი კაცი, რომლებიც პოლიციის მიერ დაკავებული იყვენ პროკლამაციების გავრცელებისათვის, რომელიც მოუწოდებდა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ. ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ბრალდებით სასამართლომ შემდეგი სასჯელი გამოიტანა: ვაჟა უღენტს, დაბადებულს 1938 წ. საზოგადოება „ცოდნა“-ს ხელმძღვანელს ქ. რუსთავში— 6 წლის მკაცრი რეჟიმის ბანაკში პატიმრობა და 3 წლით გადასახლება, ზურიკო გოგიას, დაბ. 1946 -ში, მცხოვრებს ქ. რუსთავში, უქრნალ „სამგორის“ კორესპონდენტს— 5 წლით მკაცრი რეჟიმის ბანაკში პატიმრობა, და ვახტანგ ჩიტავას, დაბ. 1939 -ში, ქ. რუსთავში მცხოვრებს, ტექნიკური სკოლის დირექტორის თანაშემწეს— 5 წ. მკაცრი რეჟიმის ბანაკში პატიმრობა და ორი წლით გადასახლება.

— 1984 წ. თებერვალში თბილისში გაასამართლეს ფარული პოლიკური ორგანიზაციის „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ორგანიზაცია“-ს ხელმძღვანელები და შემდეგი სას-

აელი დააკისრეს: ზაქარია ლაშქარაშვილს, დაბ. 1954 წ. მარტინ გერებელის მემკვიდრეობის ბანაკში პატიმრობა და 2 წ. გადასახლება, ტარიელ ღვინიაშვილს, დაბ. 1960 წ., მუშა-მექანიკოსს, -4 წლით მეგაცრი რეჟიმის ბანაკში პატიმრობა და იგივე სასჯელი გურამ გოგბაძეს, დაბ. 1949 წელს, უმაღლესი ცოდნით, ეკონომისტს.

- 1983 წლის ივნისიდან პატიმრობაშია უცნობი ვადით სტუდენტი დავით ბერძენიშვილი, რომელსაც ბრალდებოდა რესპუბლიკური პარტიის დაარსება და მისი ბეჭდვითი ორგანო „სამრეკლო“-ს რედაქტორობა, რომლის ხუთმანობაში მოასწრო გამოსვლა 1979-80 წლებში.

- 1983 წლის გიორგი ევსკის ტრაქტატის იუბილის საწინააღმდეგო მოძრაობაში დაპატიმრებულებებიდან ისევ საკონცეტრაციო ბანაკებში იმყოფებიან: ირაკლი წერეთელი, ლევან ბერძენიშვილი, გოჩა აბულაძე, ემანუელ თვალაძე.

- იგივე ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ბრალდებით საკონცენტრაციულ ბანაკებში იმყოფებიან ძმები თენგიზ და ელოვარდ გუდავა.

- და ბოლოს, კიდევ ერთხელ მკითხველის ყურადღება უნდა მივაკციონო თვითმფრინავის გატაცების ცდის ავტორებზე: ექიმი ძმები პაატა და კახა ივერიოლები, მსახიობი გერმანე კობახიძე და მღვდელი თემიშრაზ ჩიხლაძე, რომელთაც 1984 წლის აგვისტოში უმაღლესი ზომა-დახვრეტა მიესაჯათ.

უმანქო წარსულის მქონე ახალგაზრდებისათვის, რომელთაც განზრახული არ ჰქონიათ ვინმეს სიკვდილი, განაჩენი თავიდანვე მეტად გაღაჭარებულად მკაცრი იყო, მაგრამ ორ წელიწად ნახევრის გასვლის შემდეგ ეს საცოდავები ისევ სასიკვდილოდ გამზადებულთა საკანში ელიან ჯალათს, ეს ჩვენს უბრალო დამიანურ გაგებას აღემატება. რაფინირებული სიმკაცრე, თუ პირუტყული შურისმაძიებლობა!!!

*** *** *** ***

ვიქტორ რცხილაძის დევნა გრძელდება*)

ისტორიკოსი ვიქტორ რცხილაძე, დაბადებული 1941 წელს, ადამიანის უფლებათა დაცვის პელსინკის ჯგუფის წევრი საქართველოში, როგორც ცნობილია, დაპატიმრებული სიმკაცრე, თუ პირუტყული შურისმაძიებლობა!!!

ვიქტორ რცხილაძის დევნა გრძელდება

25 იანვარს, თბილიში, ცხრა თვის გასვლის შემოსული ფოტოზე დაპატიმრებული იქნენ ზეიად გმისახურდიპირთან მიმდევა კოსტავა გოსტავა. იგი ათი თვე ამჟაფეს საქ. უშიშროების კომიტეტის შიდა საპატიმროში და გასამართლების შემდგომ გადასახლეს ყაზახეთში, კურგანის ოლქში, საღაზ ჯერ კიდევ იმჟაფებიან თავის დროზე გადასახლებული ჩეჩენები და კორელები. მასთან ერთად იქ სასჯელს იხდიდა ადამიანის უფლებათა უკრაინელი დამცველი ი. მ. სენიკი.

დაჰურ რა საერთო ჯამში იქ ორი წელი, ვ. რცხილაძე სამ-შობლოში დაბრუნებისას ერთ წლამდე უსამსახუროდ ამჟაფეს უკიდურეს გაჭირვებაში (იგი ოჯახის მარჩენალი ერთადერთი მამაკაცია). საბოლოოდ მან დაიწყო სამსახური თბილისის ის-ტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლად. თავიდან თითქოს წრფარად მიდიოდა მისი მოღვაწეობა, მაგრამ საკმარისი იყო მას ქართულ თეოლოგიურ, საღვთისმეტებელო, უურნალში 1982 წელს დაებეჭდა სტატია(ცხადია თეოლოგიური ხასიათისა და არა პოლიტიკურის), რომ მუზეუმის დირექტორ-მა თეიმურაზ ბერიძემ თავის თანამშრომელს აშკარა და დაუფარავი შევიწროება დაუწყო. მიუხედავად ამისა, ვ. რცხილაძეს არ შეუწყერია საღვთისმეტებელო უურნალში წერილების ბეჭდვა. აღსანიშნავია, რომ ეს კრებული სასაცილო რაოდენობით გამოდის – სულ ორასი ცალი. ამასთან, ქსეროკოპით გამრავლებულ ამ უურნალს ზემოდან აწერია: „სამსახურებრივი მოხმარებისათვის“, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ გაიცემა მოსახლეობაში და მხოლოდ სასულიერო პირებმა უნდა იკითხონ! აი, ასეთია „სინდისის თავისუფლება“ და ხელისუფალთა შიში ქრისტიანული იდეებისა!

ვ. რცხილაძის დევნა-შევიწროება შემდეგში გამოიხატება.

1982 წ. თებერვალში იგი დაბარებული იყო საქ. უშიშ. კომიტეტში, სადაც მას განუცხადეს, რომ იგი რელიგიურ იდეებს ქადაგებს მუზეუმში. ამ გაფრთხილებას საფუძვლად ედო მუზეუმის დირექტორის, თეიმურაზ ბერიძის განცხადება-დაბეზღება ამის თაობაზე. იმ დღიდან მოჟალებული ვ. რცხილაძეს რამდენიმე წუთის დჯვიანებაზე უკიდურეს საჭედურს-საჭედურზე აძლევენ, მაშინ, როცა ამ მხრივ მუზეუმში სრული ანარქია სუფევს. დღესდღეობით ვ. რცხილაძე სამსახურიდან განთავისუფლებულია 5 წუთით დაგვიანებისთვის. მის წინაშე აღ-

ტერნატივია: ან შეელიოს თეოლოგიურ ქურნალში თამაზის მღვდელის, ანდა მეცნიერ-თანამშრომლის ადგილს მუხუმრის. ვიქტორ რცხილაძე 1986 წლის სექტემბრიდან უმუშევარია.

1986 წლის დეკემბერი

*) წერილი ჩამოტანილია საქართველოდან და გასაგები მიზეზით ავტორი ხელს არ აწერს. „გუშაგი“

ა ნ ა ტ ო ლ ი მ ა რ ჩ ე ნ კ ო ს ს ი კ ვ დ ი ლ ი ,
ა ნ , უ ფ რ თ ს წ ი რ ა დ , მ კ ვ ლ ე ლ თ ბ ა

„როცა უნივერსიტეტში შევედი, მე გავიგე, რომ ხუთი მილიონი უკრაინელი ნებაყფლობით თავს ანებებს მათ მშობლიურ ენას, ამ მშვენიერებასა და სიმდიდრეს, რასაც თითოეული პიროვნება ღებულობს დაბადებისას. თქვენ ეკუთვნით, აგრეთვე, ამ ხუთ მილიონ მოქალაქეთ, თქვენ მოსამართლევ, პროკურორობობოდა და ადვოკატო! ამ მოვლენასთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ რატომ უკრაინელები თავიანთ ქვეყნაში კარგავენ კავშირს მათ დედა-ენასთან, მე დაგვწერე თრი სტატია 1973 წლს:

„იდეალის საფარს უკან“ და „კიევის დიალოგები“, რომელთაც გამოქვეყნების შემთხვევა არ პქონიათ და არც არავის შეეძლო ისინი წაეკითხა. მათი გულისფრის კიევის მხარის ტრიბუნალმა მე მომისაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა. გამოდის, რომ უკრაინა გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებიდან ერთადერთია, რომელიც თავის პატიმრებს სასჯელის მოსახლენად აგზავნის მისი ტერიტორიის საზღვრებს გარედ. ვიმყოფებოდი არ პერმის საკონცენტრაციო ბანაკში მე იქ შევხვდი სიცრუესა და თვითნებობას.

ვარ არ თავისუფალი პიროვნება, ესე იგი მიმაჩნია არ ჩემი თავი თავისუფლად, სადაც და არ პირობებშიც არ უნდა ვიჟუ, მე ვერ შევძელი გაჩიტება და ვწერდი ამის შესახებ. ამის გულისფრის მასამართლებენ დღეს. მე წინააღმდეგი ვარ ტუილის, მოტყუების, თვითნებობისა და სიყვლისა. მე მხარს ვუჭერ აზროვნების თავისუფლებას, მე ვიცავ ადამიანის ღირსებას და ღიდ მორალურ პრინციპებს. როგორც ქრისტიანს,

ანატოლი მარჩენკოს სიკვდილი

„ ადამიანს და მოქალაქეს, მე მრცხვენია ჩემი ქვეყნის, დაც ქალები იხდიან ოცდახუთი წლის პატიმრობის სასჯელს მათი რწმენის გამო. მთელს ისტორიაში, სახელმწიფოთა ისტორიის დასაწყისიდან, არასოდეს ჰქონია აღვილი ასეთ სამარცხვინო ფაქტს.“

ასე მიმართა ანატოლი მარჩენკომ მის მოსამართლეებს, რომლებმაც მას მიუსაჯეს ათი წლით მკაცრ რეეიმის ბანაკში პატიმრობა და ხუთი წლით გადასახლება. ამ სიტუაციი ცხადად მოჩანს მარჩენკოს პიროვნება: მისი სპერაცი სული და პირდაპირი ხასიათი, ღრმა ადამიანური კეთილშებილება და უძირო პატრიოტიზმი, მაგრამ ამ სიტუაციიდანვე გასაგები ხდება საბჭოთა ხელისუფლების მძულვარება და ულმობელობა ამ სიტუაციის აგტორისადმი.

ჟატოლი მარჩენკომ სულ **49** წელიწადი იცხოვრა ამ ქვეფნად და ოცი საშინელი რეეიმის საპატიმროებში დაჭყო. უკანასკნელად, როცა მას ასამართლებდენ და ასე მექაცრი სასჯელი გადაუწყიტეს, ის უკვე მძიმე ავალმყოფი იყო ისე, რომ ფეხზე დგომა ძლივს შეეძლო და ისიც არაადამიანური ნებისყფის დაძაბვით. პერმის უმექაცრეს ბანაკში, სადაც მას პირველი ოთხი წელი გაატარებინეს, უმთავრეს ღროს იზოლატორში ამჟოფებდენ, ულეიბოთა და უსაბოთ. მისი მეუღლე ლარისა ბოგორაზის თქმით, **1983** წლის დეკემბერში ბანაკის ზედამხედველებმა ცემენტის იატაკზე აჩაჩქუნებიერ თავი და ეს მანამ, სანამ გრძნობა არ დაჰკარგა. ამის შემდეგ ცივ იატაკზე დაჰდებული მიატოვეს. ასეთი მოპყრობის შედევრად, მარჩენკომ დაკვარგა გემოსა და სუნის შეგრძნება, მოეშალა მხედველობა და სუნთქვის ორგანოები. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მას სტანჯავდა თავბრუს დასხმა და თავის ტკივილი.

1985 წლის შემოდგომაზე მარჩენკო ჩისტოპოლის საპატიმროში გადმოიყვანეს. აქაც მას განსაკუთრებით თვითნებურად ეკიდებოდენ. უკრძალავდენ ცოლისგან და მეგობრებიდან გამოგზავნილ წერილებსა და ამანათებს. უკვე **1984** წლიდან აკრძალული ჰქონდა ცოლის ვიზიტი. **4** აგვისტოს მარჩენკომ შიმშილით გაფიცვა გამოაცხადა მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებდენ მის ორ მოთხოვნას: პოლიტპატიმრების ამნისტიას



და მისი მეუღლისათვის მასთან ვიზიტის უფლებას, კარტოგრაფიული წარმეული ჰქონდა **1984** წლიდან. ცნობილია, რომ ის კვებაზე უარს ამბობდა აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში და, მაშასადამე, დეკემბრის დასაწყისში გამოცხადებული გარდაცვალება უშუალო შედეგია ამისა. ანატოლი მარჩენკო ბოროტებას ებრძოდა იმ საშუალებებით, რაც მას გააჩნდა და ის ბრძოლის ველზე დაეცა როგორც შეურიგებელი ამაფრ რაინდი. ან. მარჩენკოს არა მარტო ცხოვრებაა სამაგალითო და მასში ავლებელი, არამედ აგრეთვე მისი ნაწერები და განსაკუთრებით „ჩემი ჩვენება“, რომელიც მან პატიმრობიდან პირველად განთავისუფლების შემდეგ-**1967** წელს გამოაქვეჭა და რომელშიც იშვიათ რეალობითაა აღწერილი საბჭოთა საპატიმრო ბანაკების რეუიმი ხრუშჩოვ-ბრეਜნევის პერიოდში. ან. მარჩენკო ცნობილია აგრეთვე მისი კიდევ ორი კარგი მოგონებათა წიგნით: „ტარუსიდან ჩვენამდე“ და „იცხოვრე ისე როგორც ყველა ცხოვრობს“. თვითგამოცემით გამოქვეწებულ მის მრავალ სტატიებიდან სჩანს სიმამაცე, შეუპოვრობა, გულ-ახდილობა.

ანატოლ მარჩენკო გარდაიცვალა როგორც ჭეშმარიტი წმინდა მოწამე. მისმა სიკვდილმა ღრმად დაამწუხრა ყველა პატიოსანი და ბუნებით კეთილშობილი ადამიანი, მაგრამ განსაკუთრებით მისი თანამებრძოლი უფლებათა დამცველი. ვაშინგტონში მყაფმა ანატოლი შჩარანსკიმ განაცხადა: „მარჩენკოს სიკვდილმა დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო გაუარესდა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა ცდილობს უფრო აღამიანური სახით წარუდგინოს თავი მსოფლიოს.“-ო.

დასავლეთ ევროპის, ამერიკის და მთელი დემოკრატიული სამყაროს ლიდერები გამოეხმაურენ მარჩენკოს ტრაგიკულ სიკვდილს. ათ დეკემბერს, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის დღეთაა გამოცხადებული გ.ე.ო.-ს მიერ, თეთრ სახლში მოწყობილ კონფერენციაზე პრეზიდენტ რეიგანმა განსაკუთრებული მწუხარებით ახსენა ანატოლი მარჩენკოს ტრაგიკული დასასრული, მას უწოდა: „მარტივილი ადამიანის უფლებათა ბრძოლისა“ და ბრძანა, რომ: „ბატონი მარჩენკო და კიდევ ბევრი სხვა არ მოგვდარან ამაოდ“-ო. პრეზიდენტმა აგრეთვე დასძინა: „რეალური სურათი საბჭოთა ცხოვრებისა არ შეცვ-

 ურთიერთი
 მოქალაქეობრივი უფლებების შეზღუდვა და ტირანია. ეთო-
 პიიდან კუბამდე, საბჭოთა კავშირიდან ვიეტნამამდე, მთელ
 კომუნისტურ სამყაროში სურსათისაგან თაროები ცარიელია,
 ხოლ ციხეებში პატიმრების ტევა არაა.“

ანატოლი მარჩენკო მგზნებარე პატრიოტი იყო მისი სამშო-
 ბლო უკრაინის და დიდი მოქალაქე, ადამიანის ღირსების დამ-
 ცველი რაინდი. მისი ბრძოლა სამაგალითოა ყველა ერიშვილი-
 სთვის და, მაშასადამე, ჩვენ ქართველებისთვისაც. მისი უდრო-
 ოდ დაღუპვა მწუხარებით გვაესებს, მაგრამ თანაც გვამნევ-
 ებს და გვარწმუნებს ჩვენი ბრძოლის სისწორეში. პატივისცე-
 მით ქედს ვიხრით მისი ცხედრის წინაშე.

გუშაგი

*** *** ***

გ ა მ ო ს ვ ლ ე ბ ი ა ლ მ ა — ა თ ა შ ი

ვინც თვალს ადევნებს საბჭოთა ამბებს, მისთვის ამ უკანა-
 სკნელ ხანს ცხადი იყო, რომ ყაზახ დინმუხამედ კუნაევის პო-
 ლიტიკური კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა; მოსკოვის გა-
 ზეთების გამოხდომები ყასახისტანის ხელმძღვანელობის წინა-
 აღმდეგ და თვით დაინტერესებული პირის დუმილი ამის უტუ-
 არი ნიშანი იყო; ამიტომ, მაინც და მაინც არავის გაკვირვე-
 ბია „ტასის“ სააგენტოს 17 დეკემბრის განცხადება, რომ:
 ყაზახისტანის კომპარტიის ც.კ. პლენუმმა პირველი მდივნის
 თანამდებობიდან გაანთავისუფლა ამხანაგი დ. კუნაევი და მის
 ადგილას ამხანაგი გენადი კოლბინი აირჩიაო. უფრო გასაოცა-
 რი იყო იგივე სააგენტოსაგან გამოცხადება ორი დღის შემდეგ,
 რომ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების საპროტესტოდ
 ყაზახისტანის დელაქალაქში ქუჩებში გამოვიდა ახალგაზრდობა
 და უწესრიგობა ჩაიდინაო. ოფიციალური სააგენტოს მიხედვით,
 მანიფესტანტი ახალგაზრდები წაკეზეს ნაციონალისტებმა და
 ხულიგნებმა, რის შედეგადაც მანიფესტანტებმა უკანონო აქ-
 ტები ჩაიდინეს, დაწვეს ერთი სასურსათო მაღაზია და ბევრი
 ავტომანქანაო. ოფიციალური კომუნიკე არაფერს ამბობს მსხ-
 ვერპლის შესახებ, მაგრამ მოსკოვში მყოფი დასავლეთის კორე-

სპონდენტები ერთხმად ფიქრობენ, რომ გამოსვლებმა უშვილად აჯანყდის ხასიათი მიიღო და მის ჩაქრობის დროს სულ ცოტა ორი ათეული კაცი მაინც დაიღუპა და ასამდე დაიკრა, დაიკირეს ასობით მანიფესტანტი. აჯანყდა რომ სერიოზული ხასიათის იყო და რეპრესიებმაც სერიოზული კვალი დამჩნიეს ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ ამბებიდან ორი თვის გასვლის შემდეგ აღმა-ათა მუდამ აკრძალული ზონა, სადაც უცხოელ კორესპონდენტებს სამგზავრო ვიზებს არ აძლევენ.

თავიანთ დედანაზე წარწერილი პლაკატებით თუ შეძახილებით ყაზახი მანიფესტანტები პროტესტს აცხადებდენ საერთოდ რუსების თვითნებობის და კერძოდ რუსი კოლბინის დანიშვნის წინააღმდეგ. გენადი კოლბინმა პარტიული კარიერა სვერდლოვსკში დაიწყო, საიდანაც, 1975 წელს, საქართველოს კომპარტიის მეორე ნომრად გადმოიყავანეს ქალადზე, სინამდვილეში კი ის იყო მთავარი თვალი და ჟური კრემლისა. 1983 წელს იური ანდროპოვმა ის ულიანოვსკის ოლქის კომპარტიის პირველ მდივნად გადაიყავანა, ალბად კაგების თვალში კარგი დამსახურებისათვის და ეს ახალი პოსტი კიდე უფრო მეტი ჯილდოა ხელისუფლებისაკენ მიის სვლის გზაზე, რაღაც ახლა ის შორს აღარაა კუნაევის სავარძლიდან პოლიტბიუროში.

ყასახისტანი მოსახლეობითა და ტერიტორიით სსრკ-ს მესამე სახელმწიფოა, თვით რუსეთისა და უკრაინის შემდეგ. ის მდიდარია მიწის კვეშა საბადოებით და ხრუშჩინოვმა აქ დაიწყო გრანდიოზული საირიგაციო სამუშაოები და მას შემდეგ რუსები ცდილობენ ის აქციონ საბჭოთა კავშირის ხორბლეულის მეორე ბელლად. ეკონომიურ პოტენციალს ემატება ამ ქვექის სულ მზარდი სამხედრო მნიშვნელობა. აქ იმყოფება სსრკ ატომ-ბირთვული ბომბების სილოსები და სტრატოსფეროში სამგზაურო ცნობილი ბაიკონურის სადგური. თაორების ამ მიწა-წყლის გარუსება დიდი ხანია, რაც დაიწყო. ჯერ კიდევ 1916 წელს თვითმპტონბელობის მთავრობამ ჯარებს გააკლეტია ყაზახი მოსახლეობა. შემდეგ გასაბჭოებამ და ოცდაოთანი წლების მომთაბარე ხალხის კოლექტივიზაციამ შეიწირა მილიონობით ყაზახის სიცოცხლე. სამოციანი წლებიდან კი სოფლის მეურნეობის განვითარების საბაზით აქ ჩაასახლეს დიდალი რუსი, უკრაინელი და ბელორუსი. აქვე არიან სტალინის დროს გადასახლებული ერთი მილიონი გერმანელი. ასე, რომ დღეს

15 მილიონიან ყაზახისტანში მხოლოდ 30 პროცენტი უკავშირდებოდა ითვლება.

ლეონიდ ბრეუნევის მიერ შერჩეული და დაწინაურებული, დინმუხამედ კუნაევი აგერ ოცდახუთი წელიწადია, რაც კომუნისტურად-დიქტატორულად განაგებს ყაზახისტანს, ბრეუნევმა ის ამასაც არ დააჯერა და კრემლში პოლიტბიუროს წევრადაც მიიწვია და მით უმძლავრესი იმპერიის თანაგამგებლადაც აქცია. დღეს საბჭოთა კავშირი ბრეუნევის კულტის ნერევის პერიოდშია და ვინ იცის იქნებ ის უფრო ამის მსხვერპლი იყოს, ვიდრე ის ნეპოტიზმი და კორუფცია, რომელსაც მას ბრალად სდებენ ოფიციალურად. ასეთ დონეზე მყაფი კაცის თავიდან მოშორება ადვილი არ არის თვით საბჭოთა ხელისუფლებაშიაც კი. სტალინის დროში მას კრიმინალურ ბოროტმოქმედებაში დასდებდენ ბრალს და კიდევაც საჯაროდ აღიარებინებდენ. დღეს, ჩანს, რომ რეჟიმი უფრო ცივილიზებული გამხდარი, რადგანაც მსხვერპლად განწირული კუნაევის ბრალდება კრიმინალურ ხასიათის არაა და სასჯელიც თანამდებობების დაკარგვაზე შორსარ წასულა, მიუხედავად იმისა, რომ მისი გულისთვის სისხლი დაიღვარა.

მართალია, რომ კუნაევი კრემლის პოლიტიკის ერთგული შემსრულებელი იყო, მაგრამ მაინც ალბათ თავის მშობელ ერზე გული შესტკივოდა და მის გადარჩენაზე ზრუნავდა, შეძლების-და ფარგლებში, მაშინ, როცა მოსკოვის მიერ დანიშნულ რუს კოლბინს, რომელიც არც ქვეყნას იცნობს და არც ადგილობრივი ენა ვაეგება, რა სიკეთის მოტანა შეუძლია ყაზახ ხლხისადმი?! ამიტომაცაა, რომ ყაზახობის ნაციონალიზმა სიმბოლურად თავი იჩინა ყაზახ კომუნისტ კუნაევის დაცვასა და რუს კოლბინის უკუგდებაში.

ალმა-ათას ეს მანიფესტაციები თავისი ხასიათით საოცრად წააგავს თბილისის 1956 წლის დახვრეტილ მანიფესტაციებს. როგორც თბილისში, ალმა-ათაშიც აზალგაზრდობის მანიფესტაციები ალბათ დაიწურა ადგილობრივი კომპარტიისა და კომკავშირის მანიფესტაციების თაოსნობით, მაგრამ აწყვეტილმა მანიფესტანტების მდინარემ სწრაფად მიაშურა მის ეროვნულ კალაპოტს და გაისმა ძახილი: „ძირს რუსი კოლბინი!“ „ძირს იმპერიალისტი რუსები!“



ა ვ ლ ა ნ ე თ ი ს თ მ ი ს 7 წ ლ ი ს თ ა ვ ზ ე მ უ დ ე ბ ლ ა დ ი ს ტ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

27 დეკემბრის ღამით 1979 წლისა, ომის გამოუცხადებლად, საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალები შეიკრენ ავღანეთში, ქვეჭის დიდი ქალაქები და სტრატეგიული პუნქტები დაიკავეს, თუმცა კომუნისტი, მაგრამ ალბათ ღალატში შემჩნეული პაფიზულა ამინის მთავრობა მხეცურად ჩუმად ამოქლიტეს, ხოლო მათ მიერ გასაბჭოებული ავღანეთის მთავრობად მსოფლიოს წარუდგინეს მათ მიერ მოყვანილი მარიონეტული მთავრობა ვინდე კომუნისტ ბაბრაქ ქარმელის მეთაურობით. ბრეუნევის მთავრობამ ურცხვად განაცხადა, რომ საბჭოთა ჯარები ავღანეთში შეეიდენ ავღანეთის კანონიერი მთავრობის თხოვნით, მის დასახმარებლადო. ჰელსინკის ხელშეკრულების ხელისმომწერის შემდეგ, სადაც დასავლეთი უდიდეს დათმობებზე წავიდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, კრემლის ასეთმა მუხანათობამ გამოაყინვა დეტანტის პოლიტიკით მოდუნებული დემოკრატიული ბანაგი. ახლა კი აშკარად დაინახეს ცხვრის ტყვეში გახვეული მგელი. ანგლო-საქსების შემდეგ მთელმა მსოფლიომ მკაცრად დაგმო აგრესორი, მაგრამ მთავარი იყო თვით ავღანელი ხალხის რეაქცია: თუ ავღანელები ჩეხებივით სატანკო დივიზიების დანახვით შეშინდებოდენ და გულზე ხელებს დაიკრებდენ (აღბათ სწორედ ასე იგარაუდეს კრემლის სტრატეგებმა), მაშინ არავის და არაფერს არ შეეძლო საბჭოთა აგრესორიდან ავღანეთის ხსნა. ჩვენ აქ მიზეზებს არ ვხსნით, მაგრამ უდავო ფაქტი ის არის, რომ ავღანელი ხალხი არ შეუშინდა უმძლავრეს მტერს და მიუხედავად შინაური დაშლილობისა, თითქმის შიშველი ხელებით, ერთთავად აღსდგა კომუნისტური საფრთხისა და ეროვნული სუვერენობის ხელყოფისაგან დასაცავად. ამ ბრძოლას ისინი დღემდე დაუღალავად აწარმოებენ, რა თქმა უნდა, დიდი მსხვერპლის გაღებით. უნდა ითქვას, რომ ავღანელთა წინააღმდეგობას დიდ დახმარებას უწევენ, თაგვესაფარის მიცემის სახით, მეზობელი სახელმწიფოები და პირველ რიგში პაკისტანი. დემოკრატიული სამყაროს გარდა ავღანეთის რეზისტანს დიპლომატიურად მატერიალურად და მორალური მხარდაჭერით ეხმარება რვაას მილიონიანი მუსულმანური სამყარო და კომუნისტური ჩინეთი.

საბჭოთა კავშირში საერთოდ ავღანეთის ომი მეტად გადაიდობა. მაგრამ 50 მილიონიან საბჭოთა მუსულმანურ-ზე ის კიდევ უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს და მათ ურჩობისაკენ უბიძგებს. სამხედრო ხარჯები რომ უგულებელ-ვყოთ, ავღანეთში წარმოებული ომი დიდად ართულებს საბჭო-თა მთავრობის მიერ თფიციალურად აღიარებულ სამშვიდობო დიპლომატიას. ამიტომ გასაკვირი არ იქნება, გორბაჩივს რომ მართლაც მშვიდობა უნდოდეს ავღანეთში. გასულ წელში მან არაერთ ინიციატივის მიმართა. ჯერ 6 ათასიანი ჯარის გამოყანის სპექტაკლი გამართა დასავლეთის ურნალისტების თანდასწრე-ბით, მერე ავღანეთის მთავრობას ზავი და მოწინააღმდეგე-ებთან ეროვნული თანხმობის სურვილი გამოაცხადებინა, მაგ-რამ ავღანელი მოწინააღმდეგენი ამ ადგილად შესამჩნევ ან-კესებზე არ წამოეგენ, ისინი წინააღმდეგობას არ სწყვეტენ მანამ, სანამ წითელი არმია მთლიანად არ დასტოვებს ავღა-ნეთის საზღვრებს. ამრიგად, ამ წლის დასაწყისში მ. გორბა-ჩივი გაისა და უის დილემის წინაშეა.

როგორც ჟაველ წელს, გასული წლის დეკემბრის ბოლოსაც გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, კომუნისტური სახელმწიფოების გამოკლებით, ერთხმად დაგმო საბჭოთა ჯარების მიერ ავღანეთის ოკუპაცია და მოითხოვა იქნიდან მათი დაუყოვნებლივ გაფართონა.

გეომ აგრეთვე გამოაქვეყნა ავსტრიის იურისტის, ბ. ერმაკორის ეტიუდი ავღანეთში ქიმიური და სხვა აკრძალული იარაღის ხმარების შესახებ. ამ დოკუმენტის მიხედვით, რომელიც სანდო მოწმობებზეა დაფუძნებული, საბჭოთა სამხედრო ნაწილების მიერ ქიმიური ბომბები იქნა ჩატარილი გვირაბებში, სადაც თავს აფარებდენ ავღანეთის წინააღმდეგობის მუჯახიდინები. ამგვარი ქიმიური იარაღის ხმარება დადასტურებულია ავღანე-თის ოთხ პროვინციაში: კუნდუზსა, პაკტიასა, ქაბულსა და ვარდაქში. აგრეთვე გასულ წელში თვითმფრინავებიდან მოსახლეობაში გადატარილი იყო ფოსტატისა და ნაპალმის ბომ-ბები ჰერატის, პაკტიასა და ქაბულის პროვინციებში. ამ რაპორტში აღნუსხულია აგრეთვე მშვიდობიზი მოსახლეო-ბის მასიური ხოცვა-ულება წითელი არმიის თუ მისი მოკავ-შირე ავღან კომუნისტურ მთავრობის ჯარების მიერ, ასევე ფაქტები ბავშვთა სიკვდილამდე გვემისა, პატიმართა წამებისა



და სხვა აღმაშფოთებელი ბოროტებისა.

სარეცენზი

ქაბულში მყოფი დასავლეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური სარეცენზი მომდინარე სანდო ცნობების მიხედვით, დეკემბრის თვეში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები საბჭოთა ჯარებსა და ავღანელ მუჯახედინებს შორის და, რომ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალსა და ადამიანთა მსხვერპლს მებრძოლთა ორივე მხარეზე. ასე მაგალითად, მუჯახედინებმა დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩამოაგდეს საბჭოთა ორი სატრანსპორტო თვითმფრინავი და რამდენიმე ვერტმფრენი. ქაბულის მახლობლად ჩამოაგდებული იქნა ავღანეთის მთავრობის სამგზავრო თვითმფრინავი, რომლის დროსაც დაიღუპა **30** მგზავრი. რვა დეკემბერს ქ. ხოსტი წარმოადგენდა გააფთრებული ბრძოლების ველს, რასაც მოპყვა დიდი მსხვერპლი ორივე მხრიდან. იმავე რვა დეკემბერს საბჭოთა თვითმფრინავის დაბომბვის შედეგად ქ. ყანდაარში დაიღუპა ასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. ავღანეთის ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენელმა ბოდიში მოიხადა. მან თქვა, რომ ეს მოხდა შეცდომითო. პირველიდან თხუთმეტ დეკემბრამდის მუჯახედინებმა ჩამოაგდეს ოთხი საბჭოთა ვერტმფრენი.

ამერიკის შ.შ.-ს მთავრობამ ავღანეთის ომის შვიდ წლის-თავთან დაკავშირებით გამოაქვევნა ანგარიში, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ავღანეთის ბარბაროსული ოკუპაციის **7** წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა ვერ შეძლო მისი ძალაუფლების გამაგრება ამ ქვეყანაში. ომი საბჭოთა საოკუპაციო ჯარებსა და ავღანეთის წინააღმდეგობას შორის კვლავაც გრძელდება.“

„საბჭოთა საოკუპაციო ჯარმა ავღანეთში მარტო მიმდინარე წელს მოკლულებისა და დაჭრილების სახით დაპკარგა სამი ათასამდე სამხედრო მოსამსახურე, ხოლო გავლილ შვიდ წლის მანძილზე დაღუპულ და დაჭრილ საბჭოთა ოფიციალებისა და ჯარისკაცების საერთო როდენობა შეადგენს **30 - 35** ათასამდე კაცს, რომელთა ერთ მესამედს მოკლულები შეადგენ.“

„ავღანეთში ამჟამად იმყოფება **118** ათასკაციანი საბჭოთა არმია, რომელსაც **30 - 35** ათასიანი მარქაფი არმია ჰყავს საბჭოთა საზღვრებთან დაბანაკებული.“ ამერიკის მთავრობის ანგარიშში აგრეთვე აღნიშნულია, რომ განვლილ **1986** წლის მანძილზე მუჯაჰედინები ძირითადად ომს აწარმოებდნენ ავ-



ლანეთის დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით ქაბულსა შეტაკებულებულ კუშის მთების ჩრდილოეთ ნაწილში. ანგარიში ასევე ხაზგას-მით აღნიშნავს, რომ: „ქაბულის პრო-საბჭოული რეემით განუ-წყეტლივ არღვევდა ავღანელ მოქალაქეთა უფლებებს, ფართოდ იუნებდა დაპატიმრებისა და წამების მეთოდებს.“

თეთრ სახლში გამართულ კონფერენციაზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა უურნალისტებს განუცხა-დეს, რომ: „მიმდინარე წლის ყველაზე დიდი პოლიტიკური თა-მაში იყო მიხეილ გორბაჩივის მიერ წამოყუნებული წინადადე-ბა—ავღანეთიდან საბჭოთა ჯარის ნაწილობრივად გაყვანის შე-სახებ. ავღანეთიდან არ ყოფილა გაყვანილი რაიმე მნიშვნელო-ვანი საბჭოთა სამხედრო შენარერთი და ისიც, რაც გაყვანილ-იქნა, შეადგენდა მხოლოდ ნაწილს იმ ჯარებისა, რომლებიც წინასწარ იქნა ავღანეთში გაგზავნილი იმ მიზნით, რომ შემ-დეგ დიდი ხმაურით და ზარ-ზეიმით ყოფილიყო გამოყვანილი.“ მათ აგრეთვე აღნიშნეს, რომ: „ავღანეთის ოკუპაციის 7 წლის განმავლობაში ათასამდე საბჭოთა თვითმფრინავი თუ ვერტმფ-რენი იქნა ჩამოგდებული. უკანასკნელი სამი თვის განმავლო-ბაში ავღანელი პარტიზანები საშუალოდ ერთ საბჭოთა თვით-მფრინავს ან ვერტმფრენს აგდებდენ დღიურად, რაც უპრეცე-დენტო მაგალითიაო, თქვა სახელმწიფო მდივნის მოადგილე რობერტ პექმა.“

პაპუნა ლუბაშვილი

მ ე თ რ ე კ ა ტ ი ნ ი ს ა ღ მ თ ჩ ე ნ ა პოლონეთში
(რადიო „თავისუფლების“ გადაცემიდან)

გაზეთ „მუენხერ მერკურ“-ში გამოქვეყნებულია სტატია, რომელიც ეხება პოლონეთში „მეორე კატინის“ აღმოჩენას და, რომლის ავტორიცაა იოახიმ გოერლისი. სტატიაში ნათქვამია, რომ პოლონეთის კომუნისტური მთავრობა წლების განმავლო-ბაში ცდილობდა დაემალა საბჭოელების მიერ ჩადენილი მასი-ური მკვლელობა, რომელიც ცნობილია კატინის სახელწოდებით. ახლა კი, პოლონეთში აღმოჩნდა მისი მსგავსი მეორე მასო-ბრივი საფლავი ექვსასი მსხვერპლისა, რომელთა მკვლელობას



საბჭოელების მიერ დოკუმენტებით ასტუთებენ პოლონების უმცირესობას აზიანური ჯავახები. პოლონეთის გლეხთა პროფესიულებმა, „სოლიდარობამ“ „საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაცვის“ კომიტეტთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის თანახმად მაშინდელმა საბჭოთა საიდუმლო სამსახურმა (ენკაველე) 1944 წლის აგვისტოდან ნოემბრის თვის დაწყებამდე, ქალაქ რსევ-ცოვიციდან ოცი კილომეტრის მოშორებით ტრცებუსკას ტუში დახვრიტა 600 პოლონელი ჯარისკაცი, ოფიცერი ქალი და კაცი, ინტელიგენციისა და სამღვდელოების წარმომადგენლები. ტრცებუსკას ტუში ისინი იმყოფებოდნენ სამხედრო ტუშეთა ბანაკში. დოკუმენტების თანახმად ეს მასობრივი სასაფლაო აღმოჩენილი იყო 1980 წელს, მიუხედავათ იმისა, რომ მოწმეთა ჩვენების თანახმად, მათი არსებობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1944 წელს. აქედან გამომდინარე, პოლონეთის კომუნისტური მთავრობა აქამდე მას განგებ მალავდა. საბჭოელთა ამ დანაშაულის შესახებ ჯერ კიდევ 1986 წლის ნოემბერში იუწყებოდა ქ. დანციგის „სოლიდარობა“-ს გაზეთი და ლონდონში გამომავალი პოლონელ ემიგრანტების გაზეთი „თე პოლიშ ვიკლი“. საბჭოელებმა ეს დანაშაული ჩაიდინეს „პირველი უკრაინული ფრონტის“ სექტორში, სადაც საბჭოთა ჯარების მთავარსარდალი იყო მარშალი ივან კონიევი, რომლის შტაბი იმყოფებოდა მეზობელ სოფელში. ზემოხსენებული გაზეთები იუწყებოდენ აგრეთვე პოლონელი მოწმეებისა და საბჭოთა ყოფილი სამხედროების სახელსა და გვარებს.

მოწმეების ჩვენებით, პოლონელთა ბანაკში ტრცებუსკას ტუში გამეფებული იყო არადამიანური პირობები. დაკითხვებისას ქალები და მძიმედ დაჭრილები იდგნენ მუხლებამდე ყნულივით ცივ წყალში. სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ პოლონელი ტუშები წაიჭანეს იქვე ახლოს მდებარე ტუში, სადაც თვითვე უნდა გაეთხარათ საკუთარი საფლავები. როგორც კი მარჩენ საფლავების გათხრას, ყველას გამოჭრეს ყვლი და ჩაყარეს სფლავებში. მოწმეთა ჩვენების თანახმად, „ენკაველეს“ პოლკოვნიკმა, რომელიც ხელმძღვანელობდა პოლონელ ტუშების ამ მასობრივ მოკლვას, ამის შესახებ დაიტრაბახა ერთ პოლონელ დიასახლისთან.

„საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაცვის კომიტეტმა“ უკვე

1945 წელს შეადგინა მოხსენება საბჭოთა ამ სისამართლებულების სახებ, მაგრამ რატომღაც სადღაც დაიკარგა. როგორც მიმდინარე ბენ, უგზოუკვლოდ დაიკარგა ის პასუხისმგებელი ოფიცერი, რომელსაც გადაეცა კომიტეტის მოხსენება. „თე პოლიშ ვიკლი“ იუწყება შემდეგ, განაგრძობს სტატიის ავტორი, რომ პოლონეთის კომუნისტურმა მთავრობამ გასცა სასტიკი განკარგულება საბჭოთა დანაშაულის მიჩქმალვის შესახებ.

იოანიმ გოერლიხის აზრით, საბჭოებულების მიერ ტრცებულსკას ტკუში ჩადგნილი მასობრივი მკვლელობის დანაშაული არის მეტად აღმაშფოთებელი იმიტომ, რომ ეს დანაშაული მათ ჩაიდინეს მათი ომის მოკავშირის პოლონეთის ტერიტორიაზე და თვით პოლონელების მიმართ.

კიდევ რამდენია აღმოსაჩენი საბჭოთა „ენკავედეს“ დანაშაული???

რეზო წიგნაძე

ს ა ქ . ს . ს . რ . მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ა
(რადიო „თავისუფლების“ გადაცემიდან)

გადაცემის ავტორისაგან: მოსკოვში გამომავალი თვითგამოცემის ქარებულ „პამიატ“-ის მექუთე ნომერში, რომელიც შარ-შან (1981 წ.) გამოიცა მოსკოვში, შეტანილია ფრიად საინტერესო ნარკევე სათაურით: „სამი ეროვნული აკადემიის დასაწყისი“. მისი ავტორებია: დ. ანასტასინი და ი. ვიზნესენსკი. მასში მოთხოვილია ბელორუსიის, საქართველოსა და ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიების შექმნის ისტორია. ავტორების თქმით, ამ ნაშრომის დაწერის მიზეზი გახდა ამას წინადზემით აღნიშნული უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოსა და ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიების შექმნის იუბილეები და მასთან დაკავშირებით წარმოებული ფაქტების დამახინჯება, მათი, ასე ვთქვათ, „დავიწყება“.

ამ ნაშრომის მეორე თემაა: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია (1930 - 31 წლები)

მისი ცხოვრება იმდენად ხანმოკლეა, ხოლო მის გარშემო დატრიალებული მოვლენები იმდენად საზარელი, რომ ამ აკადე-

მიქოსთა დაკითხული შეიღებიც კი, რომელთაც შემცირდათ უსახური მექსიერება, ირწმუნებიან: არა, ასეთი რამ უკავშირდათ. მაგრამ ეს მომხდარი. იგი (აკადემია) განწირული დაიბადა და აკვანშივე იქნა დამხჩვალი. ეს იყო. ეს მოხდა. ამის შესახებ შორიდან დავიწყოთ.

საქ. მეცნიერებათა აკადემიის დაარსების მცდელობას ჯერ კიდევ 1905 - 06 წლებში პქმნდა ადგილი, როცა საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ჯგუფმა თხოვნით მიმართა ნიკო მარს, რათა მას შეედგინა იმისი პროექტი. მარმა შავად შეადგინა ეს პროექტი. მას თითქმის დასრულებული სახე პქმნდა. ამ პროექტში ნ. მარმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა აკადემიის წინაშე მდგომი ამოცანები: I.-კვლევითი მუშაობა და მეცნიერული შრომების გამოცემა ქართულ ენაზე. II.-დახმარების გაწევა იმ უცხოელ მეცნიერებისათვის, რომლებიც ეწეოდნენ საქართველოსა და ქართველი ერის შესწავლას. აკადემიამ თავისი პრემიებით უნდა აღნიშნოს საქ-ს შესახებ ეგრო-პულ ენებზე გამოცემული საუკეთესო შრომები. III- თვით აკადემიის თანამშრომელთა მეცნიერული მომზადება. და ბოლოს, IV- განსაკუთრებული მზრუნველობა ახალგაზრდა, ნიჭიერი მეცნიერების მიმართ: სტუდენტთა შორის მათი შერჩევა, სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნა (მაღალი სტიპენდიის დანიშნით), მათი ახალი შრომების სისტემატური განხილვა და ა.შ.

აკადემიის შემადგენლობაში განზრახული იყო თორმეტი აკადემიკოსის შეუვანა; მათი წლიური ხელფასი 3.000 მანეთი უნდა ყაფილიყო. დადგენილი იყო პრემიების, სტიპენდიებისა და ხელფასების ოდენობა. ნ. მარი გამომდინარეობდა წლიური ბიუჯეტიდან ორასი ათასი მანეთის ოდენობით. სახელმწიფოსაგან ფინანსიური დახმარების მიღება არ იყო გათვალისწინებული. ფულადი დახმარების გაწევას აპირებდნენ ღვინის მწარმოებლები, სოხუმის ქალაქის თავი ნიკოლოზ თავდგირიძე წელიწადში ექვსი ათას მანეთს პირდებოდა.

ეს პროექტი ნ. მარის პირად არქივში ინახებოდა. საკითხი საქ-ს მეც. აკადემიის შესახებ კვლავ იქნა წამოჭრილი დროებითი მთავრობის წინაშე, უკრთხნის მეც. აკადემიის საკითხთან ერთად. მაგრამ 1917 წელს, ისევე როგორც რამოდენიმე შემდგომ წლებში, საქ-ს მეცნიერების და კულტურის განვითარების პრობლემების თავმოყრა ხდებოდა უმაღლესი სკო-



ლების, პირველ რიგში კი უნივერსიტეტის გარშემო მუშაობის ფორმირების სტადიაში იმყოფებოდა. თბილისის სახ. უნივერსიტეტის პირველი თორმეტი პროფესორი ქართველები იყვნენ, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა რუსების დისკრიმინაციას. (შენიშვნა: პროფესორთა საბჭომ ერთხმად აირჩია თავის საპატიო წევრად რუსი აკადემიკოსი ნ. პ. კონდაკოვი. 1918 წლიდან პროფესორად მუშაობდა ბოტანიკოსი ს. გ. ნავაშინი, რომელიც იმავე წელს გახდა რუსეთის მეც. აკადემიის აკადემიკოსი. თბილისის სახ. უნივერსიტეტში პირველი წლებიდანვე მუშაობდნენ: ისტორიკოსი მ. ა. პოლიეგტოვი, ნერვოპათოლოგი და ფსიქიატრი ი. ა. ანფიმოვი, პათოზოლოგი ვ. ვ. ვორონოვი.) ჯერ კიდევ მეცნიერების დროს უნივერსიტეტში ასწავლილნენ სხვა ეროვნების მეცნიერებიც; მიწვევლი იყვნენ აგრძელები ლექტორები ევროპიდან. მაგრამ საერთო ჯამში არაქართველი მეცნიერები უნივერსიტეტში ძალიან ცოტა იყო.

ქართველებისთვის კი უნივერსიტეტი იქცა უდიდეს მიზიდვის ძალად. ქართველი მეცნიერები უნივერსიტეტისაკენ მიეღინებოდნენ ყველა მხრიდან. პეტროგრადიდან თბილისში ჩავიდნენ ი. ა. ჯავახიშვილი, გ. ფ. წერეთელი, ა. მ. ბენაშვილი, გ. ს. ახვლედიანი; შემდეგ კი (1920) ნ. ი. მუსხელიშვილი; მოსკოვიდან: ა. მ. რაზმაძე, ა. ნ. ჯავახიშვილი, ლეიიფიგიდან –ფ. გ. გოგიჩაიშვილი; პალედან–გ. ნ. ჩუბინიშვილი; ოდესიდან –პ. გ. მელიქიშვილი, დონბასიდან–გ. ნ. ნიკოლაძე.

მეცნიერული ძალების კონცენტრაციამ ეროვნული პრინციპით უცხად გამოავლინა ქართული მეცნიერების მაღალი დონე. თბილისის სახ. უნივერსიტეტში ღრმად მუშავდებოდა კავკასიოლოგიის საკითხთა კომპლექსი, რომელთაგან მთავარი როლი ქართველოლოგიას ჰქონდა დათმობილი. იწყო თავისი ფორმირება ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ. გამოჩენილი მეცნიერები ჩაუდგნენ სათავეში კვლევებს: ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ქიმიის დარგებში. ქართულ ენაზე შეიქმნა ტექნიკური, მათემატიკური, ანატომიური, ფიზიოლოგიური ტერმინოლოგია. 1920 წელს ა. შანიძის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვიდან მოყოლებული, თბილისში პირველად დაიწყო დისერტაციების საჯაროდ დაცვა. (შენიშვნა: 1980 წელს საქ. კულტურის 365 მოღვაწის მიერ შედგენილ წერილში პროტესტია

გამოთქმული იმის გამო, რომ დისერტაციები დაწერილი იყონ რუსულ ენაზე, რომლებიც დასამტკიცებლად უნდა წარე-დგინოს უმაღლეს საარესტაციო კომისიას მოსკოვში. როგორც ვხედავთ, ამ მოთხოვნას საარესტაციო კომისიისას ქართველი მეცნიერები დაჰყავს იმ მდგმარეობამდე, რომელშიც ისინი სამოცი წლის წინადაც არ იმჟოფებოდნენ. ზ. ნ.)

1918 - 20: წლებში თბილისში თავმოქრილ მეცნიერებზე თვა-ლის გადავლებას იმ დასკვნამდე მიყავხარ, რომ თავისი მეცნიერული პოტენციალით, იმ წლებში, სწორედ საქა. იყო ღირსი უკრაინასთან ერთად ჰქონდა თავისი ეროვნული აკადემია. სხვა საქმეა ის, რომ მაშინდელ თბილისში მეორე სამეცნიე-რო ცენტრის არსებობა ხელს შეუშლიდა თბილისის უნივერსი-ტეტს. აღსანიშნავია, რომ თბილისის უნივერსიტეტში თავი მოიყრა საქ.-ს მომავალი მეც. აკადემიის წევრთა მნიშვნე-ლოვანმა ნაწილმა: ბერიტაშვილმა, გოგიჩიაშვილმა, ივანე და ალექსანდრე ჯავახიშვილებმა, კეკელიძემ, მუსხელიშვილმა, ნა-ტიშვილმა, ნიკოლაძემ, ნუცუბიძემ, უზნაძემ. თბილისის უნი-ვერსიტეტი შემდეგშიც განაგრძნობდა მომავალი აკადემიკოსე-ბის შემოკრებას თავის გარშემო.

ოციანი წლების ბოლოსთვის ქართული მეცნიერება უკვე ვა-ლარ ეტეოდა თბილისის უნივერსიტეტის ჩარჩოებში. მეცნიერ-ულ-კვლევითი დაწესებულებები, რომლებიც დასაწყალი უნივე-რსიტეტში ყალიბდებოდნენ, თანდათან ექცევოდნენ უმაღლესი სკოლის საზღვრებს გარედ. ასეთები იყნენ მაგალითად: გეო-ლოგიური, ფიზიო-ნერვოლოგიური, გამოჭუნებითი მინერალოგი-ისა და სხვა ინსტიტუტები. მნიშვნელობით მეორე დაწესებუ-ლებად იქცა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც **1928** წელს დაარსდა. მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტებს შორის აღსანიშნავია საქართველოში პირველი ქიმიის მეცნი-ერულ-კვლევითი ინსტიტუტი (ამჟამად პეტრე მელიქიშვილის სახელობის საბჭ. კავშირის მეც. აკადემიის ქიმიის ინსტ.-ტი.) ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა ლ. გ. პისარუევსკი. (უკრაინელი აკადემიკოსი პისარუევსკი საქ.-ში მიიწვიეს მისი მასწავლე-ბლის-მელიქიშვილის გარდაცვალების შემდეგ. **1929-34** წლებში იგი იყო თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი. ის წელიწადში რამდენიმე თვე დნეპროპეტროვსკში მუშაობდა და რამდენიმე თბილისში.)

ისევე როგორც ლვოვისა და კიევის მეცნიერულმა საზოგადოებრივმა მოამზადეს უკრაინის მეც. აკადემიის დაარსება, ხოლ „ინბელკულტმა“ კი ბელორუსიისა, ასევე საქ.-ს მეც. აკადემია მწიფდებოდა თბილისის სახ. უნივერსიტეტში. ახალი, დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო ინსტიტუტების, სამეცნიერო საზოგადოებების, მუზეუმებისა და ისეთი დაწესებულებების განვითარების კვალდაკვალ, როგორებიცაა გეოფიზიკური ობსერვატორია, ან მეაბრეშუმეობის სადგური, საქართველოში სულ უფრო აქტუალური ხდებოდა მეც. აკადემიის მსგავსი უმაღლესი მეცნიერული დაწესებულების შექმნა, ხოლო თბილისის უნივერსიტეტის დანაწევრების შემდეგ კი ეს ცხოველმჟაფელ აუცილებლობად იქცა.

ქართული მეცნიერების ახალი ცენტრის დაარსების ინიციატორად მოგვევლინა საქ. მეცნიერების მთავარი სმენართველოს თავმჯდომარე კ. რ. მეგრელიძე. იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1929 წლის იანვრიდან (შევნიშნავ, რომ კიტა მეგრელიძე დაიღუპა სტალინურ ბანაკებში). ნახევარი საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ჩვენ კიდევ დაგვავიშკადა იმის შესახებ, რომ ოდესაც არსებობდნენ ასეთი ინტელიგენტი აღამიანები. მათ მცირერიცხოვან, მაგრამ იმედის მომცემ ჯგუფს ეკუთვნოდა ოცდაათი წლის კიტა მეგრელიძე. მას იგონებენ, როგორც ჩბილსა და ვნებიერს, კეთილმოსურნესა და პრინციპულს, ცნობისმოყარეს და დიდსულოვანს. მაგრამ, საქმე განა მარტო იმაშია, რომ ის მიმზიდველი პიროვნება იყო?

კიტა მეგრელიძე იყო თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილი. ქართული კულტურა მისთვის უდიდეს განძს წარმოადგენდა, რომელსაც, მისი აზრით, მზრუნველობა და განვითარება სჭირდებოდა. იგი გულითადად აღიარებდა მარქსს, მაგრამ ის ხარბაც ეწაფებოდა როგორც ძველ, ასევე თანამედროვე არამარქსისტულ აზრებს. (კიტა მეგრელიძე რამოდენიმე წლის მანძილზე სწავლობდა ფრაიბურგსა და ბერლინში, სადაც სხვათა შორის ისმენდა პუსერლისა და ვერტჰაიმერის ლექციებს.) ის როგორც მეცნიერი გამოირჩეოდა მეცნიერებისა და კულტურის ერთიანი აღქმით. იგი დიდ ინტერესს იჩენდა აღამიანების ცხოვრების და ხელოვნების მიმართ. მეგრელიძე უკუაღებდა მშრალ სქემატიზმსა და გულგარიზმს. მის საგანს წარმოადგენდა აღამიანის აზროვნება, მისი თავისებურობა, გამო-



მუშავებითი და შემცნებითი უნარი, აზროვნების აქტიური ფაზა
და მისი თავისუფლება. კონფორმიზმი მიუღებელი იყო; კონფორ-
მისი სულის, ასევე მისი ფილოსოფიისათვისაც.

1930-ანი წლის მაისში მისი ინიციატივით შეიქმნა საქ.-ს
მეცნიერების ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებდა რესპუბლიკის
უკავებულ დაწესებულებას. ექვს მაისს საქ.-ს ცენტ-
რალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა „დებულებ-
ები“ ამ ინსტიტუტის შესახებ, რომელიც მომდევნო დღეს გა-
მოვაწვდა თბილისის გაზეობში. **1930** წლის 8 სექტემბერს
საქ. ცენტრ. კომიტეტმა სახელი შეუცვალა და მას უწოდა
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აღმასკომმა ამავე დრ-
ოს დაამტკიცა აკადემიკოსთა პირველი შემაღენლობა. მათი
რიცხვი ორმოცს შეაღენდა. მეცნიერებათა აკადემიის შემაღ-
ენლობაში შევიდნენ: ნიკო ი. მარი (პრეზიდენტი), კარლ შ.
ორჯველიძე, ა. ი. ჯანელიძე, (ვიცე-პრეზიდენტი), კოწია სულა-
ძელიძე (მდივანი) და ლ. ბ. პისარევესკი.

საქ.-ს მეც. აკადემიის შევრთა სიის გადახედვისას ორმაგი
გრძნობები გვებადება. იგი შედგებოდა ორი, თითქმის თანა-
ბარი ჯგუფისგან. პირველში შედიოდა ის ხალხი, რომელმაც
მთელი თავისი არსება მეცნიერებას დაუკავშირა; მეორეში კი
— რესპუბლიკური მასშტაბის პარტიული და საბჭოთა მოხელე-
ების, საქართ. მეც. აკადემიის შევრთა შორის კომუნისტები
დასაწყისისათვის უმნიშვნელო უმრავლესობას წარმოადგენდნენ.

თავდაპირველად, გადავხედოთ მეცნ. აკადემიის იმ ჯგუფის
შემაღენლობას, რომლებშიც აგრეთვე სამართლიანად უნდა
ყოფილიყვნენ შეჯვანილი: წამყვანი ქართ. ფილოლოგი აკაკი გ.
შანიძე, საქ.-ს ხელოვნებათმცოდნეობის დამაარსებელი გ. ნ.
ჩუბინაშვილი, ფილოლოგი-კლასიკოსი გ. ფ. წერეთელი. ამ ჯგუ-
ფში იუნენ დიდი და ცნობილი მეცნიერები. ჩვენი ბეჭდვითი
ორგანოს შესაძლებლობათა შეზღუდულობისა და ჩვენს განკა-
რგულებაში მყაფი იმ მასალის მოზღვავების გამო, რომელიც
მიუწვდომელია მკითხველისათვის, იძულებული ვართ თავი ავ-
არიდოთ აკადემიის წამყვან წევრთა დახასიათებას და შემ-
ვისაზღვროთ მხოლოდ მათი დასახელებით, წერს რუსული თვით-
ვისაზღვროთ „მეხსიერება“ და განჯრანობს: ორი საკავშირო მას-
გრაბის აკადემიკოსი: არქეოლოგი, ფილოლოგი და ენათმცოდნე
ნიკო იაკობის ქე მარი და ქიმიკოსი ლევ ვლადიმირის ქე პისა-



რევესკი. სამი მეცნიერი მოგვიანებით გახდა საბჭ. კულტურის მეცნიერებათა აკადემიის წევრი: ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი, ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილი და ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი. პირველ მათგანს ისევ მიაკუთვნებდნენ „მემარჯვენე პროფესურის“ შემაღებელობას (1930 წ.). იანგარში ჩატარებული საქ. კ. პ. ც. კ. პლენუმიდან მოყოლებული). მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იყო მისთვის საქ.-ს ისტორიკოსთა შორის უპირველესის სახელის წარმევა. ხოლო, რაც შეეხ ება ფიზიოლოგ ბერიტაშვილსა და მათემატიკოს მუსხელიშვილს, მათი შრომები, მათი მეცნიერული სკოლები და საზღვარგარეთის აკადემიებში მათი წევრობა იმდენად ცნობილია, რომ ამის გამეორება აქ არ არის საჭირო.

შემდეგ, საქ.-ს შეც. აკადემიის ის წევრები, მუსხელიშვილისა და ბერიტაშვილის გარდა, რომლებიც შევიღნენ საქ.-ს მეც. აკადემიის შემაღებელობაში 1941 წელს მისი ხელახლად დაარსებისას: ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ღიმიტრი ნიკოლოზის-ძე უზნაძე, ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტი კორნელი სამსონის-ძე კეკელიძე, გეოლოგები: ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძე და ალექსანდრე ანტონის-ძე თვალჭრელიძე.

1944 წელს საქ.-ს ფადემიკოსებად განმეორებით გახდნენ გეოგრაფი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ნატიშვილი, და ფილოსოფოსი შალვა ისაკის-ძე ნუცუბიძე, რომელიც 1930 წელს იყო უნივერსიტეტის პრორექტორი და საქ. მეც. ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი. აქვე დავუმატოთ კონომისტი ფ. გ. გოგიაშვილი, შემდეგ კი ცოტათი მეტს გიტვით საქ.-ს მეც. აკადემიის რამდენიმე ნაკლებად ცნობილ წევრის შესახებ.

გ. ნ. ნიკოლაძისთვის აკადემიკოსად არჩევა მისი ცხოვრების უკანასკნელ ტრიუმფად იქცა. მანამდე კი, 1926-28 წლებში, ის ეგროპაში იმყოფებოდა, საქ.-ს ხელმძღვანელობისა და თბილისის უნივერსიტეტის მივლინებით, სადაც ის ცოდნას იღრმავებდა მათემატიკაში. მან სორბონის უნივერსიტეტში დისერტაცია დაიცვა ალგებრულ გეომეტრიაში და გამოდიოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებზე. მან მოიარა მთელი რიგი ელექტრონული და ელექტრომეტრული რეგისტრი საწარმებისა. ის თბილისში დაბრუნდა 1928 წლის შემოდგომაზე და

სათავეში ჩაუდგა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიზნაზე ზელობითი გეომეტრიისა და ელექტრომეტრულგიის კათედრა-ბს. 1929 წელს გიორგი ნიკოლაძემ დააპროექტა თბილისში პირველი საცდელი ფეროშენადნობთა ქარხანა, სადაც მიიღო პირველი საბჭოთა ელექტროოთერმული ფეროშენადნობი (ნიკოლაძე იუ ჯელაზე დიდი სპეციალისტი საბჭოთა კავშირში მარგანეცის მეტალურგიის დარგში). გ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა ადრინდელ ექსპედიციებს მყნვარწვერსა (1923) და იალბუზზე (1925). 1929 წელს მან მოაწყო კომპლექსური ექსპედიცია კავკასიის ქედის შესწავლის მიზნით.

ნიკოლაძე-გარდაცვალა საქართველოს მეც. აკადემიასთან ერთად. მის მიერ გამოგონილი მანქანის მოდელი გამოფენილი იყო მოსკოვის პოლიტექნიკურ მუზეუმში, მაგრამ ამ მოდელს პრაქტიკული განხორციელება არ ღირსებია. ეს მოდელი დაიღუპა 1936 წელს ხსენებული მუზეუმის განაღურების დროს. მაშინ, მუზეუმის სწრაფად განთავისუფლების მიზნით, ექსპონატებს ფანჯრიდან ქუჩაში ჭრილნენ (ამის პირადი მაგალითი თვით სერგო ორჯონიძიძემ მისცა).

ოთხი მეცნიერი გახდა საქ. მეც. აკადემიის გამოყენებითი მეცნიერებების სექციის აკადემიკოსი. ესენი იუნენ: ჭიჭინაძე, ჯანდიერი, ამირაჯიბი და კანდელაკი. ბესო ჭიჭინაძე იყო ინჟინერ-ენერგეტიკოსი. იგი ახორციელებდა საქ.-ს ელექტროფიკაციისა და ჰიდროტექნიკურ შენობათა მშენებლობის მეცნიერულ ხელმძღვანელობას. დასავლეთის ქვეწებში მოგზაურობის დროს იგი სწავლობდა უახლეს მიღწევებს სამთო ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში. მან ორი წიგნი გამოუშვა ევროპულ ელსადგურების შესახებ. ჭიჭინაძე მოლაპარაკებებს აწარმოებდა საზღვარგარეთ ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით. მან ბევრი გააკეთა სტკინიგზო ტრანსპორტის განვითარებისათვის. მან დაწერა პირველი ქაზთული შრომა რეინაცეტონის შესახებ და აგრეთვე მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა სტუდენტებისათვის. იგი ხელმძღვანელობდა საქ. ტექნიკურ საზოგადოებას.

იღია ლევანის-ძე ჯანდიერი იყო დიდი მეცნიერი მეცხოველეობის დარგში. იგი ცხოველთა გენერიკის დამაარსებელია საჭართველოში. მან დაამთავრა ჭ. რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და შემდეგ დარღიფიკაციას იმაღლებდა გერმანიაში.

იგი გახდა პროფესორი და ლექტორი პეტროგრადში, მაგრამ მას შემდეგშიც აპატიმრებდნენ ორი მიმართულებით: ხან როგორც თავადს, ხან კი როგორც მეცნიერს). მან დააარსა ზორვეტერინარული კათედრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. იგი იყო ექსპერიმენტული ვეტერინარიის სახელმწიფო ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი.

კ. მ. ამირეჯიბი იყო მეცნიერავდასის წამყვანი სპეციალისტი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და მანქანათმცოდნეობის დარგში, რევოლუციამდელი მოყალებული. იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს მანქანათგამომცდელ სადგურს. სადგურის მიზანი იყო ამიერკავკასიის საბჭ. ფედერატიულ სოც. რესპუბლიკაში გამოსაყნებელი მანქანებისა და მოწყვბილებების მჭარი ასორტიმენტის შექმნა. (ამ მანქანების ნაწილი ამერიკიდან იყო მიღებული, ნაწილი კი ადგილობრივი ნაწარმი იყო.) თავადი ამირეჯიბი ცდილობდა დროსთან ფეხდაფეხ სკლას: სწავლობდა მიწის მექანიკური დამუშავების პრობლემებს და თავის სადგურში დააარსა მანქანათა და სატრაქტორო სადგურებისთვის საჭირო კადრების მოსამზადებელი კურსები.

ვასილ ვასილის-ძე კანდელაკი იყო ძველი ბოლშევიკი, მას კარგად იცნობდნენ მაიაკოვსკები, განათლებით იყო აგრონომი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მას მაღალი თანამდებობები ეჭირა მიწის სახალხო კომისარიატში. შემდეგ მან ხელი მოჰკიდა სამეცნიერო მუშაობას, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დაზღვი. იგი სათავეში ჩაუდგა სათანადო კათედრებს ორ ინსტიტუტში. ის იყო სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტის ჩამოყალიბებელი და დირექტორი. ამავე დროს, მან გარკვეული დროის მანძილზე შეინარჩუნა აგრეთვე სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის რექტორის თანამდებობა. საქართველოს მეც. აკადემიის დაარსების წინ ვასილ კანდელაკი იყო სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების ინიციატორი. ის არა მარტო ციტრუსებზე, მათ შორის, გრეიპფრუტზე მუშაობდა, არამედ დაკავებული იყო ახალი ზელანდიის სელით. მანვე საქართველოში დააფუძნა ფეიხოას კულტურა.

ჩამოთვლილი მეცნიერები საკმარისია ეროვნული აკადემიის შესაქმნელად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ამ ბირთვის დონე, ამ მეცნიერთა მიერ წარმოებული კვლევათა მიმა-

როულება საგსებით შეესაბამებოდა საქ.—ს აკადემიის სამსახურის ხელს. მაგრამ სანამ საქ. მეც. აკადემიის წევრთა შეკრულებულ ფის (პარტიულის, —მთარგმნელის ჩამატება) დახასიათებას შეუდგებოდეთ, თვალი გადავავლოთ აკადემიის უხეირო სტრუქტურას. აკადემია **14** სექციად იყო დაყოფილი. ეს სექციები გაერთიანებული იყო ორ განზოფილებად: მათებმატიკა-ბუნებისმეტა ველებისა და საზოგადოებრივი—ისტორიულ მეცნიერებათა. აღსანიშნავია, რომ ექვს სექციაში მხოლოდ თითო აკადემიკოსი იყო შეჯანილი, ოთხ სხვა სექციაში—ორ—ორი, დანარჩენ ოთხში კი **26** აკადემიკოსი. საქართველოსმცოდნეობა დაქსაქსული იყო სხვადასხვა სექციებში.

ისტორიულ მეცნიერებათა სექციის ხუთი წევრიდან სამი იყო აღგილობრივი პარტიული ხელმძღვანელი: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი და ტ. გ. უღენტი. პირველმა მათგანმა დაიწყო თავის თხზულებათა **30**: ტომეულის გამოშვება(მისი გამოცემა შეწყდა **1931** წელს, მერვე ტომზე, სტალინის განკარგულებით), დანარჩენი ორის ნაშრომები სიღიდით ნაკლებია, შინაარსით კი ორ სცილდება შემდეგ თემას: განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამიერკავკასია, საქართველო, ბოლშევკები.

გაბერილია ფილოსოფიისა და ფილოლოგიის სექცია: აკადემიის ცხრა ნამდვილი წევრის შემადგენლობით. აქ თავმოყრილი იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნდათ მეცნიერული შრომები, მაგრამ სამაგიეროდ ეკავათ მაღალი თანამდებობები. აკადემიაში ამ ადამიანების გამოჩენა შეიძლება აიხსნას არა მარტო ტიტულებისადმი სიჭარულით, არამედ შინაპარტიული ინტრიგებით, პროტექციონიზმით, და ბოლოს, აკადემიისადმი, როგორც მეცნიერული არმიის „შტაბისადმი“ მიღომით.

ზოგიერთი აკადემიკოსის შესახებ ვერაფერი გავიგეთ, რადგან მათ შესახებ არავინ არაფერი იცის. ზოგიერთების შესახებ კი მაგალითთად ამბობენ: ს. გ. პირუმოვი—„ნახევრად მეცნიერი“, მაგრამ კარგი ადამიანი. (სხვა აზრი: „გაუნათლებელი“ მიუხედავად იმისა, რომ ხშირად იმჭვიებოდა ლუნაჩარ-სკებთან), ა. ა. ბოლოტნიკოვი—რომელილაც მოღვაწე, ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტიდან.

კოტე გორდელაძე. მას ახალი დამთავრებული ჰქონდა (**1930**)

კომპარტიის ინსტიტუტი. იგი სპეციალიზაციას გადიოდა, დაწლებტიკურ მატერიალიზმში, შემდეგ კი ხელი მიჰყო საეციალიზაციას დასავლეთის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ისტორიაში. საქ.-ს მეც. აკადემიაში იგი უსათუოდ იმის გამო შეიუბანეს, რომ 1930 წელს ის გახდა საქ.-ს კომპარტიის ცენტრული კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე.

გაიოზ დევდარიანი? კომკავშირის მოღვაწე. 1930 წლის სექტემბერში იგი დააყნეს საქ.-ს განათლების სახალხო კომისრად, ამ თანამდებობიდან გადაყვნებული მარიამ ორახელაშვილის ნაცვლად. იგი ეკონომისტებთან შეტენეს და არა პედაგოგიკის სექციაში, სადაც დარჩა მარიამ ორახელაშვილი.

გერმანე მგალობლიუმშვილი? იგი არ იყო ცუდი ეკონომისტი. ის მუდამ თან ახლდა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თვეჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს, მოსკოვში მგზავრობის დროს, როგორც მისი მოადგილე. 1930 წლის დეკემბრიდან იგი დანიშნეს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრად. მგალობლიუმშვილს არა მარტო ეკონომიკა აინტერესებდა, არამედ ისტორია და ლიტერატურაც, მაგრამ რა ჰქონდა მას საერთო აკადემიკოსობასთან?

კარლო ორაგველიძე—აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი? იგი ჭაბუკობიდანვე ხელმძღვანელ თანამდებობებზე იმყოფებოდა. აკადემიაში მის დანიშვნამდე ცოტა ხნით აღრე მას დაეცალა ამიერკავკასიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტის დირექტორობა. ახალგაზრდა, ენერგიული ორაგველიძე გამოდის მენშევიკების, კონდრატიეველების და ა. შ. წინააღმდეგ. როლი, რომელიც მას უნდა ეთამაშნა საქ. მეც. აკადემიაში, ასე თუ ისე ნათელია, მაგრამ მას ეს როლი არ შეუსრულებია: 1930: წელს იგი მეცნიერული მივლინებით გაიგზავნა ბერლინში, ერთი წლის ვადით, როცა ის უკან დაბრუნდა, ჭარო. საბჭ. აკადემიამ ნუმერ პირველმა თავისი არსებობა შესწავიტა.

ი. ა. ვაშაქაძე? ეს 29 წლის დოცენტი, რომელიც იყო დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის სპეციალისტი და რომელსაც ახალი დამთავრებული ჰქონდა მეცნიერული ფილოსოფიის ინსტიტუტის—„რინონის“ ასპირანტურა. იგი აკადემიაში მოხვდა (1930 წლის ივნისი) იმის გამო, რომ დაინიშნა პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად. ლ. ვ. პისარევსკი მას „იშაკმაძეს“ ეძახდა. თუმცა ზოგიერთები მას ნიჭიერ აღამი-



ანად მიიჩნევდნენ.

მსგავსი მიზეზით გახდა მეცნიერებათა აკადემიის უწამლოფლეს წევრი, საფინანსო-კოოპერატიული ინსტიტუტის დირექტორი დ. გ. დოლიძე, მაგრამ ჩვენ იმის თქმა როდი გვსურს, რომ დოლიძე ცარიელი ადგილი იყო იქ. იგი გადასამზადებლად გამარანიაში იმუფლებოდა, მას თარგმნილი აქვს მარქსის რამო-დენიმე ტომი.

ასევე შეიძლება ითქვას სამხატვრო აკადემიის რექტორის შურა დუდუჩიავას შესახებაც, რომელიც თავისი ძირითადი მოღვაწეობით თეატრის კრიტიკოსი უფრო იყო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ავტორი: დ. ანასტასინი და

ი. ვოჭნესენსკი

თარგმანი: ზურაბ ნარსია

სომხეთის ეკოლოგიური პრობლემები

ამ დღეებში ჩვენამდე მოაღწია საბჭოთა თვითგამოცემითმა ეურნალმა, რომელშიც მოთავსებულია მიხეილ გორბაჩივისად-მი მიმართვა, რომელსაც ხელს აწერს **350** სომეხი კულტურის და მეცნიერების მოღვაწე, მწერალი, ინჟინერი, მუსიკოსი, მუშა თუ სტუდენტი. აი, ამ მიმართვის ტექსტი:

29,8 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობის მქონე სო-მხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები **3,5** მილიონიანი მოსახლეო-ბის ერთი მესამედი ერევანში ცხოვრიბს, რომლის საპარაკო აუზის **80** პროცენტი მოწამლულია. ქალაქი შელიშადში **165** დღის განმავლობაში სმოგის ბურუსშია გახვეული. გარემოს გაჭუჭანების საერთაშორისო სტანდარტებით ერევნის, გან-საკუთრებით კი მის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებში მცხო-ვრები ხუთასათასიანი მოსახლეობა უკვე დიდი ხნის შინად უნდა ჭაფილიყო ევიკუირებული.

ჩესპუბლიკის მწვანე საფარის დაქლოებით **35** პროცენტი განადგურებულია, ხოლო **45** პროცენტი კი გრძადგურების საში-შროების წინაშე იმუფება.

სომხეთის მთელი ჩიგი მდინარეებისა ბიოლოგიურად შეუჭრილია, სხვები კი ეკოლოგიურად თითქმის მთლიანად გამოუტარებილია.

საბჭ. კავშირში ასებული შეიძლი ფელაზე მოწამლულ ქალაქიდან, ხუთი სომხეთში იმყოფება. ერევნის, ალავერდის, კიროვაკანის, კაფანის, კაჯარანისა და სხვა ქალაქების ქიმიურმა ქარხნებმა, აგრეთვე რაზდანის ცემენტის კომბინატმა მოსპეს ახლო მდებარე ტუები, ნარგავები და ცხოველთა სამყრო. ამ ქალაქებში საზიანო ამონატყორდნობის დონე ათ, ას და ზოგჯერ ათასჯერ აღმატება დასაშვებ ნორმებს.

მიწის ამ მცირე მონაკვეთზე მდებარე ქიმიურ ქარხნების მიერ წარმოებს ასობით სახის მომწამვლელ ნივთიერებათა ამოტყორცნა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში სიდიდით მეორე მხოლოდ ერევნის ქიმიურ რეაქტორთა ქარ;

ხანა აწარმოებს 135 სახის ძლიერ მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერებას. ფელაფერი ეს იწვევს კუჭ-ნაწლავის, გულისა და სისხლძარღვების ათობით დაავადებას. აგრეთვე არანორმალურ მშობიარობასა და უშვილობის რიცხვთა ზრდას, განსაკუთრებით ერევანსა და არარატის დაბლობზე, საღაც სომხეთის მთელი მოსახლეობის ოჩი მესამედი ცხოვრობს. რაც შეეხება ფილტვების, საყაპავი ორგანოებისა და კუჭის კიბოს, ისევე როგორც სხვა სახის ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებათა დონეს, მან საშინელ მასშტაბებს მიაღწია. თანაც ეს დაავადებები უკვე ახალგაზრდებზეც ვრცელდება, რის დონითაც სომხეთი პირველ აღგილზეა საბჭოთა კავშირში. ოფიციალურ ცნობათა თანახმად, კიბოთი დაავადებულთა რიცხვი 1965-85 წლების განმავლობაში, ათი ათას მცხოვრებზე გადაანგარიშებით, ორმაგად გაიზარდა. თანაც ეს აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები დაახლოებით ხუთმაგათაა შემცირებული. მიახლოებითი მონაცემებით ამჟამად სომხეთში ათი ათას მცხოვრებზე გადაანგარიშებით კიბოთი დაავადებულთა რიცხვი შეადგენს ოქტომბრიანში 190: კაცს, ერევანში, ეჩმიაძინსა და ბაგრამიანის რაიონებში 170; აშტარკისა და სევანის რაიონებში 130 კაცს.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში გონივრულად ჩამორჩნილ ბაგშვთა რიცხვი ხუთჯერ გაიზარდა, სულიერად დაავადებულთა— ექვსჯერ, სისხლის გათეთრების დაავადებათა— თოხჯერ, არანორმალურ და ნააღრევ მშობიარობათა— შვიდ-



ჯერ, გულის ინფარქტთა კი-რვაჯერ.

ერევნის სამრეწველო რაიონებში ათიდან ხუთი ბუნებრივი დება ან მკვდარი, ან მახინჯი, ან თანდაყლილი ავადმყოფობითა და მანკით. ამას სევანსა და გუგარგაში ათიდან სამ შემთხვევაში აქვს ადგილი. ეს ბავშვები ან პირველი ორმოცი დღის განმავლობაში კვლებიან, ან განაგრძობენ სიცოცხლეს როგორც სხვადასხვა დაავადებათა მატარებლები.

ოქტომბერიანის, ეჩმიაძინის, ბაგრამიანის, ამტარანის რაიონებსა და ერევანში ერთიდან ხუთი წლის ასაკის ბავშვთა ორი მესამედი ავადდება უკველ ორ-სამ თვეში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ორგანიზმის წინააღმდეგობის ბუნებრივი უნარის უქონლობის გამო ამ ბავშვებს უკველ ორ-სამ თვეში სხვადასხვა ავადმყოფობის გადატანა უხდებათ.

არარატის დაბლობის, მათ შორის ერევნის მოსახლეობის, თთქმის ნახევარი სხვადასხვა დაავადებითაა ავად. ათმაგად შემცირებული ზოგიერთი ამ მონაცემთაგანი შეიძლება ნახოთ ა. პ. აირიპიანის წიგნში: „ადამიანის ავადმყოფობათა სიციალურ-ეკოლოგიური ბუნების შესახებ“, რომელიც 1985 წელს გამოიცა ერევანში რუსულ ენაზე.

ეს ბიოლოგიურ განადგურებას წარმოადგენს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სწორედ ამის გამო 1980 - 85 წლებში გადასახლდა არარატის დაბლობიდან ჩრდილოეთ კაგვასიასა და რუსეთის სამხრეთში ოცი ათასი კაცი.

ყველივე ამას დამატებული, საბჭ. კავშირის კ. პარტიის 23-ე ყოილობამ დაადგინა, რომ ხუთწლედის მანძილზე, მაცა-მორის ატომური ელექტროსადგურის გეერდით, ერევნიდან 24 კილომეტრის სიშორეზე, აიგოს მეორე, უფრო მძლავრი ელექტროსადგური და ერთნახევარჯერ გადიდდეს ქიმიური წარმოების მოცულობა. და ეს მაშინ, როცა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დარეგისტრირებულია 150 სერიოზული ავარია და, როცა ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დიდი რაოდენობის რადიოაქტიური გაზების გაუმნვისა და წლის გაკუჭანების შემთხვევებს, ხოლო 1980 - 85 წლებში სომხეთი სამჯერ ძლიერ გადაურჩა თთქმის უცილობელ კატასტროფას.

და ეს ყელაფერი მაშინ, როცა ოქტომბრიანის, ეჩმიაძინისა და ბაგრამიანის რაიონებში ასობით ჰექტარი მიწა, რომლის მორწყვა არტეზიული წლებით წარმოებს, უკვე მოწამ-

ლულია და აფილობრივ მოსახლეობას უჩიევენ კურტეტმუშები ზოგიერთი სახეობის ბოსტეულ და ხილ, მაგრამ მათ მისამართი რწყვი და თუთა.

რადიოაქტიურ გაჟონვისა და სხვა მსგავსი შემთხვევების მოსახლეობისათვის დამალვით, ხელისუფალნი ანელებენ მოსახლეობის სიცხიზლეს და ამით ხელს უწყობენ ათეულათასობით განუკურნავი სენით დაავადებულთა ნელ სიკვდილს. სომხეთის რადიოაქტიური გაჟოუჭყანებით ტრაგიკულ შედეგთა საშიშროებამ აიძულა სომხებ აკადემიკოსთა ჯგუფი, 1985 წლის 14 მაისს და 5 ოქტომბერს, წერილობით მიემართა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ არარატის დაბლობზე მეორე ატომური საფგურის მშენებლობა უახლოეს მომავალში სომხეთის უდაბნოდ ქცევის ტოლფასიათ. არარატის დაბლობზე ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა უპრეცენდეტოა ატომური ენერგიის გამოყენების პრაქტიკაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით და წარმოადგენს დანაშაულს სომხეთი ხალხის წინაშე, რაღაც ამ დაბლობზეა თავმოტარი რესპუბლიკის სავარგულთა 70 პროცენტი. ეს სავარგულები არტეზიული აუზის ზემოდ მდებარეობს, რომელიც სასმელი წყლისა და სარწყავების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. ამ 5 - 9 ბალიან სეისმურ ზონაში, საღაცორმოცი ვულკანური კრატერია, ცხოვრობს სომხეთის მოსახლეობის ორი მესამედი.

გამომდინარე არსებული მდგომარეობის უკიდურესი სერიოზულობიდან, სამრეწველო საწარმოებში, სასწავლო დაწესებულებებში, მეცნიერულ და კულტურულ ორგანიზაციებში ჩატარებულ პარტიულ კრებებსა და საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ მიმართვებში დაყნებული იყო საკითხი „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1986 - 90 წლებისა და 2000 წლამდელი პერიოდის ძირითად მიმართულებათა“ გეგმიდან ამოღებული ჭაფილიყა აღნიშნული პუნქტი. ამავე დროს ვთხოვდით, ვაიტანონ რესპუბლიკიდან ზოგიერთი ქიმიური საწარმო და საზიანო ცეცხები. სამწუხაოდ, ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის წინადაღებებს არ მიექცა სათანადო ყურადღება. ამ შემთხვევაში დავიწყებულ იქნა საბჭ. კავშირისა და სომხეთის სსრ მთავრობათა ფორმალური დადგენილებები სომხეთიდან მთელ

 ს კ ნ ე ლ წ ლ ე ბ შ ი ი ყ მ მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა ლ ბ ა თ ი მ მ ი ზ ნ ი თ , რ ი მ ღ ე ბ დ ა ლ ე ბ ი ა თ დ ა მ ი ღ ე ბ ი ნ ა თ უ კ მ ა ყ ფ ი ლ ი ხ ა ლ ხ ი . უ ფ რ ი მ ე - ტ ი ც : დ ა ი გ ე გ მ ა ა ტ ი მ უ რ ი ე ლ ე ქ ტ რ ი ს ა დ გ უ რ ი ს მ ე რ ე ბ ი ს ა დ ა მ ა ს თ ა ნ ა რ ს ე ბ უ ლ ი მ თ ე ლ ი კ ა გ ვ ა ს ი ს ა ტ ი მ უ რ ი ე ლ ე ქ ტ რ ი ს ა დ - გ უ რ თ ა მ ი ე რ გ ა მ ა მ ი მ უ შ ა ვ ე ბ უ ლ ი ნ ა რ ჩ ე ნ ე ბ ი ს დ ა ს ა მ ა რ ხ ა ვ ა დ გ ა ნ - კ უ თ ვ ნ ი ლ ი უ ზ ა რ მ ა ზ ა რ ი ს ა ც ა ვ ი ს მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა .

ს ი მ ი უ რ ი ს გ ა ც ა მ ტ ე რ ე ბ ი ს ა დ ა ბ ი მ ლ ვ ი უ რ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი ს თ ა - ვ ი დ ა ნ ა ც ი ლ ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ , ს ს რ კ კ ი მ პ ა რ ტ ი ი ს 27 - ე ჭ ი ი ლ ბ ი ს წ ი ნ ა დ ა მ ი ს ი მ უ შ ა მ ბ ი ს პ ე რ ი ი დ შ ი , ჭ ი ი ლ ბ ი ს ა დ ა პ ი რ ა დ ა დ თ ქ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი თ გ ა მ ი ღ ზ ა ვ ნ ი ლ ი ქ ნ ა ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ი ს ა წ ა რ მ ი ე - ბ ი ს , მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ა დ ა ს ა ს წ ა ვ ლ ი დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა თ ა მ ბ ი თ კ ო - ლ ე ქ ტ ი ვ ი ს ა დ ა ც ა ლ კ ე უ ლ ი მ ი ქ ა ლ ა ქ ე ე ბ ი ს ა თ ა ს ი მ ბ ი თ წ ე რ ი ლ ი , მ ა გ რ ა მ ა მ ა ს ჯ ა რ ჯ ა რ მ ბ ი თ ა რ ა ვ ი თ ა რ ი შ ე დ ე გ ი ა რ მ ი კ უ ლ ი ა .

შ ე მ დ ე გ , ს ი მ ხ ე თ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ი ნ ე ბ ი ს 350 წ ა რ მ ი მ ა დ გ ე ნ ე ლ ი წ ე - რ ს მ ი ხ ე ი ლ გ რ ჩ ა ბ ი რ ე ს :

- ქ ი მ ი უ რ ი მ ჩ ე წ ვ ე ლ ი უ რ ი მ ზ ა რ დ ი ა ლ მ ა ვ ლ ი ბ ი ს ა დ ა ა რ ა რ ი ს დ ა ბ ლ ი ბ ზ ე ა ტ ი მ უ რ ი ე ლ ე ქ ტ რ ი ს ა დ გ უ რ ი ს მ შ ე ნ ე - ბ ლ ი ბ ა , ა რ ა მ ა რ ტ ი ჰ კ უ მ ა ნ ი ტ ა რ უ ლ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ წ ა რ მ ი ა დ - გ ე ნ ს დ ა ნ ა შ ა უ ლ ს , ა რ ა მ ე დ ე კ ი მ ნ მ ი კ უ რ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ა ც . რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ე ლ ე ქ ტ რ ი ს ა დ გ უ რ თ ა ე ნ ე რ გ ე ტ ი კ უ ლ ი პ ი ტ ე ნ ც ი ა ლ ი შ ე ა დ გ ე ნ ს 28 მ ი ლ ი ა რ დ კ ი ლ ვ ა ტ ს ა ა თ ს წ ე ლ ი წ ა დ შ ი , ხ ე ლ მ ი ს ი რ ე ა ლ უ რ ი წ ა რ ი ე ბ ა შ ე ა დ გ ე ნ ს წ ე ლ ი წ ა დ შ ი 15 მ ი ლ ი ა რ დ კ ი ლ ვ ა ტ ს ა ა თ ს , ს ა ი დ ა ნ ა ც თ რ ი მ ი ლ ი ა რ დ ი 700 ა თ ა ს ი კ ი ლ ვ ა ტ ს ა ა თ ი ე ნ ე რ გ ი ი ს ა ე ს პ ო რ ტ ი წ ა რ მ ი ე ბ ს მ ე ზ ი ბ ე ლ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ს ა დ ა თ უ რ ქ ე ბ შ ი . ე ნ ე რ გ ი ი ს ა დ ა ნ ე დ ლ ე უ ლ ი ს ე კ ი მ ნ მ ი ი ს პ ი რ ბ ე ბ შ ი ს ი მ ხ ე თ ს ა ტ ი მ უ რ ი ე ლ ე ქ ტ რ ი ს ა დ გ უ რ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე ც შ ე უ ძ ლ ი ა 25 - 30 მ ი ლ ი ა რ დ ი კ ი ლ ვ ა ტ ს ა ა თ ი ე ლ ე ქ ტ რ ი ე ნ ე რ - გ ი ი ს წ ა რ მ ი ე ბ ა , ა ნ უ თ რ მ ა გ ა დ უ ფ რ ი მ ე ტ ი ს ა , ვ ი დ რ ე მ ა ს ს ჭ ი - რ დ ე ბ ა .

ო ც დ ა ა თ ი ა ნ წ ლ ე ბ შ ი დ ა წ ყ ბ უ ლ ი ს ი მ ხ ე თ ი ს ქ ი მ ი უ რ რ ე ს პ უ - ბ ლ ი კ ა დ ქ ე ვ ი ი ს პ ი ლ ი ტ ი კ ა , რ მ ე ლ ი ც დ ა მ ლ უ პ ვ ე ლ ი გ ა მ ი ღ დ გ ა დ ა , რ მ ე ლ ი ც თ რ მ ც დ ა ა თ ი წ ე ლ ზ ე მ ე ტ ი ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა , რ ე ს - პ უ ბ ლ ი კ ა ს ა ს ე უ ლ ა თ ა ს ი მ ბ ი თ კ ა ც ი ს ს ი ც ი ც ხ ლ ი ს ა დ ა მ ი ლ ი ა რ - დ ე ბ ი თ მ ა ნ ე თ ი ს გ ა ფ ლ ა ნ გ ვ ი ს ფ ა ს ა დ უ ჯ დ ე ბ ა . ც ნ ი ბ ი ლ ი ა , რ მ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ს ქ ი მ ი უ რ ი დ ა ს ხ ვ ა ს ა წ ა რ მ ი ე ბ ი ს თ ვ ი ს ნ ე დ ლ ე უ ლ ი ძ ი რ ი თ ა დ ა დ შ ე მ ი რ ტ ა ნ ი ლ ი ა , რ ა ც ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს უ ზ ა რ მ ა ზ ა რ

და სრულებით უაზროდ გაფლანგული სახსრების ფასტრუჯული დება. სომხეთის ელექტროენერგიის სამოც პროცენტში მოვალეობა შთანთქავენ საზიან საწარმოები, რომელთა განადგურება გამოიწვევდა ელექტროენერგიის გიგანტურ ეკონომიას. მხოლოდ დაზოგილი ელექტროენერგიის გამოყენება შეიძლება გახდეს ახალ მუდმივ შემოსავალთა წყაროდ.

სხვა მაგალითი. სომხეთის სსრ-ს წყლის ენერგეტიკულ რესურსთა სამოცი პროცენტის გამოყენება არ ხდება. ამჟამად რესპუბლიკაში შეიძლება აშენებულიქნას ჰელაზე ნაკლები ექვსი დიდი და 30 საშუალო სიმძლავრის ელექტროსადგური, რის წყლობითაც ერთდროულად შესაძლებელი იქნება 40% ტერიტორიის მორწყა. ეს სასიცოცხლო მნი შვერლობის საკითხი ათეული წლების მანძილზე ჩატარდა „გადაუწყეტავი“.

სომხეთში ენერგიის გამოყენებელ წყაროებად ჩება მზე და ქარი. რესპუბლიკაში უშუალოდ მზის გამოსხივებისგან მოღებული სითბოს რაოდენობა წელიწადში შეადგენს საშუალოდ 250, ხოლო ზოგიერთ რაიონებში 300 - 400 კილო-კალორიას ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე.

მაშასადამე, რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის გაფართოება და ატომურ ელექტროსადგურთა მშენებლობა, რაც დამტუბლელად მოქმედებს ადამიანსა და ბუნებაზე, გაუმართლებელია არა მარტო ჰუმანიტარული თვალსაზრისით, — რაც ზელაზე მნიშვნელოვანია, — არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ეს კი ადასტურებს, რომ პარტიის ლოზუნგს: „ჰელაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“, სომხეთისთვის საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს. სხვანაირად რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტისა და მთავრობის გადაწყეტილებები ეკოლოგიურ საკითხებზე არ ვრცელდება.

ყველივე აქედან გამომდინარე გთხოვთ: ა) დაუჭავნებლივ გააჩერეთ მეცამორის ატომური ელექტროსადგურის ჩატარები, ხოლო ერთი წლის განმავლობაში მოხდეს სადგურის სრული დემონტაჟი; არ დაუშვათ ატომური ელექტროსადგურის მეორე ჩიგის მშენებლობა. ბ) სომხეთის ბიოლოგიური სიკვდილის თავიდან აცილების მიზნით. დაუჭავნებლივ მოხდეს ერევნის, კიროვაკანის, ალავერდის, კაფანისა და სხვა ქალაქებ-



ის ქიმიურ ქარხ ანათა განსაკუთრებით საზიანო ცენტრის ქვეყნის
ტანა, ხოლო უახლოესი ორი წლის განმავლობაში მოცულებული
იქნას ერევნიდან „პოლივინილაციტეტი“, „ნაირიტი“ ალუ-
მინისა და ქიმიური რეაქტივების ქარხნები. გ) იმ მდგომა-
რეობის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკის საავადმყოფოე-
ბი და სხვა სამკურნალო დაწესებულებები სავსეა ავალმყაფე-
ბით, ათობით განუკურნავი სენის სწრაფად გავრცელების გა-
მო, მიმდინარე ხუთწლედში გამოყას სომხეთს ორმაგად მე-
ტი დამატებითი სახსრები, სამკურნალო დაწესებულებებში
ადგილების გადიდების მიზნით.

მიმართვაში აგრეთვე მოთხოვნილია, რომ სკეპ ცენტრალური
კომიტეტის პოლიტბიუროს უშუალო მეთვალყურეობით შექმნას
საერთაშორისო კომისია, რომელიც დაადგენს სომხეთში შექმ-
ნილი ეკოლოგიური მდგომარეობის პასუხისმგებლობის საკითხს.

თვითგამოცემა. 5822. XI-86
რადიო „თავისუფლება“ -ს გად.
ავტორი: ზურაბ ნარისა

ზოგიერთი ჩანაწერები

ოლოფ პალმეს დაუსჯელი მკვლელობა

29 თებერვალს ერთი წლისთავი სრულდება შვეციის მთავრო-
ბის პრემიერ მინისტრის, ბატონ ოლოფ პალმეს უცნაური მკვ-
ლელობიდან. განსვენებული საბედისწერო დღეს, ღამით, კინო-
დან გამოსული სტრკოლმის მთავარი ქუჩით, მეუღლესთან ერ-
თად, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, სახლისკენ მისეირნო-
ბდა ფეხით, როცა ერთმა, ორმა, თუ რამდენიმე (ესეც დაუდ-
გენელია) ზურგიდან თავდასხმელმა, რევოლვერის ტყვიებით
დაცხრილა ის, რის შედეგადაც ადგილზევე გარდაიცვალა,
ხოლო პრემიერ მინისტრის მეუღლე მსუბუქად დაიჭრა. ბორო-
ტმომქმედი, თუ ბოროტმომქმედები უგზოუდგლოდ გაჰქრენ.
გავიდა მას შემდეგ ერთი შელი. რა ხმები არ დადიოდა,
ხშირად ურთიერთ საწინააღმდეგო, რომელთაც სერიოზული

ზოგიერთი ჩანაწერები

პრესაც ეხმაურებოდა ზოგჯერ, რაც იმის მომასწავლის დროს იყო, რომ ამ ხმების სათავე თვით შვეციის პოლიცია და გამოძიების ორგანოები იჯენენ. ზოგი ხმები პრემიერ მინისტრის მეცნელობას გერმანიის ახალ ფაშისტურ პარტიას აბრალებდენ, სხვები-ყველის მომქმედ „კ.გ.ბ.“-ს, ვიეთნი-ამერიკის შ. შ.-ს დაზვერვას...და ბოლოს, შვეციის პოლიციამ დააპატიმრა მათ ქვეყნაში თავშეფარებული ქურთი ნაციონალისტ-რევოლუციონერები, როგორც სერიოზული ეჭვმიტანილები. მაგრამ მაღვე სულ ჯელა გაანთავისუფლეს, რადგანაც გულმოდგინე და პატიოსანმა შემოწმებამ დაადგინა, რომ ამათ არ შეეძლოთ ყაფილიჯენ ოლოფ პალმეს მკვლელები. ამრიგად, 1986 წლის ჯელაზე სენსაციური სახელმწიფო ბორბომქმედება მისტერიად ჩატარდა. არამც თუ მკვლელი, არამედ ისიც, თუ ვის აძლევდა ხელს ეს მკვლელობა, რჩება უცნობი. რაც არ ამაღლებს შვეციის სახელმწიფოს უშიშროების ორგანოთა ავტორიტეტს.

*

მადამ აკინოს ფილიპინები

მიმავალი წლის 17 თებერვალს მსოფლიო პრესა წერდა: პარლამენტმა ფილიპინების საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული და გამოაცხადა ყაფილი პრეზიდენტი ფერდინანდ მარკოსიო. იმავე თვის ოცდაექვსში კი იგივე სააგენტოები და პრესა აცხადებენ, რომ: ფერდინანდ მარკოსი გადადგა, ოჯახის წევრებთან ერთად, თვითმფრინავით გაემგზავრა ფლორიდის შტატში, სადაც თავშესაფარი მისცა ამერიკის მთავრობამ, ფილიპინების სახელმწიფოს პრეზიდენტად გამოცხადდა, ოპზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი, ქალბატონი კორი აკინოო.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუკავნებლივ იცნო ქვრივი კორი აკინოს მთავრობა. პრეზიდენტმა რეიგანმა პირადად და ამერიკის სახელით მადლობა გადაუხადა, რომ ფილიპინების სახელმწიფო კრიზისი სისხლის დაუღრელად დამთავრდა...რა მოხდა ამ მცირე დროში? შეთქმულება, თუ ბუნებრივი განვითარება?

ცნობილია, რომ ფ. მარკოსის პრეზიდენტობის დროს არჩეულ პარლამენტსაც ოპზიციური პარტიები უნდობლად უჟღ-

რებდენ და მათ მიერ გამოცხადებულ არჩევნების შედეგებსაც უძუადებდენ. ისინი აცხადებდენ, რომ პირიქით ხდითა უძრავლესობა მათმა კანდიდატმა მიიღო და პროტესტის ნიშნად სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს უზურპატორ პრეზენტორ პრეზენტორ. მარკოსის მთავრობისადმი. ოპოზიციის პროტესტებს წონას უმატებდა ფილიპინების კათოლიკური ეკლესიის იერარქია, რომელიც აშკარად მარკოსის წინააღმდეგ გამოიდიოდა. ოპოზიციისა და ეკლესიის შეხედულებები გაიზიარეს არჩევნების საერთაშორისო ზედამხედველებმაც და შეერთებული შტატების მთავრობამაც, რომელსაც დიდი ინტერესები და დიდი გავლენაც აქვს ამ ქვეყნაში. საბოლოოდ მაინც სასწორი გადასწორა მხედრობამ, რომელმაც უკანასკნელ მომენტში, მისი მინისტრის—უზან პროს ანრილის მეთაურობით, მხარი დაუჭირა ქ. კორი აკინოს პრეზიდენტობას.

ამრიგად, 25 თებერვალს ფილიპინების პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მოყოლებული, ფილიპინების სახელმწიფოს განავებდა ყოფილი სამხედრო პირი ფერდინანდ მარკოსი, მის მომხიბლელ მეუღლესთან ერთად. ფერდინანდ მარკოსი იყო ნიკიერი და მოხერხებული პოლიტიკოსი, რომელიც ბოლოს და ბოლოს გარყვნა ხელისუფლებამ. საფრანგეთის დიდი მეფის, ლიუდოვიკ მ XIV-სავით ალბათ ისიც ფიქრობდა: სახელმწიფო მე ვარო. ის აღარ თაკილობდა აღარც თაღლითობასა და აღარც კრიმინელობას, მის გზიდან მოწინააღმდეგეთა ჩამოსაცილებლად. მას მძლავრი შეიარაღებული ოპოზიცია გაუჩნდა, ერთი მხრით კომუნისტებისა და მეორე მხრით მუსულმან ავტონომისტებისა, რასაც ემატებოდა ქვეჭის მწვავე ეკონომიკური კრიზისი.

კორი აკინოსი და საერთოდ ფილიპინების სახელმწიფო გემი ჯერ კიდევ ნავთსაჭიდარში არ არის თავშეფარებული. ფილიპინების დემოკრატია კვლავაც საფრთხის წინაშე დგას. ხელისუფლების წინაშე მდგარი არც ერთი საჭირობორო საკითხი ჯერ მოვარებული არ არის. ეკონომიკური კრიზისიც გრძელდება, თუმცა მაღამ აკინომ ამერიკის სენატის გული მოიგო და მნიშვნელოვანი სესხი მიიღო, მაინც მარტო ამერიკის დახმარება საქმეს ვერ უშველის. სამხედროებმა ორჯერ მოაწყეს ამბოხება, თუმცა კორი აკინომ ორივეჯერ

უსისხლოდ შესძლო მათი ჩაქრობა, მაინც სამხედრო გზაზე ალების აჩრდილი კვლავ თავს დასტრიალებს აკინაუ შეზორინდას. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აჯანყბულ კომუნისტებთან მოლაპარაკება, მათ მიერ შეიარაღებულ აჯანყბაზე ხელისაღებისა და დემოკრატიულ პროცესში ჩაბმის შესახებ, მაგრამ საბოლოოდ მოლაპარაკება მარცხით დამთავრდა.

აუარებელი სიძნელეები აქვს კიდევ გადასალახი კორი აკინოს, ამ სუსტ და სიმპათიურ ქვერივ მანდილოსანს, რომელიც ისეთი სინაზით, სათუთად და სიკარულით ბრძანებლობს, რომ, თუ გული გაქვს კაცს, არ შეიძლება წარმატება არ უსურვო, მაგრამ ხომ ცნობილია: სახელმწიფოს გული არ გააჩნია!

*

ჩინეთი: დემოკრატია დღის წესრიგში

1986 წლის დეკემბერი სტუდენტთა საერთაშორისო მანიფესტაციების თვეედ უნდა გამოცხადდეს. თუმცა სულ სხვადასხვა მოტივივით, სტუდენტები მძლავრ საპროცესტო მანიფესტაციებით ქუჩებში გამოვიდენ: დეკემბრის პირველ რიცხვებში პარიზსა და საფრანგეთის სხვა მსხვილ ქალაქებში. ისინი წინააღმდეგობას უცხადებდენ საფრანგეთის უმაღლესი სასწავლების მთავრობის მიერ განზრახულ რეფორმებს და გამარჯვებასაც მიაღწიეს, რადგანაც საბოლოოდ ბატონ ჟაკ შირაკის მთავრობამ რეფორმის პროექტი უკან წაიღო; ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ **17 - 18** დეკემბრის რიცხვებში სტუდენტობა დემონსტრაციებით ქუჩებში გამოვიდა საბჭოთა უზახისტანის დედაქალაქ ალმა-ათაში. აქ ისინი პროტესტს აცხადებდენ რუსთა კოლონიალიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვეულებრივი მკაცრი რეპრესიებით ჩააქრო და ბევრი მანიფესტანტის სისხლიც დაღვარა.

19 დეკემბერს კი ქალაქ შანხაის ქუჩებში გამოვიდა მრავალათასი ჩინელი სტუდენტი, რომელთა შორის ასობით ახალგაზრდა მუშა-მოსამასახურებსაც იტუბინებოდენ საინფორმაციო სააგენტოები. ვფიქრობთ, რომ ამ ამბავზე ღირს ჩვენი მკითხველების შეჩერება.

შანხაის დემონსტრატორებმა მწყობრად და წესრიგით გაიარეს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, ორი კილომეტრი მანძილზე, რის შემდეგ გარს შემოერტყან ქალაქის თვითმმართველობას,



დემონსტრაცითა პლაკატები მოითხოვდენ მეტ თავისუფლებას და და დენ ჰქონის პინის მიერ დაწყდული დემოკრატიული რეფორმების აჩქარებას. დემონსტრაციებში ქალაქის თავთან შეგზავნეს დელეგაცია, რომელმაც მას გადასცა ოთხ პუნქტად ჩიონყალიბებული მოთხოვნილება: 1) დენ ჰქონის პინის მიერ დაწყდული დემოკრატიული რეფორმების დაჩქარებული გატარება, 2) პრესის თავისუფლება, 3) სტუდენტთა მოძრაობის ლეგალურობის ცნობა და 4) პირადი უფრუნველყოფის უზრუნველყოფის გარემოია.

ასეთივე ხასიათის მოსწავლე ახალგაზრდობის მანიფესტაციებს, დეკემბრის პირველი რიცხვებიდან მოყოლებული თითქმის მთელი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა: შენუანში, კუნძოში, ჰინეთის თითქმის ჭელა დიდ საუნივერსიტეტო ქალაქებში. რაც კიდევ უფრო უცნაურია კომუნისტური სახელმწიფოსათვის, ეს ისაა, რომ ასეთი საპროტესტო მანიფესტაციები ჩატარდა სისხლის დაუღვრელად, ჩინეთის პოლიციის მოქმედება ბევრ ეკროპის დემოკრატიული ქვექვების პოლიციებსაც კი შეშურდებოდათ. იყო გამონაკლისი შემთხვევები, როცა პოლიციამ მანიფესტაციები დაპატიმრა. სტუდენტებმა მანამ არ შეწყიტეს მანიფესტაციების სანამ ჭელა დაპატიმრებულის განთავისუფლებას არ მიაღწიეს. საჭურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ, თუმცა თვით ჩინეთის საინფორმაციო საშუალებებს სტუდენტთა მოძრაობის შესახებ ცნობები არ გაუზრულებიათ, მაგრამ უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებისათვის, და კერძოდ „ამერიკის ხმისთვის“ ხელი არ შეუშლიათ და ამგვარად ჩინეთის ახალგაზრდობა სრულ კურსში იყა იმის შესახებ, თუ სადრა ხდებოდა. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ჩინეთის პარტიულ ხელმძღვანელობაში ერთსულოვნება არ იყა და იმ მომენტში სტუდენტთა მანიფესტაციების შემწყარებლობის სასწორი წონიდა. მართლაც იანგრის თვის შუა რიცხვებში საჯაროდ გამოცხადდა ჰიუ იაობანის გადადგომის ცნობა ჩინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის თანამდებობიდან და მის ადგილას კუთილი პრემიერ მინისტრის ჯავ ძიანის არჩევა. უდავოა, რომ ჰიუ იაბონი მსხვერპლი გახდა სტუდენტებისადმი გამოჩენილი ლიბერალიზმისა და „ბურჟუაზიული“ დემოკრატიზმის, მან ალბათ დააფრთხო პარტიის კონსერვატიული ელე-

მენტები და შეიძლება თვით ბებერი დენ ჰსიაო პინკი, უაშა შემდგომი კომუნისტური ჩინეთის რეალური გამგერებელს:

ჩინეთი, საპქოთა კავშირისაგან განსხვავებით, ისე შორსაა წასული ეკონომიური რეფორმებით, რომ, ჩვენ ვფიქრობთ, დინჯად, მაგრამ აუცილებლად წავა მანიფესტანტ სტუდენტთა მოთხოვნების გზით.

გასული წლის 9 სექტემბერს ათი წელი შესრულდა მათ ცელუნის გარდაცვალებიდან. ამასთან დაკავშირებით სტატია გამოაქვეჭა საფრანგეთის აკადემიის წევრმა და გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ აღენ პეირეფიტმა, სათაურით: „მათს მეორედ სიკვდილი.“, რომელშიც ის დედააზრია გატარებული, რომ „დიდი მესაჭის“ სიკვდილის შემდეგ ჩინეთი მისი სწავლებისა და ანდერძის საჭინააღმდეგო გზით წავიდა. მართლაც, ამ წლებს უქმად არ ჩაუვლიათ ჩინეთისათვის. ჩინეთის კომუნისტ ხელმძღვანელობას აღმოაჩნდა შინაგანი ძალები, რომ ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად, მაგრამ მტკიცედ, ეს უზარმაზარი ქვეყნა, ურიცხვი მოსახლეობით გამოეყანა იმ ეკონომიკურ ანარქიისა და ჩამორჩენილობისაგან, რომელშიც ის მოაქცია მათს მარქსისტულ-გოშისტურმა რევოლუციურმა ეტაპებმა: „სასოფლო-სამეურნეო კომუნები“, „წინ გადახტომის“ და ბოლოს „კულტურული რევოლუცია.“ დღეს ჩინეთის ეკონომიკური ალორძინება აშკარაა და მას ერთხმად აღიარებენ ამ ქვეყნაში მოგზაური დასავლეთელი პოლიტიკური მოღვაწეები და ურნალისტ-კორესპონდენტები. მაგალითად, ბ. ფრანსუა ლუიზე, რომელიც სტუდენტების მანიფესტაციების დროს შანხაიში იმჟაფებოდა, გაზეთ ფიგაროში წერს:

„23 ბანკი, მათ შორის 5 ფრანგული, იმყოფება შანხაიში...“

„სახლომშენებლობის ერთმა ჯგუფმა 50 მილიონის ობლიგაციები გამოუშვა ბაზარზე გასულ კვირაში 9 პროცენტი სარგებლით. პირველ დღესვე 14 მილ. ობლიგაციები იქნნა დატაცებული.“ – „უკანასკნელ ათ წელიში ხელისუფლებამ აუნაზღაურა მათ უმრავლესობას, ვისაც სახლკარი და სხვა ქონება ჩამოართვეს რევულუციის დროს.“ – „მიწა მუდამ სახელმწიფოს ეკუთვნის, გლეხი ყველთვიურად იხდის მასზე მცირე გადასახადს და მათი სტატუსი წააგავს კერძო მესაკუთრე ფერმერებისას...“ – „ქალაქად კერძო პირს შეუძლია თავისუფლად აშარმოოს ნებისმიერი ხელობა ან ვაჭრობა, მაგალითად,



რესტორანი, საცალო სავაჭრო დუქანი, ტაქსი, სადაზღვეული სამკერვალო და ა.შ.“ – „ბაზარი ავსილია საქონლით, მდარე ხარისხისაა...“

– „მუშა-მოსამსახურეთა დაბალი ხელფასების მიუხედავად, მყადაროთა დიდი რიგებია“ და სხვა.

ეკონომიკური გარდაქმნები მართლაც ჩეალური ჩანან ჩინეთში, ამ გარდაქმნებს სოციალისტურ გარდაქმნებს, ანუ რეფორმებს უწოდებენ ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში, მაგრამ სიტყვებმა არ შეიძლება შეცდომაში შეგვიგანოს: ეს გახლავთ სულ უბრალოდ კლასიკურ კერძო მეურნეობისაკენ დაბრუნება. ჩინეთში ამ ფარული, მაგრამ უეკველი, შემობრუნების ორგანიზატორია დენ ჰსიაო პინი, ძველი კომუნისტი პრაგმატიკოსი, რომელიც კულტურული რევოლუციის დროს

იდეოლოგიური გამოსწორების სტაქს გადიოდა თურმე საკონცენტრაციო ბანაკებში. დენი ანტიპოდია გორბა-ჩინების: ტრიბუნაზე, საჯაროდ მოლაპარაკეს, მას იშვიათად ხედავენ, მაგრამ უკან ეფექტიანად მოქმედებს და ჟამღან ჩანს მისი ხელი. ოფიციალურად ის არც პრეზიდენტია, არც გენერალური მდივანი, მაგრამ ჩელისუფლად ის მოჩანს და ის არის.

დენ ჰსიაო პინის ლოცვა-კურთხევით დაწყებული ეკონომიკის ჰარმონიულ განვითარებას, ხელს უშლის, ბორკავს კომუნისტური პარტიის ხუნდი. ჩინეთის სტუდენტობა, ინტელიგენცია, შევნებული მუშა-მოსამსახურეობა კომუნისტთა მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად იბრძვიან ამ ხუნდებისგან თავის დასაღწევად. ჩინეთის სტუდენტთა დეკემბრის მთიფესტაციებმა ცხადდეს, რომ დემოკრატიული განვითარების გზაზე

დენ ჰსიაოპინის ჩინეთი გაცილებით უფრო წინაა, ვიდრე მიხაილ გორბაჩინების საბჭოთა კავშირი.

*

ორსე: საფრანგეთის ხელოვნების ახალი ტაძარი

გასული წლის პირველ დეკემბერს, მიუხედავად სტუდენტთა მღელვარებისა და მანიფესტაციებისა, დიდმნიშვნელოვან კულტურულ მანიფესტაციას ჰქონდა აღგილი პარიზში. მდინარე სენას მარცხენა ნაპირზე, იქ, სადაც წინად ორსეს რკინიგზის სადგური იყო, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა **XIX** საუ-


 კუნის ხელოვნების მუზეუმი. გახსნის ზემში აუსტრიული პრეზიდენტის, ბ. ფრანსუა მიტერანის გვერდით მონაწილეობა მიიღოს: ყაფილ პრეზიდენტ ურუ პომპიდუს ქვრივმა, ქალბატონმა კლოდ პომპიდუმ, ყაფილმა პრეზიდენტმა, ბ. უისკარ დ'ესტენმა, პრემიერ მინისტრ ბ. უაკ შირაკმა და მრავალმა სხვა პოლიტიკის, სპექტაკლის, ხელოვნების, ლიტერატურის თუ მეცნიერების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა.

პრეზიდენტმა მიტერანმა, სხვათა შორის, გახსნისან განაცხადა: „ორსე არის მშენებელი მაგალითი ესთეტიური თანმიმდევრობის“-ი. ამით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მუზეუმის მოწყობაზე ერთი და იგივე მონძომებით ზრუნავდენ: უ. პომპიდუ, რომლის პრეზიდენტობაშიც საფუძვლები ჩაეყარა, უ. დ'ესტენიც, რომლის სეპტენაში გრძელდებოდა და მისი, ფ. მიტერანის პრეზიდენტობაში, როცა ის საბოლოოდ დასრულდა.

ორსეს მუზეუმი პარიზის ერთ-ერთი დიდი და შესანიშნავი კულტურის კერაა. მის მუზეუმად გადაკეთებას ხელმძღვანელობდა ცნობილი არქიტექტორი, ბ. გაე ავლანტი. მუზეუმის კონსერვატორია ქალ, ფრანსუაზ კაშენი.

ორსეს მუზეუმში თავშეფარებულია: 230 ტილო(ფერადი მხატვრობა), 250 პასტელი, 1500 სკულპტურა, 1100 ხელოვნების ობიექტი, 13000 იშვიათი ფოტოგრაფია. მუზეუმი იფარავს არა მარტო იმპრესიონიზმის შედევრებს, ნეო-იმპრესიონიზმისა და ნებისებისას, არამედ აგრეთვე საფრანგეთის მთელ აკადემიურ ხელოვნებას 1842 წლიდან მოყალებული 1914 წლამდე.

როგორც შესავალშივე აღვნიშნე, ახლა ეს დიდებული მუზეუმი, წინად ჩაინიგზის გაუქმებული სადგური და დასაწერებული ნაგებობა იყო. გამოჩნდა ხალხი, რომლებმაც ეს არ დაუშევს, გამოიჩინეს თაოსნობა და მათი წყალობით გვაქვს დაწესებულება, რომელსაც უკვე უწოდებენ ხელოვნების დიდებულ ტაძარს. აი, რა სასწაული შეუძლია თავისუფალ აზრსა და თაოსნობას.



Ե Կ Ց Ր Ե Ց Ա Բ Ց Ա Լ Ա Ց Ց Ո Լ Ո

Ծ Ե Ծ Ա Ե Բ Ծ Ա - Ք Ա Ր Թ Մ Ը Ը

Ջ Ե Ժ Ա Մ Ե Ն Ա Յ յ ա ր տ պ լ ո !
 Մ շ ե ն ջ ե ժ ա ս ա ց ո տ տ ծ ի լ ո մ դ ա թ է ծ ի լ ո մ ,
 լ մ է ր տ ո ւ կ ա լ ո ւ ա շ ո դ ա ծ ա գ ե ծ պ լ ո ւ
 դ ա վ մ ո ն ճ ա ն ի ն ո ւ ե լ ո ւ ո ւ ն ա տ լ ո ւ լ ո ւ !
 პ ա ր ա հ ա մ ա լ ո ւ ց ո ւ յ ո ն ք ր ա գ մ ո հ ո ւ լ ո ւ ,
 լ ն ի ն շ ո ծ ո լ ե ծ պ լ ո ւ ա գ ա մ լ ե ր ե ծ պ լ ո ւ ,
 յ ո ւ ր ո ւ դ ա դ ա ր դ ո ւ գ ա մ ն ե լ ե ծ ե լ ո ւ ,
 ჩ վ ե ն ս ա լ ո ւ ց ա զ ա գ դ ա մ կ ց ո ւ ր ե ծ պ լ ո ւ !
 չ ե լ ա յ ն ա տ ա ո յ ի ր ո ւ գ ա յ ո ւ ր գ ց ի ն ո ւ ,
 ծ հ ե բ ո ւ ա չ ե ր ե ծ ո ւ գ ա ծ հ ր ի փ ն ե ծ պ լ ո ւ ,
 ւ ե ա հ ա ծ հ մ ո լ յ ե ծ շ ո գ ա մ ո վ հ ո ւ ո ւ ն ո ւ լ ո ւ ,
 դ ա չ չ ա զ ա ց ե ծ ա դ ա մ ց ժ ա վ ր ե ծ պ լ ո ւ !
 մ ո մ ե ժ ա ր տ ա հ ո ւ ս ե ց ա գ մ ո վ լ ո ւ ն ե ծ պ լ ո ւ ,
 ց ո ւ ր ո ւ ս օ մ հ ա ց լ ո ւ գ ա լ ո ւ ա լ յ ե ծ պ լ ո ւ ,
 ծ հ մ ո լ յ ե ծ շ ո լ ո մ ո ւ գ ր ց ց ի ն ց ա գ յ ո ւ շ ո ւ ,
 ց ո ւ ր դ ա ե մ ա լ ո ւ ց ո ւ ա մ ո լ յ ե ծ պ լ ո ւ !
 ծ ա ր ծ ա ր ո ւ ս տ ա ց ա ն գ ա գ ա ր հ ե ն ո ւ լ ո ւ ,
 շ ր ջ պ լ ո ւ տ ա ց ա ն յ ի ն ո ւ ս տ ր ո ւ ա ն ո ւ լ ա գ
 գ ո ւ ժ ո ւ լ ո ւ ց ն ե ծ ո ւ շ ե ֆ փ ա ր ե ծ պ լ ո ւ ,
 յ ի ն ո ւ ս տ ո ւ ա ն տ ա ց ա ն ծ ա ր ծ ա ր ո ւ ս ո ւ լ ա գ
 ա ց ա գ գ ո ւ ն ո ւ մ ի ա ւ ր ա գ գ մ ո ծ ի լ ո ւ
 դ ա ս ա ս ո ւ կ ց ա լ ո ւ գ ա մ ե ր ե ծ պ լ ո ւ !
 յ ի ն ո ւ ս տ ո ւ ա ն ո ւ դ ո ւ գ ա ո , գ ո ծ ի լ ո ւ ,
 գ ո ծ ի լ ո ւ ս ա ց ա ն ա հ գ ա ն գ ո ւ ն ո ւ լ ո ւ !
 թ ա ն ջ պ լ ո ւ յ ե ր ե ն ո ւ ս լ ո ւ ն ա տ ե լ ո ւ ,
 ց ա շ ո լ մ է ր տ ա մ ջ ա ա մ ա լ լ յ ե ծ պ լ ո ւ !
 ա լ ա ր ց ե ն ա ხ ո ւ հ ե ց ա դ ա յ ո ւ ,
 ჩ վ ե ն ս ա մ ն ո ւ ծ լ ո ւ մ ի ց ո ւ ր հ ո ւ կ ա ց ա լ ո ւ ,
 շ ե ն գ ա գ ե լ ո ւ ց ո ւ յ ո ւ ժ է դ ա ս ո ւ ,
 մ ո մ ա ց լ ո ւ հ մ ե ն ի ս գ ա մ ո մ կ ց ե լ ո ւ լ ո ւ ,
 շ ե ն գ ա գ ա ր հ ե ն ի ս յ ո ւ ժ է մ լ ո ւ ե լ ո ւ լ ո ւ
 դ ա ձ ա գ ե ծ ի ս մ ա ե ր ա ն մ ա լ ո ւ լ ո ւ !..



ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ს ა კ ა რ თ ვ ე ლ ი

სადლეგრძელო ქართული
ხმალივით აღმართული,
მხრებში ლალად გაშლილი,
წელში გამოსალტული;
ქარაგმული სიტყვები
ერთუთს გადახლართული,
სიყვარულით ნათქვამი,
გულზე ამოშანთული;
ზედაც მრავალუამიერი
ქუხილიგით დართული;
(მას თუ დააკვირდებით,
ძაან ნუ გაკვირდებით:
ფესვები აქვს ვენახში,
სუფრაზე აქვს კვირტები.)
დაწყვბილან ბოლომდე
ჯიგარზეა ჩართული,
დარღი მოწყვნილობა

შორეთს გადაკარგული,
სიკეთე მოიმლერის
მოდის წელგამართული;
ღმერთო, გვიმარადფამე
საქართველო ქართული!

14.X.1986.

„დ ი ლ ი“

ეგ შენი თმები ქარივით
ცელქობს და მეოფოინება,
როგორც ვარდების ფურცლების
სახეზე მიმოფინება.
გიურუბ, ჩგელოზს ჰგავხარ,
მხიბლავ შუქმფენი ღიმილით;
ზოგჯერ კი რა ჯიუტი ხარ,
მაგ შენი ღიფის ღილივით!

*

ლ ი კ ა რ ი უ ც ხ ი ე თ შ ი

იქ, ავდარიც დარის დასადარია,
იქ, ავდარიც დარის საწინდარია;
საქართველო სიკეთის საყდარია
და, ღმერთიც ხომ მისი ბინადარია!

ღმერთო! მომეცი უნარი ლიმაზ განცდათა ფლობისა,
ძალა-სიცოცხლის შეგრძნების, გულს-ძგერის, სხეულს-ერეოლისა,
ამღერებული ბუნების ფანისა და ფლორისა,
ჭიუხის გარიერაეისა დამტკვებელის გონისა;
კლდეზე ფერებად ბრდლვიალის ჩანჩქერის ჭავლის, თქორისა,
ფშანში კალმახის ჩქლაფუნის, შხეფების ამოსროლისა;
არწივის ფრთების ტკაბუნის, ჭუხილთან შენაბრძოლისა,
მხარმაგარ ფრთების შხუილით ატეხილ ქარის ჭროლისა,
„დავით ფერულის“ ამოწვდის, თან სხივის ამოყოლისა,



დაჭრებული „ხირიმის“ ამობოლქვილი ბოლისა, ეროვნული ქარაფს ნახტომი ხარიმის ქორბუდა რქების მქონის მიზანისა, ფალტზე შემდგარი არაგვის, მისი ზვირთებად რბოლისა, „ჯაბუშანურის ლურჯაის არხვატს დაკრული ტორისა!“

მომმაღლე ნიჭი ღვთიური სიტყვის წარმოთქმის სწორისა, აზრების გაუხუნარის სიბრძნესთან შესაწონისა, სამშობლოს სადღეგრძელებლად გულში ღრმად ჩასაკონისა, მზის, სიჭარულის, ვარდების ერთ კონად შენაკონისა, მისი აწმუნ და მომავლის, გმირულ წარსულის მქონისა; ქართველი კაცის ლირსების მრავალეამს დანაღონისა, ფერლასგან განსხვავებულის სიკეთის შთამაგონისა; მისი ზღაპრული მთა-ბარის ჩასახუტ-საამბორისა, ლურჯი ცის, მწვანე ხმელეთის, მყნვართა თეთრი ბროლისა, შავი ზღვის ლურჯი ტალღების ქვიშაზე შარიშურისა!

„შორიდან გნახე“ სამშობლოვ, ქვეყანა განსაცვიფრები! როგორ შეგამქო? არ მყოფნის სიტყვები, არცა ციფრები; გულმკერდით დამაქვს გულივით შენზე ლოცვა და ფიქრები; რა დამავიწყბს დიდ ამაგს, მანამ ცოცხალი ვიქნები; ბალიშის გვერდით მიწყია შენზე ნაწერი წიგნები, ფიქრითაც რომ გილალატო ხანჯალით გავიშიგნები, კაცი, ქართველად შობილი, რაისთვის გარდავიქმნები?!..

7. XII 1986.

*

დ ე დ ა ს

-1-

მე ვიყვი სულ პატარა გმირი,
შენს კალთაზე თუ მეკიდა ხელი.
ფეხის წვერებზე ვდგებოდი, როცა
შენთან რამე მქონდა გასამხელი.
გაჩქარებდი, წინ გისწრებდი მუდამ,
არ მიუვარდა სიარული ნელი;
არხეინად ვაბიჯებდი ბიჭი,
ჩემთან იყო დედა ჩემი მხსნელი.

წარსულის ქარს გაჰყავა ჭელაფერი
ტკბილი... ეხლა ძნელად ასახსნელი,
თვალშინ მიღავს ხანა მაშინდელი,
შენთვის ძნელი, ჩემთვის სანატრელი.



-2-

გაჯავრებდი, მქონდა „რისხვა“ დედური,
მახსენდება კიცხვა და საყვედური :
—„ღვინოსა სვამ, პაპიროზს ექაჩები,
მეგობრებად გაგხდომიან ქაჯები;
ლექციებზე რატომ აღარ მიღიხარ?
გოგოებთან რომ დასძრები, ფინთი ხარ!“
—რაც გინდ მლანძლო, მაინც სულში მინთხარ!

-3-

დავბერდი და ლხინი მექცა ჭირად,
ამიტომაც მახსენდები ხშირად;
ეხლა გხედავ, ჩემო ტკბილო დედა,
ჩემთანა ხარ გასაჭირში ბედად.
ეხლა ვხედავ შენს ნაღვლიან თვალებს,
წამწამებზე დაკიდებულ ცრემლებს;
ეგ თვალები მინათებენ წყლიადს,
ეგ ცრემლები გულს მითუთქავს ზვიადს;
შენ ხომ ჩემთვის სანთელივით ენთე,
შენ იწვოდი, მე მათბობდი, დედა!
ალბათ ჩემზე ფიქრით დაითენთე,
მახსენდები, დარდით გული კვდება!
შენს სურათთან, როცა პირჯვარს ვიწერ,
შენი თმების სურნელება მატკბობს,
ღვთიურ სახეს სევდა ნისლავს, ისევ,
სურათიდან გალიმებას ვნატრობ!
მენატრება შენ საფლავთან მოსვლა,
ღარიშება, ლოდზე ჩახუტება;
ჩემი სული ნიავს რომ გამოჰყა,
მანდ ჩურჩულობს, მანდ დაეხეტება,
როცა ფოთლებს აუტეხავს შრიალს,
მავთულებზე როცა ატირდება,



დედა, მაშინ შენთან მიხმობ, ტიალს,
ვიცი, ჩემი ნახვა გენატრება,
უჩემობით, ვიცი გული გშედება,
ხელებს გიშვლი, მაგრამ ვერა გშვდება,,
თვალებს ვხუჭავ, ჩემთანა ხარ, დედა!..
თვალს ვახელ და ... რაღ არ დავმიშდები?!

10.02.1986.

*

„პ უ ნ წ უ ლ ა“

შენ ამბობ, რომ მაგ ტუჩებს, არ კი უთხრა დედაშენს,
მაგ ალუბლის კუნწულას, პირი ჩავიტკბარუნოთ,-
შენს საქმაროს უნახავ, ეგ კუნწულა შევჭამოთ,
ვიღაც „მელა ცუნცულას?!“ იმ შენს მელა-ცუნცულას
იცი რა ვქნათ მე და შენ? კურკები შევუნახოთ.

*

ა ნ რ ა დ ა ს ა ჯ ე რ ე ბ ი ა !

გახსოვს, ჩვენ ორს, ღამეები თავზე რომ დაგვთენებია?
ორივე რომ გაგვიტაცეს, ვნების თეთრი ცხენებია!
თეთრ ბურუსში გახვეულებს, დარდი არ გაგვხსენებია,
სუფთა გრძნობის გრიგალებით ყოფა დაგვიმშვენებია!
შენი ეშხის სამსახურში როგორ შემოგვთენებია?
მთვარის შუქზე ჩაგიკონე, მზე კი შემოგვჩერებია.
ის გრიგალი სიოდ იქცა, ცეცხლიც გამოგვნელებია,
დრომ თავისი გაიტანა, ვერ კი დამიჯერებია!

*

„გ ი უ მ ა ჟ ი რ ა შ ე ბ ი“

სარკის ბრალია ნამდვილად
თმებში ვერცხლი და ჭაღარა,
თორემ ვინ ნახა ასეთი
გული ცხელი და ანკარა?!
ოცნებამ შენზე ფიქრები
ლამაზ ფერებად მახარა,-

ნოშრევან გალაშვილი

სანტა როზა (კალიფორნია), აგვისტო 1986

საამო მოგონებები
ვარდებად გაღმომაყრა:
-ჭაღავ, დედა მოგიკითხავს,
როგორ დაგვრიერაჟებია?!
ვნების ეტლით გაგვიტაცეს,
რა გიგმაჟი რაშებია!



გიორგი ტომანიძე

იმპერიული
სიცოცხლის

ს ა მ შ თ ბ ლ თ ს მ თ ე ბ ი

სოშოდან არ ჩანს სამშობლოს მთები
კავკასიონის უძლევი მთები,
ჩემს მიწასა და წყლის დღეს ვერ ვეხები
და სევდით მათზე ნელ-ნელა ვდნები.

*

ეს მანძილია ტანჯვის მანძილი,
დღე-ღამის ღელვის და უწყეტ მწუხრის;
გვაჟურებ ზეცას გულის ფანცქალით
და, ფიქრი ჩემი შორს, სადღაც მიჰქრის.

*

მაგრამ სად მიჰქრის? იქ, სადაც ქართლის
ქვეწად გაშლილა ღვთისგან მშვენება,
რომ, მისი ტროფით და მისი მადლით,
ვპოვე მე სულის და გულის შვება.

*

მე, ეს ოცნება დღე და ღამ მტანჯავს,
ოცნება მწირი მრჩება ოცნებად,
და წარკვეთილი ეს ჩემი გარჯა,
ობოლ სულივით დაეხეტება.

სოშო, 1938.

ჩ ე მ ი ს ი ტ უ ვ ა

ჩემი სიტყვა უბრალოა, ის სულ არ ჰვავს ქადაგს,
საუბარში გულახდილი, მარტივი და საღა.

საღვთო ხმების მოყვარული და ერთგული ცისა,
ის სიმართლეს ქვეწად ეტრფის, ვით ცხოვრების მიზანს.

კაცთა შორის მშვიდობის და მტკიცე ძმობის მდომი,
ერთხმად ჟელგან უარმყოფი სისხლის ღვრის და ომის.

ჟელა ერთა თანაგრძნობას, მტრობის გზა-კვალს ამცდარს,

ის შეპხარის მუდამ ტრფობით ამ გრძნობების განცდას უზრუნველყოფისა და სიკურული მისთვის არის ცხოვრების საგზალი.



გულთბილი და მეგობრული, ამ გზით ის მავალი,
სიკურული მისთვის არის ცხოვრების საგზალი.

ის იქ ცოცხლობს და იქ სუნთქვავს, სადაც დროშად არის
უნილაბო სათნოება, ღვთის შვენების დარი.

მან არ იცის დაეჭვება, ყელგან პირდაპირი,
თუმც კი ზოგჯერ ის ცხოვრების სიმწარისგან ტირის;

არასოდეს მას არ მოჟრობს, ვინც ცის დანახვაზე
ბნელი ღამის თვალით დაძრწის, ეშმის დამსჯელ ხმაზე.

მისგან შორს დგას ცხოველ გრძნობით, ვინც ცხოვრების
გზაზე
კაცთა შორის თესავს მხოლოდ შურით სავსე აზრებს.

მას არ უჟარს ზვიადობა, დრტვინვა უცნაური,
მუდამ ეტრფის მას, რაც არის მართლა ვაჟკაცური.

ის სულ სხვაა, შორეული, სხვა ვარსკვლავთა ხომლის,
ლაჟვარდი ცის მოჟარული, ვითა შემძლე ჭავლის.

ის იზრდება გულის ხმაში, სადაც ღვივის გრძნობა,
სიკურულის, სათნოების, ღვთის სამეფოს ტრფობა.

და ეს სიბრძნე თვით გაშლილი ცის მნათობთა შორის
იხმობს მას, რომ მუდამ იყენება მართალი და სწორი.

გიორგი ტოგონიძე (25.10.1963)

ირაკლი ოთხმეზური

ქ უ თ ა ი ს ი

ქუთაისო არ გივიშებ,
ხშირად მესმის შენი ქება,
შენ ბაღნარის სურნელება,
მათზე ლექსის აორთქლება.

გავატარე იქ ბავშვობა,
იქ დავიშუ ლექსის წერა,
იქ დავიშუ ქაშვილობა,
მშვენიერი ქვეჭის მზერა.

სალორია, ბალახვანი,
რიონი და დიდი ბალი,
გორის მაღლა იქ ტაძარი,
დამაჩინე დიდი დალი.

მცენარენი შენი მიწი უკარისი
ქუთაისო შენთან იწვის,
ერთგულები დაგრჩებიან
ჭავილი თუ ნაძვი წიწვის.

მიჟვარს, ყველას მირჩევნია
ქალაქებში ქუთაისი,
თურცა კარგი ბევრი არის,
მე არ მინდა სხვაგან სხვისი.

შენი მიწა ცხელი არის,
ბევრ ჩვენგანი არ ახარეს,
დავითი და კონსტანტინე
საფლავიდან ამოთხარეს.

ირაკლი ოთხმეზური, ბრიუსელი.

გ ი ვ ი შ ა თ რ ე ლ ი

ს ი ჭ ა რ ი

სიზმრად ვიხილე სანატრელი
ჩემი სოფელი
ლვთიგურთხეული ნიკორწმინდა
ტურფა და მშვენი,
მივეჭროდი იქით, სადაც გვედგა
ტკბილსამყაფელი,
სად მეგულგოდა ოდასახლი
და, ეზო ჩვენი.

*

მივისწრაფოდი, და თან ძილში
საოცრად ვწუხდი:
ნეტავი ბებო თუ დამხვდება
კიდევ ცოცხალი!
რომ მივატოვე, არ მივხედე,
ბოდიშს მოუხდი,
გადავეხვევი, ავთროლდები
როგორც მოცხარი.

მივრბოდი სწრაფად, გული ჭლში
მებჯინებოდა:
—ვაითუ დედა ველარ ვნახო,
ჩემი დედიკო!
როგორ ვუყარდი, რა სათუთად
თავს მევლებოდა,
ნუთუ ამდენ ხანს ის არ უნდა
მომგონებიყო!

*

მივისწრაფოდი და ვატყაბდი
მაღრჩობდა ცრემლი:
—ვაითუ მამა, ხანდაზმული,
ველარა ვნახო,
არ მახსოვს ერთხელ შემხებოდა
მე მისი ხელი,
ჩემი მამილო, ჩემი კარგი,
საიასა ყო!

მივრბოდი ისე, როგორც გიჟი,
როგორც შეშლილი,



და ფიქრი დაზე, ჩემს თინაზე,
მთელს გრძნობას ფლობდა:
ეგების ისიც ვერ ვიხილო,
ვარდივით შლილი,
ვინ იცის მასაც რა შეემთხვა,
რა უბედობა!

* *

მივისწრაფოდი...და პა, ბოლოს
გამოჩნდა ბალი,
მაგრამ რას ვხედავ: ჩამკვდარიყა
იქ ჟელაფერი;
მორღვეულიშვილიშვილი და
დარბაზის თაღი,
ვეღარ ვიცანი...იქ ჟელაფერს
ეცვალა ფერი.

*

გულის ფანტაზიათ მივიჩინე
სახლის ღირესთან
და შევიჭივრიტე სანახევროდ
ღია კარებში,
ასე მეგონა ბუხრის ახლოს,
სანაპირესთან,
ბებიაჩემი მომხვდებოდა
წამსვე თვალებში...

*

მაგრამ, არ ჩანდა არც ბებია,
არც ნაზი დედა;
შევაღე კარი და შევედი
ფრთხილად სამყაფში,
გარშემო სევდა-კაეშანი
მხოლოდ სუფევდა,
როგორც უმწყმესოდ მიტოვებულ
ტიალ სამწყოში...

ჟელა ოთახი მოვიარე,
ჟელა კუნჭული,
მაგრამ ვერ ვპოვე შინაური,
ჩემიანები...
ირგლივ ღუმილი იყო ისე
ჩამოხუნძული,
როგორც ვაზები ჩვენ ვენახში,
მტევნიანები...

*

ვერ ავიტანე ეს ღუმილი
გამეფებული,
გავხსენი ბაგე, რომ მეჭირა,
რომ დამეძახა:
ჰეი, საღა ხართ, რად მემაღვით,
სადა გაქვთ გული...
მაგრამ ვერ შევძელ, თითქოს
თასმით

შემიკრეს ხახა!

*

გავარდი გარეთ და მოაჯირს
გადავებჯინე,
გავხედე ეზოს, ვირც იქ მოვდარ
ვერავის თვალი...
და ჩავიჩინქე, გულამოსკვნით
ჩავიქვითინე:
ვაიმე დედა, აღარავინ
დამხვდა ცოცხალი.

*

— „ჰე, გაიღვიძე, გაიღვიძე,
ეს სიზმარია;



რა გაქვითნებს ასე მწარედ,
ასე მღულარედ...“
ჩამომძახოდა შემკრთალი ხმით
ჩემი მარია;

განა არ კმარა, რაც ჩვენ ცხადში
ცრემლები ვღვარეთ?!”

გამომეღვიძა, გული ყლში
ამოსულიყო
და ფრთხიალებდა, ვით ჩიტუნა...
იყო ცისმარი.
— „ახლა დამშვიდდი, დამიწჭარდი,
ჩემო სულიყო!
ეგების კარგად აგვიცხადდეს
ჩვენ ეგ სი ზ მ ა რ ი...“

8030 ପାଞ୍ଚଶିଳ୍ପୀ
ବୋଲ୍ଡ - ଓରକ୍ସି, 15.VI.1955.

ავტორის შენიშვნა: ორცა მე ამ სიზმარს ვღებს სავდი,
თურმე მართლაც აღარ მყოლია ბებო. მას საუკუნოდ ჩასძი-
ნებია 30 ივნისს 1945 წ. ასევე დედას – 30 მაისს 1950 წ.,
მამას – 25 ნოემბერს 1952-ს, ჩემს ყველა მოწყვლე მაღ-
ალ ღმერთს ჩემთვის უბოძებია მხოლოდ უძვირფასები დის
სიცოცხლე, ხოლო ჩვენი სახლი, ტერენტი გრანელის სახლივ-
ით, დიდი ხნის გატადული ყაფილა... გ. ჭ.

* * * (c) (d) (e) (f) (g) (h) (i) (j) *

6 9 11 13 15 17 19

00000 00000

3 5 6 6 E/6 3 3 3 3 3 3 3 *)

რა ხალხი ვყოფილვართ, თქვენ გსურდათ გაგეგოთ?
მაში, იქნებ ინებოთ და ყური დაგვიგდოთ.
თქვენ თურმა არ გვიცნობთ, თქვენ თურმე არ იცით
როგორ ვეწამეთ და მაინც არ დავეცით.
თქვენ გსურდათ გაგეგოთ, რა ხალხი ვყოფილვართ,
ან როგორ ალვმდგარებართ, როცა დავმხობილვართ,



ან როგორ გავუძღეთ განსაცდელს ამოდენს, უკრაინული
ანდა, მართალია, თუ ვინმეს აბოდებს, ჰიბრიდული
რომ მართლაც რკინის თუ ფოლადის ერი ვართ
და, როცა სისხლი ვედის, მაშინაც ვმღერივართ.

რა ხალხი ვჭიფილვართ, თქვენ გსურდათ გაგეგოთ?
კეთილი, გვისმინეთ, ვეცდები გაგენდოთ:

ჩვენ მაკავეელთა ვართ შთამომავალი,
ოდითგან მახვილით ვვშანთავდა მტარვალი.

ჩვენი ისტორია თვლის საუკუნეებს,
უამრავს გავუძღეთ ცეცხლს და უკუნეოებს,
უამრავ „ფარცს“, თუ ამანს და სატანებს,
მაგრამ დღევანდლამდე მაინც მოვატანეთ,
მაგრამ დღევანდლამდე არ დავიწყებულა
სახელი იმათი, ვინც კი დაცემულა.

ექვსი მილიონის ფერფლი და აჩრდილი,
ზეცისკენ ხელები ვედრებით აწვდილი,
შიში და იმედი: „ნეტავ ვის რა ელის?“
ლალადით ნათქვამი: „შემაყ ისრაელი“.

როგორც დახუნძლული ხეები ვაშლებით,
მკედრებით—ოსვენციმი და იად-ვაშემი,
გაზის კამერებში შეჭრილი „საკლავი“
და მკერდზე დავითის ჭითელი ვარსკვლავი...
სიკედილის მანქანამ ვერ გადაგვაშენა,
დავითის ვარსკვლავი ვვშველოდა მაშინაც,
როცა მტრის ტჯიები ზუზუნით გვაწვიმდა
და ძალას ბოლომდე ბრძოლისას გვაძლევდა;

რა ხალხი ვჭიფილვართ, რისთვის გაგვიძლია
და უიმედობა არასდროს გვიგრძვნია,
წარსული პირშეკრულ იარად გვაჩნია,
დედა-სამშობლო დღეს ჩვენი გაგვაჩნია,
სისხლით და ცრემლებით ერთ დროს ნასველები,
წალკოტად ქცეული მთები და ველები,
და მონაპოვარით მშრომელი ხელების,
სახტად დარჩენილი მისი მნახველები.

რა ხალხი ვჭიფილვართ? სახეში ჩაგვხედეთ,
საზღვართან მეღგრად მდგარ ჯარისკაცს შეხედეთ,
მტრის ავი ზრახვებით ცეცხლად რომ ენთება

და გმირულ ლეგენდად აქცია „ენტებე“.



ჩახ ედეთ მის დედას ნაღვლიან თვალებში,
თავისი გმირით, რომ ამაყობს ქალებში,
შვილის და მშვიდობის ლოცვად რომ იღვრება,
ზოგჯერ შვილს ჰკარგავს და მაინც არ იხრება.

მაინც არ იღლება მშვიდობის ლოდინით,

და უიმედობას ჩაჰქოლავს ლოდებით;

ცდილობს, რომ ლიმილით დამალოს ქვითინი,

და ართობს ივრითზე ციცქნების ტიტინი.

სიმღერა ისმინეთ ჩვენი და ლექსები,

რა უნდა ინატროთ სხვა უკეთესები?!

ჩვენ ციცქნა ერი და მაინც რა დიადი!

შეხედეთ რა ეხარობთ ხეალის განთიადით,

როგორი გამძლე და უდრევი ერი ვართ

და, როცა სისხლი გვდის, მაშინაც ვმღერივართ.

შეხედეთ, იგრძენით და თქვენც მოგინდებათ,

რომ ხოტბა შეასხათ ამ ხალხს და დიდება,

ნახეთ, რომ ვიზრდებით და არ დაგმხობილვართ,

ნახეთ და გაიგეთ,—რა ხალხი ვყოფილვართ !

სიმხა ადარი

*) პოეტი ქალის, ქალბატონ სიმხა ადარ - აჯიაშვილის ეს
დიდებული ლექსი გადმოვტეჭდეთ უურნალ „დროშა“ №8 (24)
1982 წლის ნომრიდან. გუშაგი

ისაკ მეგრელიშვილი

შეცდომის გასწორება: ბ-ნ ისაკ მეგრელიშვილის ლექსში
„მკვდრეთით აღსდგება“, რომელიც დაიბეჭდა გუშაგის წინა-
№11 -ში (იხ. გვ. 58 და 59) გაპარულია უხეში დამახინჯება,
რისთვისაც პატივცემულ ავტორს ვთხოვთ სულგრძელად შეგვი-
ნდოს. მეხუთე კუპლეტი მთლიანად ასე უნდა იკითხებოდეს:
„შენს „ჩაკლულ სულის“ ვატარებ ძველ ჯავრს,
ვხედავ თორლვაის—ებრძვის მტერს ვერაგს...
ნინოს თმით შეკრულს ვხედავ ვაზის ჯვარს
და სისხლით შესვრილს კვლავ „გველის პერანგს“.

შემდეგ ამისა მოდის: „მე მწამს ..“ და ასე შემდეგ,
როგორც იკითხება. გუშაგი.



ჭ ა მ თ შ ე ჩ ე რ დ ი !

მანძილის ლოდი გულზე დამეცა
და წამაქცია გოლების მეხმა...
ო, იგრუხუნე მიწავ და ზეცავ,
ოლონდ არ შეწყვეს მშობლიური ხმა.
როცა შენ გისმენ, ისევ ვზეიმობ,
უცხო ქუჩებში მესმის ურმული;
თბილისში ალბათ მთაწმინდის ზემოთ
უჩემოთ მოკვდა ეს დღეც დუმილით...
გულში ბოლმაა, გულში ჯავრია,
მოუკლავთ ცაში მტრედი მშვიდობის.
გზაზე ჯვარია, ცაში ჯვარია,
ღმერთო ისმინე სიტყვა შენდობის!..
დღეს ისევ ზეცა სისხლის ფერია,
მე მივაბიჯებ გზაჯვარედინზე.
თუ კი სიბერე არ მომერია
კიდევ ვიმღერებ სხვების ჯინაზე.
უამო შეჩერდი! მსურს გითხრა ოდა:
ო, ყოვლის შემძლევ, შენ გევეღები,
დრო გადასწიე, მაცოცხლე ცოტა,
ჯერ არ მცირია, ვერ დავბერდები!

ი ს ა კ მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი
ბერლინი 1985

აბრამ მამისთავალოვი

ძ ა რ თ ვ ე ლ ა !

ძმაო ქართველო! დიდი ხანია
მუზა ივერთა ველ-მინდვრებს უვლის...
ეს არც პოეტის არმაღანია,
არც საყედური,- სუნთქვაა გულის.

მეც საქართველოს დიდებას ვწერდი
და მეც მგოსნად მქმნა ტკბილმა ქართულმა.

მე წარსულს როგორ დავუსვამ წერტილს, ურთიერთობის
ლექსში რომ წყაროდ გაიდგაფუნა.

ჩემს ლექსს შემორჩა ნაძვის სურნელი,
მთის მდინარეთა ხმაურ-ღალადი.
მე მკრეხელობის არ ვარ მსურველი,
თორემ დაიტევს სიტყვებს ქაღალდი.

შენ კი მიგონებ თურმე ჭველრებით
და ჩემი რწმენის ქირდვას მიმართე.
მე პატიებას არ გევეღრები,
მაგრამ შეიტყა-მინდა-სიმართლე.

რატომ მიურებ თვალით ვიწროთი?
მარჯვი, ჩემს სამტროდ ვინ დაგარიგა?
ერთ დროს ჩემსავით შენც ხომ იღწვოდი
ქვეჭის სახსნელად, გინდა ტარიგად!..

მე ჩემი ქვეჭის დარდი მადარდებს,
მის სადიღებლად ვიბრძვი ალალად.
თუ ჩემი ბრძოლა აღწევს მანამდეც,-
ლაქად გიჩნის ნუთუ? თქვი, ნუ დამალავ!

შენც ხომ ცალ ხელში თოფი გეჭირა
და მეორეთი გეპჭა გუთანი:
მტერთაგან მიწა გადაგერჩინა,
სუნთქვაც გქონდა, მზეც საკუთარი.

ხომ არ დანებდი, ხომ გაუძელი
სიკვდილს, ჯოჯოხეთს, ნგრევას საშინელს.
დიდი თამარის დროშა უძლევი
დაწვის და აუგს გადაარჩინე.

მეც შენს დღეში ვარ. მეც ვემნი და ვიბრძვი
და მტერი წელში ვერ გაიმართვის.
დავიდის ფარით, შელომოს სიბრძით
მინდა იხაროს ნერგმა სიმართლის.



რომ გვერდვა ძმები ჩვენ ათასწლობით, უკრავთ ნუთუ ისურვებ ახლა გათელო?
თუნდაც გამკიცხე სწორი სასწორით,
ავს კი არ აჰეთ, ძმათ ქართველო!

ა ბ რ ა მ მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ვ ვ ი
„ლიტერატურული აღმანახი“, იერუშალამი 1981
*** *** ***

დ ა ვ ი დ ა ჯ ი ა შ ვ ი ლ ი

ძ ვ ე ლ ი ა რ ა კ ი

ძველი არაკი—
აქ დადიოდა მთვრალი ნიკალა,
ჰა, აგარაკი,
მსუბუქ დარღებმა გადაიკარა.

ცა — ვით ემალი,
მდინარე მტკვარზე ტივი ლასტური,
ბაღს — ერკემალი
და ღარიბ სუფრას ალადასტური.

უკრავს არღანი,
აქ ქეიფია იადონებით,
ნაარმაღალი
ბაღდადის ტაშით და ბატონებით.

მტკვრიანი სუფრა,-
მას შენ ვერაფრით გადაურჩები,
კვლავ მოიქუფრა,
თივაში ჰქონია სევდის ფუნჯები.

თალხი სარდაფი,
ქუჩაში რბიან ეყვნით ეტლები,
მთვარე — სადაფი...
მაგ ფარულ ნაღველს მარად ვეტლები.

დავიდ აჯიაშვილი, 1970 წ.
(„ლიტერატურული აღმანახი“ იერუშალამი 1981)



(შესავალი: ამ სათაურით ინგლისურ ენაზე გამოიცავის ტემაზე ამ სევერინის დღიურების წიგნი, რომელშიც მოთხოვნილია ავტორის მეთაურობით ახლახან შესრულებულ მრავალმხრივ საინტერესო საზღვაო მოგზაურობის შესახებ, რომელიც ჩატარდა მითური „არგოს“ საშუალებებითა და მარშრუტით დღევანდელი „ოქროს საწმინდის“ ქვეყანაში. ამ, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო წიგნის შესახებ, ბ-ნ ირაკლი თოხმეზურს ინტერვიუ ჩამოართვა ქ-ნმა მარინა ელისმა, „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტმა ევროპაში, რომელსაც ქვემოდ გთავაზობთ. გუშაგი)

მ. ელისი: ბ-ნო ირაკლი, გავიგე, თქვენ მიიღეთ წიგნი იასონის მოგზაურობაზე, ტიმ სევერინისა, ინგლისურ ენაზე.
ხომ არ გვიამბობთ რამეს ამ წიგნის შესახებ?
ირ. თოხმეზური— მართლაც, ლონდონიდან ამ საახალწლოდ მივიღე აკაკი რამიშვილიდან საჩუქრად ახალგამოსული საუცხოო წიგნი: „იასონის მოგზაურობაზე“ საქართველოში. აკაკი რამიშვილი ალბათ ცნობილია თქვენი მსმენელებისთვის საქართველოში, იგი გახლავთ, ჩვენი დამოუკიდებლობის დროის ცნობილი მინისტრის, ნოე რამიშვილის ვაჟიშვილი. თვით ბ-ნი აკაკი ექიმია.

ეს წიგნი საუცხოოდაა გამოცემული. შეიცავს 263 გვ.-ს, მასში მოყვანილია მრავალი დასურათება ისტორიიდან თუ დღევანდელი მოგზაურობიდან, აგრეთვე საქართველოში მიღება და პატივის ცემა. აქედა აგრეთვე სურათი ეშმაკურად მოღიმარე ქართველი მსახიობისა, რომელიც ასრულებს მედეას როლს და გადაღებულია ბ-ნ ტიმთან. ეს უკანასკნელი ქართულ ჩოხაშია. წიგნი მისდევს დღიურს ტ. სევერინისას, რომელსაც თავიდან ბოლომდე ალუწერია დაწვრილებით ეს მოგზაურობა. მოჰყვს აგრეთვე ლიტერატურული შემჩნევები ამ ლეგენდისა, განსაკურებით პოლონიის როდოსელის წიგნიდან. ეს წიგნი 1975 წელს ქართულად ჩინებულად გადათარგმნა მწერალმა აკაკი გელოვანმა და ის ხელმისაწვდომია ქართველი მქონეველისთვის.

მ.ელ. —ბ-ნო ირაკლი, რას გვეტავდით თვით ტიმ სევერინის შესახებ? ირ. თო. —ტიმ სევერინი არის მეტად გამოცდილი და განათლებული იოლანდიელი. მან უკვე მრავალი მოგზაურობა გაკეთა: იოლანდიდან ამერიკაში, ახაბეთიდან ჩინეთში და სხვა. ის არის 44 წლის გეოგრაფი, სწავლული ოქსფორდის უნივერსიტეტში. აქვს დაწერილი რვა წიგნი თვის მოგზაურობათა შესა-



ხებ. ის ბინადრობს ირლანდიის კონტ კორპუში. სისულეები ნავ „არგოზე?“

მ. ელის-ბ-ნო ირაკლი, რას გვეტყვით ნავ „არგოზე?“
ირ. ოთხეზური— ნავი „არგო“ არის რვა ტონიანი ნავი, ოცი
ნიჩბით. ის ადამიანის ნიჩებით ანვითარებდა რვა ცხენის ძა-
ლას, აშენებულია ბრინჯაოს ხანის ტექნიკის მიხედვით, ის გა-
ნახორციელა ერთმა ძველმა გამოცდილმა ნავთშენებელმა, უც-
ნაურმა და ჩუმმა ვასილიმ, საბერძნეთში. გადმოცემა ამბობს,
რომ ძველ „არგოს“ ლაპარაკი შეეძლო. უცნაურია, რომ ახალი
„არგოც“ „ბუტბუტებდა!“

მ. ელ.—რას გვეტყვით მათ გავლილ გზაზე?

— ნავი წავიდა საბერძნეთიდან, გაიარა ეგეიის ზღვა, გავიდა
დარღანერმი და მარმარას ზღვაში, გაიარა ბოსფორი, შავი
ზღვა და ოსმალეთის სანაპიროები და პირველ დღეს მდინარე
რიონზე გააკეთა შვიდი კილომეტრი აღმა. ეს გზა უდრის დაახ-
ლოებით 2.700 კმ. და მის გავლას მოუნდნენ ორ თვესა და ნა-
ხევარს. ნავმა პირველ დღეს, გამოცდაში, გააკეთა საათში 11
კილომეტრი, რაც დამაკმაყოფილებელი იყო.

მ. ელ.—რას გვეტყვით ამ მოგზაურობის სიძნელეებზე?

— სიძნელეები ამ მოგზაურობისა იყო უამრავი. ეს სევერინს
დღიდან-დღე ჩინებულია აქვს აღწერილი. ჯერ იყო და მენიჩე-
ობა, რაც მოითხოვს უდიდეს დაძაბეას მთელი დღე სიცხეში.
მენიჩეები, როგორც ძველ დროს, ტანზე იხდიდნენ, ტანისამოს-
სა და ოფლს წყლულები რომ არ გამოეშვია. მერმე, დინება
შავი ზღვიდან ხმელთა შუა ზღვისაკენ, გინსაკუთრებით დარღა-
ნელსა და ბოსფორში, პატარა ნავისთვის იყო თითქმის აუტანე-
ლი და მოითხოვდა დიდ ხერხსა და გამოცდილებას. მერმე იყო
და, უცდი ამინდები, რაც აძნელებდნენ ამ მგზავრობას.
მაგრამ, ახალმა „არგონავტებმა“ დაამტკიცეს, რომ იმ ლეგენდა-
რული „არგოს“ მოგზაურობა, რომელსაც ალბათ ადგილი ჰქონდა
1125 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, შესაძლებელი იყო.

მენიჩეები იჯნენ უმთავრესად გამოცდილი ინგლისელი სპორტ-
სენინგი. საბერძნეთის გზაზე მათ ეხმარებოდნენ ბერძნები, ოს-
მალეთის გზაზე — ოსმალები და საქართველოს გზაზე — ქართველი
გამოცდილი მენიჩეები.

მ. ელ.— ბოლოს, როგორი იყო მათი მიღება საქართველოში?

— საინტერესოა, რომ არგო იყო პირველი ნავი დაახლოებით

ორმოც წლის განმავლიბაში, რომელმაც მიიღო ჟურნალი, მასში დაელახა ოსმალეთიდან, ხოფიდან გასულს, საბჭოეთისაკენ. ეს მოგზაურობა, რომელიც გაგრძელდა 78 დღეს, ქ. ვალისიდან ოქ-როს საშმისის სამეფომდე, ე. ი. კოლხიდამდე. მეცნიერი ოთარ ლორთქითანიდე სტუმრებს აძლევდა ახსნა-განმარტებას, რომ არ-გონავტების ამბავი არის ღრმად ქართულ შეგნებაში. ის მოდის

ხუთი ათას წლის მანძილზე და ყავაშირებს ქართველებს გარეშე წინ წასულ ქვეწებთან ხმელთა შუა ზღვისა, ამიტომ ახალი „არგო“ მათ მიიღეს ასე გულითადათ. ზავშეგბი მდინარ-ის ნაპირზე მორბოდნენ, რომ გაყილოდნენ „არგოს“ მოძრაობას. მიაღწიეს ჭალადიდამდე და ნავი დაეშვა სილაზე. დაიწყო მნი-არულობა და დღეობა. ფორმალური დღეობა იყო გადახდილი ვა-ნში და ქართული ლგინით ხელში, ჰაძახოდნენ: „გაუმარჯვოს!“ წიგნში აღწერილია მრავალი საინტერესო ამბავი დაწვრილებ-ით, რომელიც ძნელია გადმოიცეს მოქლე რდიო საუბარში. იყნენ სვანეთის სანახავად, მესტიაში. ასევე ბათუმში, ქო-ბულეთში და სხვა მრავალ ადგილას საქართველოში.

გემმა „ტოვარიშჩი“-მა ისინი დაბრუნა უკან.

ბოლოს, სასურველია, ეს საინტერესო წიგნი მაღე იქნას გადათარგმნილი ქართულად, ქართველი მკითხველის სასიამოვნოდ.

(და მატება: ინგლისის ტელეხელვამ ეს „არგონავტების“ მოგზაურობა, ბ-6 სევერინის მეთაურობით, გადაიღო და გადმო-სცა ინგლისიდან. მითური „არგო“ ქუთხსამდე მოვიდა, ახალი კი ვერა, აღბათ რიონი მაშინ უფრო ღრმა იყო.)

ირაკლი ოთხმეზური

*** *** ***

„ა დ ვ თ კ ა ტ ი ს ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი“

ამ ნაახალწლევზე საუცხოო ნობათი მივიღეთ, ჩვენი მეგობრი-სა და თანამშრომლის, იურიდიული მეცნიერებათა დოქტორის, მიხეილ ნანიკაშვილისაგან. ეს გახლავთ მისი საადვოკატო მოლ-ვაწეობის დროს საქართველოში მის მიერ დაცული იშვიათი კრიმინელური შემთხვევების კრებული, რომელიც იმავ დროს თა-ვგადასავალიცა ავტორის. ეს 240 გეგრძიანი წიგნი, კარგი ქართულით დაწერილი და იშვიათი გემოვნებით გაფორმებულ-გამოცემული, გადაუქარჩებლად შეიძლება გვერდში ამოუყნოთ



„შერლოკ ჰოლმისისა“ და „კომისარ მეგრეს“ მსგაუცემის მიერ ფლიოში სახელგანთქმულ პოლიციურ რომანებს, იმ განსხვავებით, რომ „აღვოკატის ჩანაწერები“ ავტორის მიერ დაცული და კარგად შემოწმებული რეალური ამბებია, მაშინ, როცა პოლიციური რომანები წმინდა ფანტაზიის ნაყოფებია.

ვინაიდან ის მცირე ტირაჟით გამოდის, წიგნების მოყვარულები ნულა დააყვანებთ ავტორს შეუძველოთ შემდეგი მისამართით:
MR. NANIKASHVILI ; Sanhedria Myrhevet 131/6 ; JERUSALEM

გუშაგი

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო განცხადებები და ნეკროლოგები

მწუხარებით ვაუწყბო საზოგადოებას :

*

გასული წლის 7 ნოემბერს პარიზში გარდაიცვალა ქ-ნი ფანი წულაძისა-ური და მიბარდა ლევილის სასაფლაოს.

*

გ. წ. 16 ნოემბერს, ქ. სენ-კლუში (პარიზის გარეუბანი) გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქ-ნი მანანა დეკოტინი-ესი-ლალიძე და მიბარდა ლევილის სასაფლაოს.

*

გ. წ. 8 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში გარდაიცვალა ბ-ნი როსტომ ჭავიანი და მიბარდა ადგლობრივ იქსელის სასაფლაოს.

*

გ. წ. 29 დეკემბერს, პარიზში გარდაიცვალა ბ-ნი გერასიმე ბოლქვაძე და მიბარდა ლევილის სასაფლაოს.

*

გ. წ. 30 დეკემბერს, საფრანგეთში, 78 წლისა გარდაიცვალა ბ-ნი ლიმიტრი კიმერიძე და მიბარდა სოშო-მონბელიარის ქართველ ძმათა სასაფლაოს.

*

გ. წ. 1 დეკემბერს, ქ. ფლაგტაუნში (ნიუ-ერსეს შტატი), 66 წლის ასაკში უავადმყოფოდ გარდაიცვალა ბ-ნი კონსტანტინე (კოშ) ერისთავი. განსვენებულს ჭირისუფლად დარჩენ

მეუღლე და ერთი ვაჟი ალექსანდრე.

*

1987 წლის 21 თებერვალს გერმანიის ქალაქ ფრანქფურტში ღრმა მოხუცებაში გარდაიცვალა ბ-ნი შალვა ბადრიაშვილი.

*

წელს 21 თებერვალს, პარიზის გარეუბან ვილ-დ'ავრეში გარდაიცვალა ქ-ნი ირინე პაპუაშვილისა—გომართელი და საუკუნო განსასვენებლად მიბარდა ლევილის ძმათა სასაფლაოს.

*

და ღრმად დამწუხხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუ-
გეშო კირისუფალთ.

როსტომ ყაფიანის შესანდობარი

ხანგრძლივი ავალმყოფობის
შემდეგ, წლებით დატვირ-
თული, საბოლოოდ გაგვშო-
რდა როსტომ პავლეს-ძე
ყაფიანი. ერთი თვეც რომ
ეცხოვრა, სწორედ 90 წ.
შეუსრულდებოდა. მართლაც,
ის დაიბადა თბილისში 1897
წლის 4 იანვარს.

რ. ყაფიანი ხელობით იყო
გზათა მშენებელი ინჟინერი,
მან კონგრუ გაატარა 35
წელიწადი როგორც რკინი-
გზათა მშენებლობის ინჟინე-
რმა, სადაც მისი მუჭაითობა,
უნარიანობა და პატიოსნება
დიდათ იყო დაფასებული ად-
გილობრივი თუ ბელგიის ხელ-
სუფალთა მიერ. მრავალ ჯილ-
დოთა შორის მას მიღებული
ჰქონდა: „მედაი დ'ორდრ დე
ლ'ორდრ რუაიალ დუ ლიონ“
და „შევალიე დე ლ'ორდრ დე
ლეობოლდ II“



რ. ყაფიანის ახალგაზრდობის პო-
რტრეტი შესრულებული მისი დის,
ქ-ნ რუსულან ოთხმეზურისგან

ბატონ რსულის ცოლად ჰყავდა ქ-ნი მასტრიდია დასტრინგი
ასული. პენსიაში გასვლის შემდეგ ცოლ-ქმარი დასაწლდა ზორუ-
სელში. 1985 წლის იგნისში მას ქვირფასი მეუღლე გარდაეც-
ვალა, რის შემდეგაც ისიც სულ მძიმედ ავაღმყოფი იყო და
გარდაიცვალა 1986 წლის 8 დეკემბერს. განსვენებულის ანდე-
რძის მიხედვით, მისი ცხელარი დაიწვა კრემატორიუმში და
ფერფლი მიბარდა ბრიუსელის იქსელის სასაფლაოს, მეუღლის
გვერდით. ღმერთმა სასუფლევლი დაუმკვიდროს და კეთილ
იყოს ამ ქვეჭად ხსენება მისი!

ირ. ოთხმეზური

კაცომყარისა და მამულიშვილის ხსოვნას

საფრანგეთის ქართული საზოგადოების პეიზაჟს კიდევ ერთი
შესამჩნევი და მუდმივთანმდევი ფიგურა გამოეცალა გერასიმე
ბოლქვაძის გარდაცვალებით. აქტიური ვერ დაახასიათებს ზუ-
სტად მის დამოკიდებულებას ჩვენი სათვისტომოსადმი, ის მას-
თან ერთად და მისთვის ცხოვრობდა. არ ყოფილა ეროვნული
თუ რელიგიური დღესასწაული, კრება, ქორწინება თუ დაკრ-
ძალვა, რომ გერასიმე ბოლქვაძე მას არ დასწრებულიყოს. უჯ
ვარდა ქართული მაგიდა, სტუმრობაცა და მასპინძლობაც. ჩვე-
ულებად ჰქონდა გრძელ-გრძელი საღლეგრძელოების ხშირი წარ-
მოთქმა, რა თქმა უნდა, ქართულად, მაგრამ ფრანგულადა და
რუსულადაც, თუ ამის საჭიროებას ხედავდა; ამისთვის მას
მეგობრები ხშირად დასცინოდენ და ტუქსავდენ, მაგრამ ბ-ნ
გერასიმეს ვითომ არც ესმოდა, სიტყვას ბოლომდე აგრძელებდა.

ბატონი გერასიმე იყო ღარიბი გურული გლეხის შვილი. მას
ბოლომდე გაპყვა ოჯახის განსაკუთრებული სიყვარული და მამ-
ის თაყვანება, რომლის სიტყვებსაც ის ხშირად იმეორებდა,
როგორც წინასწარმეტყველისას. ამბობდა, სიღარიბის გამო
კარგი კლასიკური განათლება ვერ მივიღეო, მაგრამ ნიკიერ
კაცი, თვითგანვითარებით საფუძვლიანი ზოგადი კულტურა გა-
აჩნდა.

ის სრულიად ახალგაზრდა შეხვდა რუსეთის რევოლუციასა
და ბოლშევიკურ კონტრრევოლუციას, საქართველოს დამოუკი-
დებლობის გამოცხადებას და ბუნებრივად გახდა სოციალ-დემო-
კტირიაული პატრიის წევრი. ის ბოლომდე ერთგული დარჩა ამ

გერასიმე ბოლქვაძის ხსოვნა

67
იმპრეზული
პილატიონისა

პარტიის და იქიდან ემსახურებოდა სამშობლოს. როცა სამშობლო დამარცხდა 1921 წელში, გ. ბოლქვაძე არ შეუჩიგდა დამპყობელ ხელისუფლებას და წინააღმდეგობა გააგრძელა ისევ და ისევ მისი პარტიის რიგებიდან. მალე ის მეტების ციხეში აღმოჩნდა დაპატიმჩებული, საიდანაც საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც ეს ცნობილია, ექვსი ათეული მამულიშვილი დასაცლეთ ევროპაში გადმოასახლა.

მათ შორის იყ 23-24 წლის გ. ბოლქვაძეც. მაშინ მასაც ისევე, როგორც მისი ჯგუფის დანარჩენ წევრებს, ევონა, რომ ეს გადასახლება ხანმოკლე იქნებოდა და სულ მაღე განთავისუფლებულ სამშობლოში ზეიმითა და დიდებით დაბრუნდებოდა, მაგრამ ხალხური ანდაზა ამბობს: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა. 65 წლი ელოდა ამ ბედნიერ წუთსა/ და მომენტს, მაგრამ არ იქნა და არა ბედნა არ გაუღიმა, თუმცა გულგატეხილობასაც არ დამორჩილებია... და, ასე გაილია სიცოცხლეც.

გ. ბოლქვაძე ანაგებად არ იყ კაცომოძულე-რასისტი. მას ყალბა უჟარდა ქრისტიანული სიყარულით, განურჩევლად ერისა, სარწმუნოებისა, რასისა და კანის ფერისა. ომის დროს მან გერმანელ ნაცისტებისაგან გადაარჩინა ერთი რუსი ებრა-ელი ქალიშვილი, ქალბატონი მანია, რომელიც შემდეგ მისი საყვარელი მეუღლე გახდა. ამ განსვენებული ერასტო მაჭავარიანი, რომელიც გ. ბოლქვაძის მეგობარიც იყ და ხუმრობაც უჟარდა, ოხუნჯობდა ხოლმე: „დაცო, ურიის ქალი მეც ვითხოვე, მაგრამ ქრისტიანად მოვნათლე, გ. ბოლქვაძე კი თვითონ გახდა ურიაო.“ ამ ხუმრობაში მართალი ის იყა, რომ გ. ბოლქვაძეს ებრაელები გულით უჟარდა და პატივს სცემდა, მაგრამ მისთვის, როგორც ყალბა კეშმარიტ მამულიშვილისათვის, თუ ამას თქმა უნდა, „უწინარეს ყავლისა“ დიალაც საქართველო იყ. განსვენებულს რაღაც განსაკუთრებული და არაჩვეულებრივ გმირობა არაფერი ჩაუდენია, მაგრამ მისი ბუნებრივი სიკეთე, კეთილშობილება, ჭირსა და ლხინში თანადგომა და ქართულ საქმიანობაში თანაზიარობა უფრო ასატანს ხდიდა,



ამსუბუქებდა ჩვენს მწარე ლტოლვილ ცხოვრებას. უკრაინული დაე, საუკუნო სასუფეველი გერასიმე ბოლქვაძის სულ, ზოლო მისი ცხელრისთვის მსუბუქი და თბილი ყაფილიყას ლევილის მიწა.

გუშაგი

პოეტი დიმიტრი ქიმერიძე

იმედით სავსე წერილებით მეგობრებს ახალი 1987 წელი მოგვილოცა და 30-31 დეკემბრის ღამით სული დალია ისე, რომ არავის არაფერი არ გაუგია, დიასახლისმა დილით საუზმე რომ შეუტანა, დიმიტრი ქიმერიძის გაცივებული გვამი დახვდა.

დიმიტრის უკვე შეიდი წლის წინად მოუვიდა ტვინში სისხლის ჩაქცევა, რის შედეგადაც მას ცალი მხარე უსიცოცხლოდ დარჩა, ამჯერად კი აღარ დაინდო და მთლად სიცოცხლეს გამოასალმა, 78 წლის ასაკში. ორ იანვარს მისი ცხედარი მივაბარეთ სოშო-მონბელიარის ქართველ ძმათა სასაფლაოს.

დ. ქიმერიძე ეკუთვნონდა მეორე მსოფლიო ემიგრაციის თაობას. ის დაიბადა ხაშურში, დაამთავრა საშუალო ტექნიკური სკოლა, დაოჯახდა-ჰყავდა ერთი ქალ-ვაჟი. ამ დროს მოუსწრო ომრა და, როგორც თადარიგის ჯარისკაცი, მობილიზაციით პირდაპირ ფრონტზე გააგზავნეს. ის გადაურჩა ბრძოლის ველს, არა ნაკლებ სასტიკ ტყვეობას და ომის დამთავრების შემდეგ სტალინის „სამოთხეში“ დაბრუნება არ ისურვა და არჩია ქალაქ სოშოს ცნობილ პეჟოს საავტომობილო ქარხანაში მუშად მუშაობა. აქ მან გამოიჩინა დიდი მუყითობა და სერიოზულობა, დაიმსახურა უფროსებისა და თანამშრომლების პატივისცემა, მთელი ხნის განამავლობაში მანამ, სანამ პენსიაში გავიდოდა და ქარხნის პენსიონერთა სახლში გადავიდოდა საცხოვრებლად ამ ათიოდე წლის წინად. პარალელურად, დიმიტრი აქტიურად მოღვაწეობდა ჩვენი სათვისტომოს გამგეობაში, რომლის წევრიც ის იყო დიდხანს, სანამ დავლა არ დაეცა. დ. ქიმერიძე წევრი იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაურეზერვოდ მხარს უჭერდა ლტოლვილობაში მყაფ ჩვენ ეროვნულ მთავრობას, სანამ მისი უკანასკნელი წევრი არ გარდაიცვალა.



პოეტი დიმიტრი ქიმერიძე

უცხოეთში მცხოვრები ქართველები დიმიტრი ქიმერიძე მარკეტის გარემონტიზაციაზე
რო იცნობენ, როგორც პოეტს. მისი ლექსები ქვეყნის მდგრადი განვითარების
„ჩვენი ღრმაშა“-ში, „კავკასიონში“ და სხვა ქართულ პერიოდ-
ულ გამოცემებში. 1970 ან წლებში კი მან საკუთარი ხარჯით
„ჩვენი ღრმაშა“-ს რედაქციას გამოაცემია ლექსთა კრებული
სათაურით: „ნაპერშპლები გულიდან“, რომელიც 150: გვერდს შე-
იცავს და რომელშიც დაბეჭდილია 85 ლექსი, 1955-60: წლებით
დათარიღებული. წიგნის შესავალში, რედაქტორი პავლე სარჯ-
ველაძე სამართლიანად ამბობს ავტორზე: „ჩვენი პოეტი არ ჩე-
მულობს ნოვატორობას... მისი პოეზია ენათესავება კლასიკურ
პოეზიას. იგი სადაა და ხალხური, მშობლიური წმინდა გრძნო-
ბისა და მისი სიყვარულის ასამაღლებლად და საღიადებლად...
პოეტ დ. ქიმერიძეს საკუთარი განცდები აჰყავს საზოგადოებ-
რივ სიმაღლეზე და მით იგი ეხმიანება ფელა კეთილშობილ
ადამიანის გულს“-ო.

პოეტ ქიმერიძის ლექსთა მოტივი მრავალფეროვანია, მაგრამ
მათში უდაოდ ბატონობს ეროვნული და პიროვნული თავისუფ-
ლების მოტივები, თავისუფლების დამთრგუნველ ძალებთან თავ-
დადებული ბრძოლის აკორდები. იქნებ ზოგმა აღმოაჩინოს, რომ
დ. ქიმერიძის პოეზია არაა საკმაოდ რაფინირებული და რომ
მას აკლია ოსტატის ხელი, მაგრამ ერთს ვერავინ წართმევს:
მისი შემოქმედების სილასა და ხელში ისეთი მარგალიტებიც
კიაფობენ, რომლებიც მას სხივოსანთა კრებულში აქცივენ.
თუ მისი ერთი ლექსიც კი მოხვდება მკითხველის სულსა და
გულს და ააძგერებს სიყვარულითა და სიხარულით, ეს უკვე
იქნება მისი გამარჯვება სიკვდილზე. დაე, უკვდავი იყოს დი-
მიტრი ქიმერიძის სახელი, როგორც მამულიშვილის, როგორც
სამაგალითო მოქალაქის და... როგორც პოეტის!

გრიგოლ კვარცხავა— სოშო-
მონბელიარის ქართ. სათვისტომოს თავმჯდომარე.

*

კავკასიელი

კავკასიის მთებში ვარ მე შობილი,
სამშობლო ჩემი შუა ქართლია,
გვარით, წოდებით იქ ვარ ცნობილი,
ნინო წმიდაა ჩემი ნათლია.

ჩემთვის ერთია: იყოს კახეთი,
იმერეთ-მესხეთ-რაჭა, გურია,
თუშეთ-ფშავეთი, გინდ ხევსურეთი;
სვანეთის ნახვაც ძალზე მწყურია.

თვით სამეგრელო-ძველი ოდიში,
აფხაზეთი და სამურზაყნო
მსურს ვინახულო, ესთხოვო ბოდიში
და მოკრძალებით მივეთავანო.



განა არ მახსოვს კოხტა ლეჩხუმი,
ანდა ლამაზი, ტურფა აჭარა,
ვხედავ ბრწყნავენ, ვით აბრეშუმი,
მათ მოგონებამ მთლად გამახარა.

დ. ქიმერიძე, 1977 წელი
*** ***

არ მავიწყდება ძველი თბილისი,
დედა-ქალაქი დედა-მშობელის,
ფოთი ბათომი და ქუთაისი,
ტაძრები ჩენი საგალობელის.

ჭელა მათგანი არის ნაცნობი,
ჭელა მათგანი ჩემთან ახლოა;
მათ ტრფიალით მაქვს გული ნაღრძობი,
იქ ჭელგან ჩემი სამოსაქლოა.

მე სხვა სამშობლო არსად არა მაქვს,
ასე მარადი და მადლიანი,
მისი ტრფიალი გულით თან დამაქვს,
ვით მისი შვილი, ადამიანი.

ჩემი სარკეა მის ცა ნათელი,
მისი მთა-ზარი — ჩემი აკვანი,
ვალდებული ვარ ვუნთო სანთელი
და დაჩოქილი ვსცე მას თაჭანი.

დიმიტრი ქიმერიძე 1960 წელი.



ქართული მეცნიერების ბერ-მუხას, ბატონ აკაკი შანიძეს ამ თებერვალში დაბადებიდან ასი წელი შეუსრულდა. მაშინ ახალგაზრდა ენეთმეცნიერი, ბატონი აკაკი ერთ-ერთი ენთუზიასტი იყო, დიდი ივანე ჯავახიშვილის გვერდით, თბილისის უნივერსიტეტის დანერგა-აღორძინების საშვილიშვილ საქმეში. აკაკი შანიძე პირველი მეცნიერი იყო აგრეთვე, რომელმაც სამეცნიერო ხარისხი თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა. აქედან მოყოლებული, აგერ თითქმის 70-წელიშადია, ბ-ნი აკაკი დიდი ნიჭით, ცოდნით და ენერგიით ემსახურება: თანამედროვე ქართული ენის გრამატიკის და ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლას, და თანაც ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან დაუფასებელი ღვაწლი დასდო საერთოდ ქართველობიას და დღეს, დარწმუნებული ვართ, მსოფლიოს ყელა კუთხიდან სიცაარულითა და პატივისცემით ესალმებიან მას მის სახელმძღვანელობზე აღზრდილი ქართველი და უცხოელი ქართველობები.

უფრო მეტი ბედნიერება ისაა, რომ ბ-ნი აკაკი ასი წლის შესრულებას ქარმაგად ეგებება, მთელი მისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით. ის კვლავც წარმატებით აგრძელებს მის მეცნიერულ საქმიანობას, და ჩვენ, მის ურიცხვ თაყვანისმცემ-ლებთან ერთად, გვაქვს ბედნიერება მიეცისალმოთ მას ამ დიდ ნიშანსვეტთან დაკავშირებით და ვუსურვოთ კიდევ მრავალი წლის აქტიური შემოქმედებითი სიცოცხლე.

სტიქიის მძვინვარება საქართველოს
თვეები



არაჩვეულებრივად დიდი თოვლი მოვიდა წელს საქართველოს მთიანეთში, რომლის მსგავსიც თვით ღრმა მოხუცებულებსაც კი არ ახსოვთ. 13 იანვრის საქართველოს გაზეთები უკვე იტყა-ბინებიან, რომ: სვანეთში, ცხინვალში, დუშეთისა და ლენტე-ხის რაიონებში თოვლის საფარმა 5 -4 -3,5 მეტრს მიაღწია, წარმოიქმნა ზვავები, რის შედეგადაც დაიღუპა სვანეთში (მესტიის რაიონში) 26 კაცი, დუშეთის, ცხინვალის და ლენტე-ხის რაიონებში თითო-თითო კაციო.

უამიდობა განსაკუთრებით გაძლიერდა იანვრის ბოლოსა და თებერვლის პირველ ნახევარში. დიდი თოვლის შემდეგ მოვიდა კოკისპირული წვიმები. ზვავებმა და მეწყრებმა გაანადგურეს მაღალ მთიან რაიონების სოფლები, განსაკუთრებით დაზარალებულია სვანეთი, სადაც მთელი რიგი სოფლებიდან აღარაფერი აღარ დარჩენილა. ამავე დროს აღიდებულმა მდინარეებმა გად-მოხეთქეს ნაპირები და წყლით დაფარეს მთელი კოლხეთის დაბლობი. ასე მაგალითად, პირველი თებერვლის გაზეთები იტყა-ნებიან, რომ დაიტბორა: ვანის, წულუკიძის, საჩხერის, ზესტა-ფონის, სამტრედიის და ჭიათურის რაიონები. ზესტაფონის ხი-დი წყლმა წაიღო, არის ადამიანის მსხვერპლი და სხვა.

6/II: თოვლის ზვავები და წყლდიღობა გრძელდება. ხობი და-ტბორილია. დანგრეულია: 1500 -ზე მეტი სახლი, დაზიანებულია 6 ხიდი, მთლიანად დაინგრა 14 სკოლა, 10 საწარმო, დაიღუპა 780 მსხვილფეხა რქისანი პირუტყი. მესტიიდან დაახლოებით გახიზნულია 7000 კაცი, რიგი სოფლებისა მთლად განადგურდა, სოფელ უშგულში 42 სახლიდან დაინგრა 38 და სხვა.

11 თებერვლის გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეჩებულ ზ. ჩხეიძის (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მო-ადგილე, სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლის რესპუ-ბლიკური კომისიის წევრი) ინტერვიუში, სხვათა შორის, ნა-თქვამია: „ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რომნი, უწინარეს ყოვ-ლისა, მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, ცხაკაიას, ხობის, ვანის, ლანჩხუთის, დუშეთის, ყაზბეგის რაიონები სერიოზულად დააზარალა წყლდიღობამ, მეწყრებმა და თოვლის ზვავებმა.“



მთებსა და ხეობებში თოვლის სიმაღლე **4 - 5** მეტრს უდიდესია რაც სამჯერ აღემატება მაქსიმალურ ნორმას. როგორც უკვე ვიუწყბოდით, დასავლეთის ჩაიონებში რამდენიმე საათში მკვეთრად აიწია წყლის დონემ მდინარეებში: ჩიონში, ჭირილაში, ხანისწყალში, აბაშისწყალში, ბზიფსა და ცხენისწყალში. დატბორილია დაახლოებით ორასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, დანგრეულია ორი ათასზე მეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, დაზიანებულია კიდევ **3.150**, ისევე როგორც ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური და კულტურულ-საყფაცხოვრებო დანიშნულების **650** ობიექტი.

დიდი ზარალი მიადგა სოფლის მეურნეობას. დაიღუპა უამრავი პირუტეული და ფრინველი; დაზიანდა **80** ათასი ჰექტარი სახნავი მიწა და მრავალწლოვანი ნათესები, დაზიანებული და დანგრეულია **1500**-ზე მეტი შენობა, ჰიდროტექნიკური და სხვა ნაგებობა, მათ შორის ბოსლები.

აღსაღენი და შესაკეთებელია **16,4** კილომეტრი რკინიგზა. მნიშვნელოვნად დაზიანდა დაახლოებით **1300** კილომეტრი საერთო სიგრძის საავტომობილო გზები, **1100**: კილომეტრი ელექტროგადამცემი და **70** კილომეტრი კავშირგაბმულობის ხაზები...

16 ათასზე მეტი კაცი გახიზნულია უსაფრთხო ადგილებში და დაზარალებულებსა და ავადმყოფებს დახმარებას უწევენ..."

14 თებერვლის გაზ. „პრავდაში“ გამოქვეჩებულ კორესპონდეციაში სხვათა შორის ნათქვამია: წყლიდიდობამ, მეწყრმა და ზვავმა ოთხმოცხე მეტი კაცი შეიწირა, დააზიანა ან საერთოდ აღგავა პირისაგან მიწისა **2700**: სახლი, **650** საავადმყოფო, პოლიკლინიკა, სკოლა და საბავშვო ბაგა-ბალი. დაიღუპა დიდალი პირუტეული და ფრინველი, წახდა ოთხმოცხი ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი და ხეხილის ბალები და სხვა.

საქართველოში შექმნილია „სტიქიით დაზარალებულთა დამხმარე ფონდი“ და სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის სამმართველოს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში გახსნილია სპეციალური საბალქსო ანგარიში № **700**, რომელიც განკუთვნილია ამ ფონდისთვის.

შორიდან, რა თქმა უნდა, ძნელია წარმოდგენა და განცდა იმ უბედურობისა, რაც ისედაც რეჟიმისაგან განაწიამებ ჩვენ ხალხს დამატებით ბუნების სტიქიამ დაატეხა თავს. აღამიანთა



მსხვერპლ უკველად უფრო მრავალზომოანია, ჰუაზუარმისუ
ოფეტიალურ ტონბები ალარებენ. ჩაღა გაეწყობა! ჩაც არის
არის! ისღა დაგვრჩენია, მათი ხსოვნის წინაშე პატივისცემით
თავი დაგხაროთ. ხოლო, ჩაც შეეხება იმათ, ვინც ბუნების
ონავრობას ბედათ გადურჩა, მაგრამ ალარ შერჩა ალარც სახლ-
კარი და ალარც ტან-ფეხის სამოსი, მათ კი შეგვიძლია ჩვენი
დახმარებით ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ სიღუწეირე..

ჩვენ წინადაღებას ვიძლევით, რომ სათვისტომოების გამგეო-
ბებმა ამ მიზნით შექმნან კომისიები სამი კაცის შემაღენ-
ლობით და სათანადო კონტროლით.

*

მ თ ა წ მ ი ნ დ ი ს ბ ი ნ ა დ ა რ ნ ი

მთაწმინდაზე პირველად ნინო ჭავჭავაძემ დამარხა მისი მე-
ულე ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვი, მოქლული თეირა-
ნში 30 იანვარს 1829. 1847 წელს აქვე დაასაფლავეს პოეტ
ალექსანდრე ჭავჭავაძის მეულე-სალომე, ხოლო 1857 წელს –
ქოლერით უდროოდ გარდაცვლილი თვით ნინო ჭავჭავაძე-გრიბო-
ედოვისა.

1887 წელს აქ დაიკრძალა დიდი მოწამე დიმიტრი ყაფიანის
ნეშტი, 1907 წელს დიდი ილია ჭავჭავაძე და 1915-ში სულმნა-
თი პოეტი აკაკი წერეთელი დიდუბეში დაკრძალული ვაჟა
ფშაველა აქ გადმოასვენეს 1938 წელში. იმავე წელს აქვე მი-
აბარეს ნიკო ბართაშვილის ნეშტი. აქვე განისვენებენ:
დავით კლდიაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ვა-
სილ ბარნევი, დავით ერისთავი, ანასტასია თუმანიშვილი-წე-
რეთლისა, ზაქარია ჭიჭინაძე, გიორგი ლეონიძე, იაკობ ნიკოლა-
ძე, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, ივანე
ფალიაშვილი, სიმონ ჩიქვანი, ლადო გუდიაშვილი, ვასო აბა-
შიძე, კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ხორავა, სერგო ზაქარიაძე,
სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ნიკო მუსხელიშვილი,
ილია ვეკუა, ალექსანდრე ცაგარელი, მოსე ჯანაშვილი, სილი-
ბისტრო თოლრია, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ეგა გე-
ლაშე-ჯულაშვილისა. სულ უკანასკნელად აქ დაიკრძალა მსახი-
ობი ვერიკო ანჯაფარიძე.



ვეროპონ ანჯაფარძის გარდაცვალება

იანვრის უკანასკნელ დღეებში თბილისში გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს სახელგანთქმული მსახიობი ქალბატონი ვერიკო ანჯაფარძე. განსვენებული იყო დაბადებული ქუთაისში, თითქმის ამ ოთხმოცდაათი წლის წინად. ის იყო ერთ-ერთი უნიჭიერესი მსახიობი ქალი რეჟისორ კოტე მარჯანიშვილისა და მისი სიკვდილის შემდეგაც წარმატებით მოღვაწეობდა მუდამ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. ვერიკომ სახელი გაითქვა ივლითის როლის შესრულებით გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“. შემდეგ კი მისი ხანგრძლივი სასცენო მოღვაწეობის დროს მას დიდი წარმატებით შესრულებული აქვს ასზე მეტი პირველი ხარისხის როლი სცენაზე და ოცდაათამდე ეკრანზე. მას ბოლომდე არ შეუშენებია მსახიობის საპატიო ხელობა და მას საფლავის კარამდე მწუხარებით აცილებენ მისი მოყვარული ქართველი მაყურებლები. სამ თებერვალს მისი ცხედარი მიაბარეს მთაწმინდას.

*

გარდაიცვალა დავით ანდრულაძე

29 იანვარს გარდაიცვალა ოპერის გამოჩენილი მომღერალი, საოპერო ხელოვნების დამსახურებული პედაგოგი დავით ანდრულაძე. ის დაიბადა ქუთაისში 1899 წელს ცნობილი ექიმის ოჯახში.

*

სერუ ლიფარის გარდაცვალება

გასული წლის 16 დეკემბერს ქალაქ ლოზანაში გარდაიცვალა მსოფლიოში სახელგანთქმული ცეკვის ვარსკვლავი და ქორეოგრაფი სერუ ლიფარი. იგი დაიბადა ამ ოთხმოცდაერთი წლის წინად კიევში, ცეკვის ტექნიკა შეიძინა ცნობილ ნიუინსკის საბალეტო სკოლაში, 1923 წელს საბჭოთა კავშირიდან გამოიქცა, მისი ფიზიკური და ესთეტიური თვისებებით მოხატლა პარიზის ოპერის ბალეტის დიდი ქორეოგრაფი—დიაგილევი, ხოლო, როცა დიაგილევი გარდაიცვალა, 1929 წლიდან ლიფარს შესთავაზეს მისი აღგილი და ამის შემდეგ, მცირე

დროის გარდა, ის იყო საფრანგეთის აკადემიური ბალეტის უდანართის ავო პატრიონი, რომლის დროსაც მას შექმნილი აქვს შოთვალი ბალეტი, რომლებიც კლასიკურებად არიან ცნობილი. ბევრი მისი ნამოწაფარი დღეს გამოჩენილი ქორეოგრაფია.

პენსიაში გასვლის შემდეგ მან დაარსა ქორეოგრაფიის საერთაშორისო ინსტუტითი და 1965 წელს გამოაქვევთა მოგონებების წიგნი „ჩემი ცხოვრება“, სადაც ბევრ საინტერესო ამბავთა შორის მოთხოვნილი აქვს თუ როგორ ცდილობდა ჰიტლერისა და სტალინის მორიგებას.

ომის დროს სერე ლიფარი მჭიდრო ურთიერთობაში იყო ქართველებთან, მან დადგა ბალეტი „შოთა რუსთაველი“, ქართული ხალხური მუსიკისა და ცეკვების გამოყენებით, რომლის პრემიერამაც დიდი წარმატებით ჩაიარა, მაგრამ სამწუხაროდ ომის შემდეგ მან ვეღარ შეძლო ამ ბალეტის დადგმა.

*

კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის გარდაცვალება

გასული წლის ტეკემბრის პირველ ჩიცხვებში, თბილისში, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა მეტად პოპულიარული სიმღერების ავტორი გიორგი ცაბაძე. თბილისში 1924 წ. 24 აგვისტოს დაბადებულმა გ. ცაბაძემ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო სახ. კონსერვატორია, საკომპოზიტორო კლასით დაამთავრა 1956 წელს, რის შემდეგ მოღვაწეობდა სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო განყაფილების ხელმძღვანელად, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და 1980 წლიდან საქ. რადიო-ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა რედაქტორ-კონსულტანტად. გ. ცაბაძე ავტორი იყო მრავალი პოპულარული სიმღერის, ოპერეტის, კინო-ფილმის მუსიკის. განსაკუთრებული სიყვარული მოიპოვეს მისმა სიმღერებმა: „გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ“, „მთაწმინდის მთვარე“, „თბილისური მუხამბაზი“, „ქუჩა-ქუჩა“, „მეფიაიტონე“ და სხვა...

*

პარიზში გარდაიცვალა ანდრეი ტარკოვსკი

28 - 29 დეკემბრის ღამით გასული წლისა, უკურნებელი სენით ხანგრძლივად ავადმყოფი, 54 წლის ასაკში გარდაიცვალა



მსოფლიოში ცნობილი რუსი კინო-რეჟისორო ანდრევ ტრიტონიშვილი, და 5 იანვარს, პარიზის ალექსანდრე ნევსკის რუსულ კათედრალში წესის აგების შემდეგ, ქალაქ სენ-ჟენევიევ-დე-ბუას რუსების სასაფლაოზე დაკრძალეს.

ანდრეი ტარკოვსკი თავიდან საბჭოთა ხელისუფლების მფარველობით სარგებლობდა, მაგრამ, როცა დღის სინათლეზე გამოვიდნენ მისი ფილმები: „იგანის ბავშვობა“ და „ანდრეი რუბლევი“, ოყიციალურ ცენზურას ისინი არ მოეწონა, აკრძალეს მათი ჩვენება და ჯელაფერი ქნეს, რომ ტარკოვსკის ფილმები საერთაშორისო ფესტივალებზე არ დაეშვათ. დევნა-შევიწროებისაგან თავმობეზრებულმა ან. ტარკოვსკიმ, მეუღლე ლარისასთან ერთად, იტალია აირჩია საცხოვრებლად. აქ მან განახორციელა ფილმი „ნოსტალგია“, რომელმაც 1983 წელს პრემია მიიღო კანის ფესტივალზე. ოთხი წლის განმავლობაში, როცა მშობლები იტალიაში ცხოვრობდნენ, ტარკოვსკის ბიჭი მოსკოვში ჭადა ხელისუფლებას მძევლად და დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეების უთვალავი შუამდგომლობის შემდეგ 1985 წელში ბავშვს მიცეს მხოლოდ ნება რომ მშობლებთან ეცხოვრა.

უკვე მძიმედ დაავადებულმა ან. ტარკოვსკიმ კიდევ შეძლო ერთი ფილმის გადალება შევციაში, რომელსაც „მსხვერპლი“ ეწოდება. ამ ფილმმა სპეციალური პრემია მიიღო გასული წლის კანის კინოფესტივალზე.

უდავო ნიჭთან ერთად ხელოვან ტარკოვსკის ახასიათებდა დიდი პრინციპიალობა. მისთვის აუტანელი იყო იდეოლოგიის არტახებით შებოჭილი ხელოვნება.

1 იანვარს ფრანგულ გაზეთ „ლე მონდ“-ში დაიბეჭდა კინო-რეჟისორ თარი იოსელიანის წერილი ან. ტარკოვსკის შესახებ. ქვემოდ გთავაზობთ მის თარგმანს.

*

„ოთარ იოსელიანის ერთი წერილი

შეიძლება უცნაური იყოს, მაგრამ ჩემს ქვეყნაში არტისტის შესახებ არსებობს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმი – პატიოს ს ნ ე ბ ა. ამგვარად იცნობდნენ და იცნობენ ისეთ პატიოსან ადამიანებს როგორც: ახმატოვა, მანდელშტამი, ბულგაკოვი, ბელა ახმალულინა, ბულატ ოკუჯავა, ვლადიმირ



ვისოცყი. ანდრეი ტარკოვსკი ეგუთვნოდა ამ კატეგორიაზე
დათმობები და ორაზროვნებები მისთვის იჯნენ უცნობი.
ის ჩამომავლობით ეგუთვნოდა ერთ ძეველ დაღესტნელ გვარს,
სოფელ ტარკიდან. ეს სოფელი იყო ერთი უკანასკნელი მოწინა-
ვე საგუშაგო დაღესტანისა მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ტარ-
კოვსკის გვარი მოდის სოფელ ტარკიდან, მას საერთო არაფე-
რი აქვს არც რუსულთან და არც პოლონურთან; მაგრამ მისი
შეგნებით, სულიერი განწყობილებით და წესჩვეულებებით იყო
ნამდვილი რუსი.

ჩვენ დავკარგეთ ერთი დიდი მეგობარი. მე მინდოდა სულ
უბრალოდ მიმეცა ეს ზოგიერთი ცნობები ჩემი მეგობარ ტარ-
კოვსკის პიროვნებაზე იმათვის, ვისაც უჟარს მისი ხელოვ-
ნება, ეს კინოხელოვნება, რომელსაც გაქრობა ემუქრება. სა-
მყრო, რომელიც ტარკოვსკიმ პელიკიურზე აღბეჭდა ერთად-
ერთია. ის შეიძლება პირველი კინო ხელოვანი იყო, რომელიც
მაყურებელს აიძულებდა ასეთ დიდ ჩაფიქრებასა და პასუხისმგე-
ბლობას კინოხელოვანთან დიალოგში.

ოთარ იოსელიანი“

ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლის ნეშტის
გადასვენება თბილისში

თებერვლის პირველ ნახევარში პარიზში იმყოფებოდა ცნობი-
ლი მონუმენტური მხატვარი, ს.ს.ჩ. გაგშირის სამხატვრო აკა-
დემიის წევრ-კორესპონდენტი და სახალხო მხატვარი ზურაბ
წერეთელი. ამ მგზავრობის მთავარი მიზანი იყო იუნესკოს
შენობის ფასადის გაფორმება, მაგრამ ამასთან ერთად მას
ორი მთავარი მისიაც შეუსრულებია:

1) ლევილის სასაფლაოდან თბილისში ჩასვენა პროფესორ ექ-
ვთიმე თაყაიშვილის მეუღლის, ნინო პოლტორაციას ნეშტი
და ამით მან შესარულა განსვენებულ ექვთიმეს უკანასკნელი
სურვილი. 22 თებერვალს დიდუბის პანთეონში დანიშნულია
სამოქალაქო პანაშვილი, რის შემდეგაც ქალბატონ ნინოს
ნეშტი მიწას მიბარდება მეუღლის გვერდით.

2) პარიზიდან თბილისში ჩაუტანია აგრეთვე განსვენებულ
ფელიქს ვარლამიშვილის ათი ტილო, რომელიც ქართველი ერ-

ისთვის უანდერძებია მხატვარს. თბილისში დაბრუნებული მუზეუმი 79
 წერეთელმა გაზ. „კომუნისტის“ უურნალისტს ამის შეზარდება
 განუცხადა: „საქართველოს მუზეუმის ფერწერულ შედევრებს
 აღმად გვერდს დაუმშვენებს ევროპაში კარგად ცნობილი მხა-
 ტრის ფელიქს ვარლამიშვილის (ფსევდონიმი: „ფელიქს ვარლა“)
 ათი ნამუშევარი... ეს ტილოები მხატვრის ანდერძის და უკა-
 ნასკნელი სურვილის თანახმად გადაეცემა საქართველოს ხელ-
 ოვნების მუზეუმს... განსაკუთრებით გამოვლიფ ნამუშევრებს:
 „მეთევზები“, „მემაწვნე“, „ზამთარი“, „თბილისი“, „მოგზაუ-
 რობა“ და სხვა... მისი ფერწერული და გრაფიკული ქმნილებე-
 ბი მშობლიური მხარის სურნელებით არის გამობარი“.

8. გ.

ს ა თ ვ ი ს ტ რ თ მ თ ს ა მ ბ ე ბ ჲ ე

სათვისტომოს ახალი გამგეობა

1986 წლის 23 ნოემბერს მოწვეული იყო ჩვენი სათვისტომოს
 საერთო საარჩევნო კრება, რომელმაც მოისმინა გამგეობის გა-
 ვლილი მუშაობის ანგარიში და აირჩია ახალი გამგეობის წევ-
 რები და თავმჯდომარე. ყოფილმა თავმჯდომარემ ბ-ნმა თამაზ
 ნასყდაშვილმა უარი განაცხადა მისი მანდატის გაგრძელებაზე,
 რაც მან დაასაბუთა ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარე-
 ობის მოტივებით, რომელიც მართლაც პატივსაცემი მიზეზებია,
 მაგრამ ამასთან ერთად მას არ დაუმალავს, რომ მისი თავმ-
 ჯდომარეობის დროს მას შეხ ვდა ჩვენს საზოგადოების ზოგი-
 ერთ წევრებისაგან უპასუხისმგებლობისა და უმსგავსოების შე-
 მოხვევები. ამ შემთხვევაში მის უესტს ვერ გავიზიარებთ:—
 ბოროტებასა და სიმახინჯეს კი არ უნდა გაექცე, არამედ ად-
 გილზე უნდა დარჩე და ბრძოლა უნდა აწარმოო.

ახალი გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული
 ბ-ნი ოთარ პატარიძე, რომელიც უკვე წლების განმავლობაში
 პატიოსნად, მონდომებულად და კომპეტენტურად ემსახურება
 სათვისტომოს ფინანსების საქმეს. ასევე ერთხმად იქნენ არ-
 ჩეული გამგეობის წევრებად: ქ-ები: ნელი მდივანი-ვოდესი,
 ლია ვოდე და ეკატერინე (კატრინ) გვეტაძე, ბ-ები: ოთარ


 ზურაბიშვილი, ტარიელ ლურდენ-ფალვა, გია სარჯველებელი, ქოლო საჩევნიკი კომისიაში: ბ-ები: შალვა თაყაიშვილი და გიორგი კერესელიძე.

თოარ პატარიძემ იქვე კრებას გააცნო თუ გამგეობის თითო-ეულ წევრს რა საქმიანობა ეკისრებოდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამგეობის საქმიანობის უბნებად განაწილება მის წევრებზე სასურველ ნაყოფს გამოიღებს. აქვე ხაზგასმით გვინდა განვა-ცხადოთ: გამგეობა, მისი თავმჯდომარითა და ჰელა წევრით, ჩვენი სრული ნდობით სარგებლობს და ვიმეორებოდა, რომ მი-სი ენერგიული საქმიანობით, ამ ნდობას ის გაგვიმართლებს.

ახლა ზოგიერთი შემჩნევა, რომელიც კრიტიკა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა თუ მას გაიზიარებენ. მე გამოვედი საერთო კრებაზე, რომელსაც ოთხ მუხლად ჩამოყალიბებული მემორანდუმი გავაცანი. ჩემი მიზანი იყო, რომ კრებას ის მიელო და სარეალიზაციოდ გადაეცა გამგეობისთვის. სამწუ-ხაროდ ზოგს ძალიან ეჩქარებოდა სახლში გაქცევა, ზოგმაც კარგად ვერ გაიგო საკითხის არსი და აღგილიდან გამოხტომე-ბით ისეთი აურზაური ასტეხეს, რომ იძულებული გავხდი ჩემს განზრახვაზე ხელი ამელო და მემორანდუმი გამგეობის სახელ-მძღვანელოდ დამეტოვებია. წერილობითი განცხადება მე ორი წლის წინადაც გადავეცი კრებას, რომელმაც გამგეობას გადა-სცა ისევე, როგორც ახლა და მას არავითარი შედეგი არ მო-ჰყოლია და არც პასუხი გაუცია მის შესახებ წარსულ გამგე-ობას. ახლაც რომ იგივე არ მოხდეს მოწმედ უნდა დავისწ-რო მკითხველი. ამ მემორანდუმებით ჩვენ ორი მთავარი საკი-თხი გვაინტერესებდა და გვაინტერესებს:

- 1) უკანასკნელ წლებში ჩვენი სათვისტომოს არჩევნებში წესად. შემოვიდა: გამგეობის თავმჯდომარის და წევრობის კანდიდატე-ბად თავის თავს თვითონ ასახელებენ (თავმჯდომარის წერილო-ბითი მოწოდების შედეგად), დასახელებულთა შორის სასურვე-ლი კანდიდატების შერჩევას გამომავალი გამგეობა ახდენს და ასე შერჩეულ კანდიდატებს, ხელის აშევით ამტკიცებინებს. საერთო კრებას. ასეთი წესი ჩვენი საზოგადოების წესდებაში არ ყოფილა და, რაც მთავარია, დემოკრატიული არაა. ის სა-ოცრად წააგავს საბჭოურ წესს და მიკვირს თუ როგორ შე-მოიპარა ის ჩვენთან. დღეს გორბაჩივიც კი ცდილობს დემოკ-



სათვისტომოს ამბებზე

რატიული ელფერი მისცეს. საბჭ. რეეიმს და განა ჩემი კულტურული ჩვენი ხმარებიდან უნდა გავაძევოთ?! ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომავლისათვის კანლიდატებს ასახელებდენ ცნობილი ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური, საქველმოქმედო, საკულტო თუ კულტურული ორგანიზაცია-დაწესებულებები და შემდეგ ამ სიიდან საერთო კრება ირჩევდეს ფარული კენჭის ჭრით და არა ხელის აშვერით.

2) მეორე მთავარ და საჭირო საკითხად მიგვაჩნია ჩვენი დედა-ენის ბავშვებისათვის შესწავლის საქმე. მე სკანდალურად და ყველად გაუმართლებლად მიმაჩნია, რომ პარიზში არ გვაქვს სკოლა თუ წრე, სადაც ჩვენი ბავშვები დიდი ილია და აკაიის ენას გაეცნობოდენ მაინც, თუ საფუძვლიანად ვერ შეისწავლიდენ და სადაც მდიდარ ფოლკლორს-ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს შეისწავლიდენ. დღემდე ამ მიმართულებით ჩემი მოწოდებები დარჩენ მღაღადებლად უდაბნოსა შინა. აბა, ენახოთ რას იზამს ახალი გამგეობა? მომავალში არა მარტო ჩვენ, არამედ ისტორიაც მკაცრად მოსხოვთ პასუხს, თუ სათანადო ძალისხმევა არ გამოიჩინეს.

*

„ეროვნული საბჭო“

ანდაზაა: „შები ხალთაში არ დაიმალებაო.“ ვფიქრობდით დრო მიგვეცა, რომ იქნება წყალი თავისთავად ჩამდგარიყო კალაპოტში, მაგრამ მალე ერთი წელიწადი ხდება, რაც ეს მდგომარეობა გრძელდება, ფაქტი არსებობს ჩვენს შორის და ის გვაიძულებს ჩვენი პოზიცია განვსაზღვროთ მის მიმართ. საკითხი ეხება ეგრედ წოდებულ „ეროვნულ საბჭოს“. ჩვენი მკითხველები ფელა არ არიან საქმის კურსში, ამიტომ იძულებული ვარ ცოტა შორიდან დავიწყო საუბარი.

1950-ანი წლების დასაწყასში, პარიზში, ჩვენი ეროვნული მთავრობის ლოცვა-კურთხევით, შეიქმნა „ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში“, რომლის ისტორიასაც აქ უადგილობის გამო ვერ შევეხები. გაგახსენებთ მხოლოდ, რომ მე გახლდით ამ ორგანიზაციის დაარსების საინიციატივო კომისიის მდივანი, ხოლო დაარსების შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. რომ უფრო ეფექტურად მემოქმედა ჩვენი პოლიტიკური

კომიგრაციის გამოლითანების ხაზით, 1970 -ანი წლების დასაწყისში ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ნოე ცინცაძეს მიემართე წერილით, რომლითაც ვატყაბინებდი აღმასრულებელ კომიტეტის წევრობიდან გადადგომას და, რომ ვრჩებოდი ეროვნული საბჭოს წევრი, მისი საერთო კრების მოლოდინში, რასაც მის შემდეგ აღგილი არ ჰქონებია. ამას დაუუმატებ, რომ ეროვნულ საბჭოს დამფუძნებლებიდან დღეს ცოცხლები ვართ მხოლოდ ბ-ნი ნიკო ურუშაძე და მე. აქედან ის გამომდინარებას ლოლიკურად, რომ თუ ეროვნული საბჭოს განახლებას მონდომებდენ, ჩემთვის უნდა მოემართათ არა ფორმალურად, არამედ ჩემი მოსაზრებებისათვის ანგარიშის გასაწევად, მაგრამ აქ საკითხი არ ეხება ჩემს პიროვნებას.

მე არ ვიცი თუ რა ბაზაზე მოხდა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ნოე ცინცაძის გარდაცვალების შემდეგ ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გახდა ბ-ნი ვიქტორ ხომერიკი და ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც მას მხარს უმაგრებდა იუ ჩვენი

სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო. მიუხედავად ჩვენი არა ერთი წინადაღებისა, რომ ეროვნული საბჭოს ბაზა გავეფართოებია, უშედეგოთ დარჩა, ინტრიგული მოქმედებები ჩვენ არ ვიკაღრეთ და წლების განმავლობაში მწუხარებით გავიცილით ემიგრაციის პოლიტიკურ დაქასებულობასა და მით არარაობამდე დაქვეითებას. ავტორიტეტის დაკარგვა იქნამდის მივიღა, რომ თვით რადიო „თავისუფლება“ აოარაორად აგდებდა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლოს.

ამის შედეგად გამოწვეულმა შინაგანმა განხეთქილებამ თვით სოციალისტებს შორის, გასული წლის აპრილში უცნაური ფაქტის წინაშე დაგვაჭრა: ვალიკო ჩუბინიძისა და ნიკო ურუშაძის ხელმოწერით, 7 -8 სოციალისტის კრება მოიწვიეს და ეროვნული საბჭოს საერთო კრებად გამოაცხადეს. ვ. ხომერიკის წერილით მიმართა ამ კრებას და ავათარება მოითხოვა.

კრებამ არამც თუ არ დააკმაყოფილა ხომერიკის თხოვნა, არამედ არც კი მოიხსენია როგორც ყაფილი თამჯდომარე, აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტის შევრები და თავმჯდომარედ ბ-ნი კარლო ინასარიძე. ამრიგად, ეროვნული პოლიტიკური ძალების გამთლიანების მაგივრად, საკუთარი პარტიაც ორ მტრულ ბანაკად გაჰყეს. ნიკო ურუშაძემ მალე ინანა



და თქვა: მოვტუვდიო, მაგრამ დანარჩენები მაინც საჭრელი გადასახლებული ბენ თავიანთ ფრაქციონულ ვითომ საქმიანობას, რომელსაც ჩეცნი ფიქრით აკლია ფართო ეროვნული თვალთახედვა და პორიზონტი.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო აქ, რომ ამ ახალ „ეროვნულ საბჭოში,, წარმოდგენილები ჯელა არიან კარგი მამულიშ- ვილები და ქართული საქმისათვის საჭირონი. მით უფრო ეს მათი გამთიშველი მოქმედება საზიანოა. მათ ვინ დაუ- შლის თუ სურთ პოლიტიკური ჯგუფი შეადგინონ და იქიდან ემსატურონ საქართველოს განთავისუფლების საქმეს. მაშინ ჩვ- გვენ მათ ინიციატივას მივესალმებოდით, მაგრამ აქ საქმე გვა- ქვს ინტრიგანულ მოქმედებასთან, რასაც ჩვენ ვერ მოვიწონებთ.

გიორგი წერეთელი

დამატებითი და საბოლოო ცნობები მამა გრი- გოლ ფერაძის ტრაგიკული აღსასრულის შესახებ

ვარშავის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის უწყ- ბაში, 1986 წლის 1 ივნისის თარიღით დაიბეჭდა მამა პანრ- იკ პაპროვსკის სტატია, რომელშიც, ვარშავის სამიტროპოლი- ტოში დაცული დოკუმენტების მიხედვით, შემდეგნაირად წარ- მოვეიდება არქიმანდრიტ გრ. ფერაძის დაპატიმრებისა და ტრაგიკული აღსასრულის ერაპები:

I. მ. გრ. ფერაძე გერმანელებმა დაპატიმრეს ვარშავაში 3 ან 4 მაისს, რაღანაც მისი ბინა, ბერმანელების მითითებით, ვარშავის მართლმადიდებელი უნივერსიტეტის დეკანოზს უან კოვალენკოს დაულუქავს 5 მაისს.

II. დაპატიმრებიდან ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე ის იმუფებოდა ვარშავის პავიაცის საპატიმროში და ციხის ად- მინისტრაცია მას იუნებდა თარჯიმნად.

III. 28 მაისს უან კოვალევსკიმ დიაკონ უერზი ბერკმან- კარენინის თანდასწრებით (მას მამა ფერაძისაგან ბინა ჰქონდა მიბარებული.) ლუქი ახსნა მ. ფერაძის ბინას, სადაც ჩხრე- კა აწარმოეს გერმანელმა პოლიციელებმა და ბიბლიოთეკაში,



წიგნების უკან აღმოაჩინეს ამერიკული დოლარების და რენტანის სური გირვანება სტერლინგები, რაც ვითომ შეადგენდა ებრაელების დასახმარებელ ფონდს.

IV. 26.06.1942 წლის თარიღით დიაკონ უერზი კარენიშვილი მიიღო მამა ფერაძისაგან, რომლითაც ის ბი ბლიოთეჭას სიკვდილის შემდეგ უტოვებდა მეტროპოლიას, პირადი ნივთები უნდა გაეყდათ საობლოს სასარგებლოდ, ქართული საბუთები, წიგნები და ხატები ომის შემდეგ უნდა გაეგზავნათ საქართველოს ეკლესიისთვის. აქიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ დროს მან იცოდა, რომ ის განშირული იყო სასიკვდილოთ.

V. 09.06.1942 დასაწყისიდან აღარავითარი ცნობა აღსებობს მ. ფერაძის შესახებ მის სიკვდილამდე, რასაც ადგილი ჰქონდა აუშვიცის ბანაკში 1942 წლის 6 დეკემბერს 16 საათზე და 45 წუთზე, ბანაკის უფროსის ხელმოწერით ვარ-შაგის მიტროპოლიტის სახელზე მიღებული ოფიციალური მოწმობის მიხედვით.

VI. რა პირობებში გარდაიცვალა? ამის შესახებ მხოლოდ ერთი ზეპირი განცხადება არსებობს და ავტორის ვინაობა უცნობია. 1945 წელში, აუშვიცის ბანაკს გადარჩენილი ერთი ყოფილი პატიმარი მივიღა ვარშავის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტ დიონიცთან და უთხრა, რომ ის აუშვიცის ბანაკში მამა გრ. ფერაძესთან ერთად იმყოფებოდა და, რომ მამა ფერაძე გაზის კაჭერაში წავიდა ერთი მისი თანაპატი-მარის მაგივრად. ამავე დროს ამ კაცმა მიტროპოლიტს გადასცა მამა ფერაძის საათი, რაც ამ კაცის მოწმობას სარწმუნოდ ხდის. ამ მოწმის მისამართი, სამწუხაროდ, არ ჩაუწერიათ.

დეკანოზი ილია მელია

ბავშვობისა და ყრმობის მოგონება
(დასაწყისი იხ. 8 ნომერში)

მშველი და მგელი

მთაში ვიზუვი, ფიჩეს ვჭრილი, აპრილი იყო. ხევს გაღმა დიდი მინდორია, რომელიც სამი მხრით ტყითაა შემორტყმული. გავიხედე და დავინახე ერთი მშველი ნუკრით. ბალას ძოვდ-



ბავშვობისა და ურმობის მოგონება

ნენ. უცებ მშველი მობრუნდა, სოფლისკენ დაიწყო კუთხის მიმართულებით. უცებ შველი გაიქცა მგლის მიმართულებით, ნუკრი კი ტჟში შეიჭრა. მე გაკვირვებული ვუურებდი მშველს, რომელიც მგლის მიმართულებით მირბოდა. როცა ას მეტრზე მიუახლოვდა, მგელი მოტრიალდა და მშველს გამოუდგა. მშველი ჯერ მძიმედ მირბოდა. ერთ კილომეტრზე უკვე მგელი ეწეოდა. მშველი მობრუნდა მარჯვნივ ტყს მიმართულებით გაიქცა, რომელიც დაახლოებით სამას მეტრზე იყო დაშორებული. რამდენიმე წუთში მშველი ტჟში შევიდა, მგელი უკან გამობრუნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მშველი ტყდან გამოვიდა, მინდორი გადაირბინა, მივიდა იქ, სადაც ნუკრი დასტოვა, ნუკრი ტყდან გამოვიდა და ორივენი ერთად წავიდნენ.

მე ვერ გავიგე, მშველი რათ გამოუდგა მგელს, რომელიც ძალიან შორს იყო და არც ხელავდა მშველს, მის საშიშროებას არ გრძნობდა და აი, წლების შემდეგაც ვერ მივმხვდა-რგარ.

რთველი

ერთი კვირაა, რაც გურჯაანში რთველი დოწყო. ჩვენც მზად ვართ. ქვევრები, გოდრები, კალათები მზად არიან. დღეს დაგვალით ციკანი. მზარეული ამზადებს ხვალ საღილისთვის, რომელსაც ვენახში შევაქცევით და საღამოზე კი სახლში. ოცხე მეტი ვიქნებით დაპარიუებულები და მუშები. ორ ან სამ დღეში გავათავებთ. რთველი გურჯაანში გრძელდებოდა სამი კვირა, ერთი თვე. ჩვეულება იყო, რომ ერთი მეორეს ვეხმარებოდით და ხშირად მიხდებოდა, რომ რთველში ერთი თვე ვიყავი. რთველი ჩვენთვის დღეობა იყო. მუშაობის გარდა გართობა, სიმღერები, ქეგტოტები, ცეკვა საღილისა და ვახშმის დროს. თამადა და საღლეგრძელოები, სიცილი და ქალების კისკისი...სიცილსა და მხიარულებაში ყურძნით ივსებოდნენ კალათები, გოდრები, გოდრებს უდებდნენ ურმებზე და მიდიოდა მარანში. ყურძნეს ნავებში ჰქონდნენ. ყურძნის წურვა იწყობდა ნაშუაღლევს. 5 - 6 კაცი მუხლებამდე ტიტველი ფეხებით დადიოდნენ ნაში, ყურძნი იჭყლიტებოდა და წვენი მილით პირდაპირ ქვევრში მირაკრაკებდა... გაჭურეტილ ყურძ-



ენს(ჭავას) ქვევრებში ჰყავილნენ არაფს გამოსახდელ ცტრანზელი ღვინოს კი მეორე ქვევრში გადაასხამდნენ და ეს უკერძოცია ქვევრიდან ქვევრში გადასხმა ხდებოდა ერთი თვის განმავლობაში სამჯერ ან ოთხჯერ. ყაველთვის გამოცვლის დროს ქვევრის ძირში თხლე რჩებოდა.

კარგი მზიანი დღე იყო, საღამოთი დაღლილები დავბრუნდით, სუფრა უკვე გაშლილი იყო. შემოვუსხედით. ავირჩიეთ თამადა. პირველი საღლეგრძელო დაილია რომ უცებ დაიკედა. ჭეჭას მოჰყვა ელვა და განუწყვეტილი ქუხილი. მალე ქარიც ამოვარდა. ჟელამ იცოდა, რომ ეს სეტჭის ნიშანია, არავინ არაფერს ამბობდა, მაგრამ ჟელა თავთავიანთ ვენახებზე ჰიდერობდნენ. მალე სეტჭაც დაიწყო. კარგა მსხვილები იყვნენ. ქალებმა ტირილი დაიწყუს. დედამ ზედაღგარი გადააგდო, ვითომ ის შეწყეტდა სეტჭას. ასეთი რწმენა იყო. სეტჭა მართლაც მალე შეწყდა და აღარც ჰქონდა.

მეორე დღეს აქერ კიდევ ბნელოდა რომ ვენახში წაველი, რომელიც ორ კილომეტრზე იყო სახლიდან დაშორებული. რაც ვენახს ვუჰლოვდებოდი, მიწა ნაკლებად სველი იყო. ვენახში მივეღი, უკვე თენდებოდა, მიწა სრულებით არ იყო სველი, „წვიმა არ მოსულა და არც სეტჭა“, ვიფიქრე. ვენახს სიხარულით შემოვუბინენ, დავრწმუნდი რო მტევნებს არაფერი ზიანი ჰქონდათ მოსული და სიჩილით შინისკენ გავიძეცი. მეზობლები მხვდებოდნენ, მეკითხებოდნენ თუ რა დღეშია მათი ვენახი, მეც ვპასუხობდი თუ საღამდე იყო წვიმა მოსული. დედამ რომ დამინახა მივრბოდი, მომაძახა: „შვილო, ძალიან დაისეტჭა!“ „არა-თქვა და სულს ვეღარ ვითქვამდი. ჩვენი ვენახი არ იყო დასეტჭილი, გახარებული ვიჟავი...“

რთველი დამთავრდა. ორი დღის მერე თბილისში ვიჟავი. უკვე სწავლა დაიწყო. ჩვენ გემნაზიის შენობილან გამოგვარეს. მამადავითთან ერთ შენობაში გადავგიჟანეს და ჩვენი სათავადაზნაურო გიმნაზია უნივერსიტეტად გადაიქცა. ჩვენ ამით ძალიან ვამაყობდით და ვფიქრობდით, რომ ერთ დროს ჩვენც იქ სწავლას გავაგრძელებდით.

სამ წელიწადს კარგად ვიჟავით — თავისუფალი საქართველო, სართული მთავრობა და პრეზიდენტი. საქართველოს ჰყავდა ახალი დაცვა-წითელი გვარდია და სხვა.

(გაგრძელება იქნება)



შემოწირულებათა სია
(ფრანგულ ფრანკებში)

| | | |
|--------------------------|--------------------------|------|
| ლადო რუხაძე — კალისტრატე | სალიას მოსახსენებლად — | 600 |
| ისიდორე გაუნინია — | შოთა ბერეჟიანი — | 200 |
| კარლო გვარჯალაძე — | ანონიმი გ.ფ.—რ—დან | 500 |
| მიშა გოგორიშვილი — | შალვა ზედგინიძე — | 100 |
| გიორგი ტომონიძე — | „ს ე ი თ ი “ — | 151 |
| ირაკლი ოთხმეზური — | არჩილ მცედლიშვილი — | 200 |
| დიმიტრი მახარაშვილი — | ივლიორე გოგუაძისა — | 100 |
| მართა სტურუასი — | რუბენ გვეტაძე — | 150 |
| ირაკლი ოთხმეზური — | დიმიტრი მახარაშვილი — | 56 |
| ლადო ბაბიშვილი — | პროფ. გომარგი ნაკაშიძე — | 978 |
| თინათონ ბერიძე — | გივი კობახიძე — | 279 |
| ივლიორე გოგუაძისა — | იროდიონ ბეგიაშვილი — | 200 |
| გივი გაბლიანი — | გიორგი კოშავილი — | 100 |
| მიხეილ თარაშვილი — | მირიან მელუა — | 200 |
| +ილია თაყაიშვილი — | | |
| | | 500 |
| | | 6680 |
| | ჯამი | |

1986 წლის ანგარიში

| | შემოსავალი | გასავალი |
|--------------------|------------|----------|
| გუშაგი №9 აპრილი — | 7891 | 7949 |
| , №10 ოვლისი — | 2304 | 8709 |
| , №11 ოქტომბერი — | 8295 | 11890 |
| | ----- | ----- |
| ჯამი | 18490 | 28548 |

ამრიგად, გასავალმა გადააჭირბა **10.058** ფრანკით,
მაგრამ ვინაიდან **1985** წლის ანგარიშიდან სალაროში
დარჩენილი იყო **13.740** ფრანკი, გასული წლის ბოლოს სალა-
სალაროში მიინც დარჩა: **3.682** ფრანკი.

ყველას უღრმესი მაღლობა გუშაგისაგან.

შ ი ნ ა ა რ ს ი



- .2 ს ა ა ხ ა ლ შ ლ ო მოწინავე
4 ეროვნული გლობის წლისთავი გულბათ გულბათიშვილი
6 მერაბ კოსტავა და სხვები
8 ვიქტორ რცხილაძის დევნა გრძელდება
10 ანატოლი მარჩენკოს დაღუპვა
12 გამოსვლები აღმა-ათაში - მამგალი
16 ავლანეთის ომის 7 წლისთავზე - პაპუნა ლუბაშვილი
19 მეორე კატინის აღმოჩენა პოლონეთში - რეზო წიგნაძე
21 საქ. მეც. აკადემიის ისტორია რუსული თვითგამოცემა „პაშიატ“-ის მიხედვით, მთარგმნელი: ზურაბ ნარსია
32 სომხეთის ეკოლოგიური პრობლემები (თვითგამოცემა) ზურაბ ნარსია
38 ზოგიერთი ჩანაწერები გიორგი წერეთელი
46 პოეზიის განყოფილება ნოშრევან გალაშვილი
51 სამშობლოს მთები, ჩემი სიტყვა - გიორგი ტოგონიძე
52 ქუთაისი - ირაკლი თხხმეზური
53 სიზმარი - გივი შაორელი
55 ქართულ ენოვანი ისრაელი - სიმხა აჯიაშვილი
რა ხალხი ვყოფილვართ -
58 ჟამო შეჩერდი - ისაკ მეგრელიშვილი
- ძმაო ქართველო - აბრამ მამისთვალივი
60 ძველი არაკი - დავით აჯიაშვილი
61 წიგნები და ადამიანები - ირაკლი თხხმეზური
იასონის მოგზაურობა -
63 ადვოკატის ჩანაწერები - გუშაგი
64 სამგლოვიარო განცხადებები და ნეკროლოგები
71 ბატონ აკაგი შანიძის ასი წლისთავი
72 სტიქიის მძვინვარება საქართველოში
78 ეჭ. თაყაიშვილის მეულის ნეშტის გადასვენება
83 დამატებითი ცნობები მ. გრ. ფერაძეზე - მამა ილია მელია
84 ბავშვობისა და ყრმობის მოგონებები - მიხეილ თარაშვილი



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE